



2025

წლიური  
ანგარიშგება

# სარჩევი

- ბანკის შედეგების და საოპერაციო გარემოს მიმოხილვა  
ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები 03
- მენეჯმენტის ანგარიშგება  
მნიშვნელოვანი მოვლენები 08
- კორპორაციული მართვა  
კორპორაციული მართვის სისტემის განვითარება 20
- არაფინანსური ანგარიშგება  
პერსონალი 24
- ფინანსური ანგარიშგება 26

# ბანკის შედეგების და საოპერაციო გარემოს მიმოხილვა

## ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

წინა წელთან შედარებით 2025 წელს საქართველოს საბანკო სისტემას დაემატა 2 ახალი ბანკი: მიკრობანკი კრისტალი და მიკრობანკი ემ ბი სი. მიკრობანკი კრისტალის აქტივების უფრო მაღალი მოცულობის გამო 2025 წელს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ საქართველოს საბანკო სისტემაში მეთორმეტე ადგილიდან გადავიდა მეცამეტე ადგილზე.

## აქტივები

2025 წელს გაგრძელდა უარყოფითი დინამიკა, აქტივები 2024 წელთან შედარებით შემცირდა 10.2 მლნ. ლარით (2.3%-ით) და შეადგინა 440 მლნ. ლარი.

მთლიანი აქტივები მლნ ლარი




2025 წლის საკრედიტო პორტფელი წინა წელთან შედარებით შემცირდა 35 მლნ. ლარით (18.0%-ით) და შეადგინა 160 მლნ. ლარი.

წინა წელთან შედარებით 2025 წელს კრედიტების სტრუქტურაში ეკონომიკის სექტორების მიხედვით მოხდა შემდეგი ცვლილება: სესხის დაფარვის შედეგად შემცირდა უძრავი ქონების მშენებლობის სექტორის წილი.


### 2024

■ ფიზიკური პირები




### 2025

■ ფიზიკური პირები



2025 წლის კრედიტების სავალუტო სტრუქტურა წინა წელთან შედარებით მცირედით შეიცვალა.

სესხები ვალუტების ჭრილში (მლნ ლარი)




## ბანკის მოგება

2025 წელს ბანკმა მიიღო 54.0 მლნ. ლარის ზარალი. შესაბამისად შემცირდა საკუთარი სახსრები და გაუტოლდა 277 მლნ. ლარს.

მოგება-ზარალის ანგარიში ( მლნ. ლარი)	2025	2024
საპროცენტო შემოსავალი	12.7	16.8
საპროცენტო ხარჯი	(10.2)	(9.2)
უარყოფითი განაკვეთის აქტივების ხარჯი		
ფინანსური აქტივების შესაძლო დანაკარგების შექმნის/აღდგენის შედეგი	(10.1)	(8.0)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	2.5	7.5
არასაპროცენტო შემოსავალი	0.3	23.4
წმინდა საოპერაციო შემოსავალი (ხარჯი)	(7.3)	22.9
არასაპროცენტო ხარჯი	(46.3)	(14.5)
მოგების გადასახადის ხარჯი	(0.4)	(0.0)
წმინდა მოგება/(ზარალი)	(54.0)	8.4

## ვალდებულებები

2024 წლის ბოლოსთან შედარებით ბანკის ვალდებულებები 2025 წელს 44 მლნ. ლარით (36.3%-ით) გაიზარდა და გახდა 163 მლნ. ლარი.




კლიენტებისგან მოზიდული სახსრები 2025 წლის ბოლოს გახდა 12.8 მლნ ლარი (წინა წელთან შედარებით შემცირდა 1.2%-ით).

ბანკის ვალდებულებებში კლიენტთა სახსრების წილი შემცირდა 10.8%-დან 7.8%-მდე.

2025 წელს სესხების თანაფარდობა დეპოზიტებთან შემცირდა 1 504.2 %-დან 1 248.4%-მდე.

### კლიენტების სახსრები ვალუტების ჭრილში



ბანკებიდან და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან მოზიდული სახსრების მოცულობა (სუბორდინირებული სესხის ჩათვლით) 2025 წელს გაიზარდა 45.3%-ით გადაფასების გამო და წლის ბოლოსთვის შეადგინა 130.9 მლნ. ლარი.

### საკუთარი სახსრები

2024 წლის ბოლოსთან შედარებით საკუთარი სახსრები 2025 წელს შემცირდა 54 მლნ. ლარით (16.2 %-ით) და გახდა 277 მლნ. ლარი.

საკუთარი სახსრები მლნ ლარი



### შემოსავლები და ხარჯები

2025 წელს საპროცენტო შემოსავლებმა შეადგინა 12.7 მლნ. ლარი, რაც 4.1 მლნ ლარით (24.5 %-ით) ნაკლებია წინა წლის მაჩვენებელთან. საპროცენტო ხარჯები 10.2 მლნ. ლარია, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 0.9 მლნ. ლარით (10.2 %-ით) მეტია.

ფინანსური აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნის/აღდგენის შედეგი იყო უარყოფითი და შეადგინა 10.1 მლნ. ლარი, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 2.0 მლნ. ლარით (25.4 %-ით) მეტია.

შედეგად, მიღებულია წმინდა საპროცენტო შემოსავალი 2.5 მლნ. ლარის ოდენობით, რაც 5 მლნ ლარით ნაკლებია წინა წელთან შედარებით.

2025 წელს არასაპროცენტო შემოსავალი შეადგინა 0.3 მლნ. ლარი, რაც 23.4 მლნ. ლარით ნაკლებია წინა წელთან შედარებით.


არასაპროცენტო ხარჯი გაიზარდა 31.8 მლნ ლარით და შეადგინა 46.3 მლნ. ლარი.

შედეგად 2025 წელს მიღებულია 54.0 მლნ ლარის ზარალი.

## ეკონომიკა


2024 წელს გაგრძელდა ეკონომიკური ზრდის ტენდენცია. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგებმა: ინფორმაცია და კომუნიკაცია (42.8%), განათლება (28.8%), საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი (8.9%), საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები (18.4%), უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობა (8.1%), ხელოვნება, გართობა და დასვენება (21.7%), ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები (21.2%), სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება (10.3%), დამამუშავებელი მრეწველობა (6.4%).

2025 წელს წინასწარი შეფასებით მთლიანი შიდა პროდუქტის რეალურმა ზრდამ შეადგინა 7.5%. წინა წელთან შედარებით ნომინალური მშპ გაიზარდა 104.6 მლრდ. ლარამდე. შესაბამისად გაიზარდა მშპ ერთ სულ მოსახლეზეც.



2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები გაიზარდა 9.8%-ით, ხარჯები (არასაფინანსო აქტივების ცვლილების ჩათვლით) გაიზარდა 6.6%-ით, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი (ნაერთი სალდო) მშპ-სთან მიმართებაში შემცირდა 1.5% - მდე.

2025 წელს ექსპორტი 11.2%-ით გაიზარდა და 7.3 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, იმპორტი კი გაიზარდა 10.0%-ით 18.6 მლრდ აშშ დოლარამდე. შედეგად, სავაჭრო დეფიციტი გაიზარდა 9.2%-ით და შეადგინა 11.3 მლრდ აშშ დოლარი.



2025 წელს საქართველოში საზღვარგარეთიდან მოქალაქეთა ფულადი გზავნილების წმინდა შემოსვლა წინა წელთან შედარებით გაიზარდა 8.2%-ით და შეადგინა 3.2 მლრდ აშშ დოლარი.

2025 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა წინა წელთან შედარებით გაიზარდა 7.6%-ით და შეადგინა 1 689 მლნ აშშ დოლარი. ინვესტიციების შემოდინება ძირითადად გაიზარდა მშენებლობის, წყალმომარაგება, კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობების, ტრანსპორტის, ინფორმაცია და კომუნიკაციის, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების, ხელოვნება, გართობა და დასვენების სექტორებში. ინვესტიციების ძირითადი შემცირება მოხდა შემდეგ სექტორებში: საბითუმო და საცალო ვაჭრობა, ავტომობილების რემონტი, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები და დამამუშავებელი მრეწველობა.

სიტუაცია ადეკვატურად აისახა საგადასმდელო ბალანსში. 2025 წლის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს მნიშვნელოვანწილად საქონლით ვაჭრობა და შემოსავლები, კერძოდ კი, საინვესტიციო შემოსავლები განსაზღვრავდა. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი წინა წელთან შედარებით 44.4%-ით გაუმჯობესდა და 1.0 მლრდ აშშ დოლარს გაუტოლდა, რაც ძირითადად მოხდა მომსახურების მიხედვით დადებითი სალდოს გაზრდის გამო.

## მენეჯმენტის ანგარიშგება

### მნიშვნელოვანი მოვლენები

2022 წლის მარტში მიღებული სანქციებიდან გამომდინარე, რომელიც მათ შორის გულისხმობს ბანკისათვის საოპერაციო/საკრედიტო საქმიანობის შეჩერებას, ბანკი შეზღუდული ფუნქციებითა და დარჩენილი შემადგენლობით აგრძელებს მუშაობას.

2025 წლის III-IV კვარტალში გარე პროვაიდერების მიერ ჩატარდა 2 ტრენინგი.

2025 წელს რისკების სამმართველოს მიერ მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა იმ მსესხებლებთან, რომელთაც წარმოეშვათ ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანებები. საკმარისი ფინანსური შესაძლებლობების მქონე მსესხებლების ერთი ნაწილის მიმართ განხორციელდა სასესხო პორტფელის რესტრუქტურისაგან სამუშაოები, რომლის საერთო მოცულობამ 26.9 მლნ ლარი შეადგინა;

ჩატარდა სამუშაოები უიმედო კატეგორიის მქონე მსესხებლებთან საარბიტრაჟო და სასამართლო სარჩელების გზით სასესხო დავალიანებების ამოსაღებად:

- სულ პრობლემურ სესხებზე შემოსულმა თანხამ შეადგინა 6.5 მლნ ლარი, აქედან დავალიანება სრულად იქნა დაფარული 5.9 ლარის ოდენობით;
- არბიტრაჟს გადაეცა 6 კლიენტის საქმე;
- ბანკის საკუთრებაში გადმოვიდა 52 ქონება, 5.7 მლნ ლარის ოდენობით.

განხორციელდა 2025 წლის ბიზნესგეგმის მიხედვით საკრედიტო პორტფელისა და რეზერვების პარამეტრების ფორმირება და მათი შესრულების თაობაზე პერიოდული ინფორმაციის მომზადება სათაო ბანკისა და ბანკის მენეჯმენტისათვის წარსადგენად; განისაზღვრა 2025 წლის რისკ-აპეტიტის მაჩვენებლები დადგენილი წესის შესაბამისად და ყოველთვიური ინფორმაციის მომზადება რისკ-აპეტიტის მაჩვენებლები შესრულების შესახებ;

მომზადდა და სამეთვალყურეო საბჭოზე განხილულ იქნა 2024 წლის მე-4 კვ., 2025 წლის 1-3 კვ. რისკებისა და კაპიტალის ადეკვატურობის შესახებ ანგარიშები; მომზადდა და სათაო ბანკის კურატორებთან განხილულ იქნა ყოველთვიური ანგარიში რისკების მდგომარეობისა და ბიზნესგეგმის დადგენილი პარამეტრების შესრულების შესახებ.


მენეჯმენტის, ბასს-ის და პილარ 3 ანგარიშებისათვის მომზადდა და ფორმირებულ იქნა რისკების მართვის შესახებ ინფორმაცია 2025 წლის წრილში; ყოველთვიურად ხორციელდებოდა ეროვნული ბანკის ყოველთვიური ანგარიშგებების მომზადება საკრედიტო ზარალებისა და საკრედიტო რისკის მატარებელი აქტივების მდგომარეობის შესახებ; გადაისინჯა ან/და ხელახლა იქნა დამტკიცებული რიგი მარეგულირებელი და მეთოდოლოგიური ხასიათის დოკუმენტი, რომელთა მიხედვითაც ხორციელდება შესაბამისი რისკის პროფილის მართვა ბანკში.

## კორპორატიული ბიზნესი

იურიდიული პირების საკრედიტო პორტფელის მოცულობამ 2025 წლის ბოლოს შეადგინა 153.4 მლნ ლარი, რაც წინა წელთან შედარებით 34 მლნ ლარით (18.1%-ით) ნაკლებია, მათ შორის კორპორატიული ბიზნესის პორტფელი 2025 წლის ბოლოს შეადგინა 150.7 მლნ ლარი, რაც წინა წელთან შედარებით ნაკლებია 32.4 მლნ ლარით (17.7%-ით).

კორპორატიული ბიზნესის მოზიდვის ნომინალური მოცულობა უცვლელია, 2025 წლის ზრდა 0.5 მლნ ლარით (5.8%-ით) გამოწვეულია კურსის ეფექტით.


საკრედიტო დაბანდება და მოზიდული სახსრები  
(კორპორატიული ბიზნესი)



2025 წლის ბოლოსთვის მცირე და საშუალო ბიზნესის საკრედიტო დაბანდება შემცირდა 1.6 მლნ ლარით (37.1%-ით) და გახდა 2.7 მლნ ლარი.

## დოკუმენტური ოპერაციები და სავაჭრო დაფინანსება

2025 წლის ბოლოსათვის გარანტიების მოცულობა უცვლელია.



## ფაქტორინგი

2025 წლის ბოლოსათვის ფაქტორინგის პორტფელი გაიზარდა 0.1 მლნ. ლარით (26.0%-ით) და შეადგინა 0.5 მლნ. ლარი, კურსის ეფექტის გამო.

## საცალო ბიზნესი

ფიზიკური პირების საკრედიტო პორტფელი 2025 წელს შემცირდა 1.0 მლნ. ლარით (13.6%-ით) და შეადგინა 6.6 მლნ. ლარი.

### საკრედიტო პროდუქტების სტრუქტურა პროდუქტების ჭრილში (მლნ. ლარი)

პროდუქტის დასახელება	2025	2024
სამომხმარებლო სესხები	0.3	0.4
იპოთეკური სესხები	6.2	7.1
საკრედიტო ბარათები და ოვერდრაფტები	-	-
ავტო სესხები	0.1	0.1
სწრაფი განვადება	-	-
ფიზიკურ პირებზე გაცემული ბიზნეს სესხები	-	-
<b>სულ</b>	<b>6.6</b>	<b>7.6</b>

ფიზიკური პირების სახსრები	2025	2024
მიმდინარე ანგარიშები	3.3	3.4
ვადიანი ანგარიშები	-	0.6
სადეპოზიტო სერტიფიკატები	-	-
<b>სულ</b>	<b>3.3</b>	<b>4.0</b>

## რისკების მართვა

რისკების მართვის ძირითადი ამოცანას შეადგენდა კლიენტებისა და ბანკის ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა და უწყვეტი ფუნქციონირება.

### რისკის ძირითადი საზომი მაჩვენებლები

რისკის პოზიცია (მლნ ლარი)	181 2025	219 2024
სესხები და ავანსები (მლნ ლარი)	160 2025	195 2024
მესამე დონის სესხები მთლიან სასესხო პორტფელში ფასს მიხედვით (%)	18.2% 2025	11.4% 2024
ჯამური ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (%)	800% 2025	849% 2024
წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი (%)	181% 2025	162% 2024

## რისკების მართვა

### ბანკის უფლებამოსილი ორგანოები რისკების შეფასებისა და მართვის პროცესში

რისკების სტრატეგია, რისკ-აპეტიტი, პოლიტიკები, შეფასებისა და მართვის პროცედურები, სხვა პირობები ბანკის ღონეზე განისაზღვრება სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატის და სხვა უფლებამოსილი ორგანოების მიერ.

ბანკის მარეგულირებელი ორგანოს მხრიდან აქტიური საბანკო საქმიანობის შეჩერებისა და ბანკის მნიშვნელოვანი აქტივების გასხვისების გამო, კოლეგიალური ორგანოების ერთმა ნაწილმა შეაჩერეს საქმიანობა, მათ შორის: რისკების კომიტეტი (სამეთვალყურეო საბჭოსთან არსებული)- შეითავსა სამეთვალყურეო საბჭომ, აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი, რისკ-მენეჯმენტის კომიტეტი. მათი ფუნქციები შეითავსა დირექტორატმა.

ბანკის უფლებამოსილი ორგანოების მიერ ხორციელდება შემდეგი უფლებამოსილებები:

### სამეთვალყურეო საბჭო

- რისკების სახეების მიხედვით ბანკის საერთო პოლიტიკისა და მათი მართვის სტრატეგიული ორიენტირების განსაზღვრა და კოორდინირება;
- ბანკის რისკებისა და კაპიტალის მართვის სტრატეგიის, მათ შორის რისკ-აპეტიტის ჩარჩოს დამტკიცება;
- არსებითი რისკების მართვის სფეროში კოლეგიალური ორგანოების უფლებამოსილებათა განსაზღვრა;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში რისკების მდგომარეობის შესახებ ანგარიშის განხილვა;

### დირექტორატი

- რისკების მარეგულამენტირებელი და მეთოდოლოგიური დოკუმენტების (ბანკის პოლიტიკებისა და სტრატეგიული მიმართულებების გარდა) დამტკიცება;
- რისკების მართვის საკითხების დამტკიცება (რომლებიც არ შედიან ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსა და სხვა უფლებამოსილი ორგანოების კომპეტენციაში);
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში რისკების შესახებ ანგარიშის განხილვა;

### საკრედიტო კომიტეტი

- საკრედიტო რისკის მატარებელ გარიგებათა ჩატარების თაობაზე გადაწყვეტილებების მიღება;
- მისი კომპეტენციის ფარგლებში საკრედიტო რისკის მქონე სხვა სახის საკითხების განხილვა და გადაწყვეტილებების მიღება.

### რისკების სამმართველო

- ბანკში არსებითი რისკების მართვის სისტემების ეფექტური ფუნქციონირებისა და განვითარების უზრუნველყოფა ჯგუფის სტანდარტებისა და საუკეთესო საბანკო პრაქტიკის შესაბამისად;
- არსებითი რისკების მართვის შიდა მარეგულირებელ-მეთოდოლოგიურ დოკუმენტების შემუშავება საზედამხედველო მოთხოვნების გათვალისწინებით;
- ბანკის არსებითი რისკებში შემავალი ოპერაციების მიხედვით რისკების ანალიზის (მონიტორინგის) ჩატარების უზრუნველყოფა;
- ბანკისა და ჯგუფის მმართველი ორგანოებისათვის არსებითი რისკების თაობაზე ანგარიშგების მომზადება და წარდგენა;

## რისკების მართვის სტრატეგია

ბანკის რისკებისა და კაპიტალის მართვას ბანკი ახდენს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული „რისკებისა და კაპიტალის მართვის სტრატეგიისა“ და სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-ს რისკ-აპეტიტის საკონტროლო მაჩვენებლების, ასევე ბანკის რისკების გამსაზღვრელი პოლიტიკებისა და დებულებების საფუძველზე.

აღნიშნული დოკუმენტების შესაბამისად, ბანკის რისკებისა და კაპიტალის მართვის სისტემის ძირითად სტრატეგიულ მიზნებს წარმოადგენს შემოსავლების მიუღებლობის / ფინანსური დანაკარგების თავიდან აცილება ან / და მინიმუმამდე შემცირება; რისკების მართვა ბანკში ხორციელდება დაცვის სამი ხაზის პრინციპების საფუძველზე:

**დაცვის პირველ ხაზს** წარმოადგენენ ბანკის ქვედანაყოფები, რომლებსაც საქმიანობის პროცესში შეუძლიათ წარმოქმნან რისკები, არიან რისკის მფლობელები, პასუხს აგებენ ამ რისკების ყოველდღიურ მართვაზე (გამოვლენა ყოველდღიურ საქმიანობაში, კლასიფიკაცია, შეფასება, მინიმინზაციის ღონისძიებების დაგეგმვა, რისკების მართვისა და კონტროლის კონკრეტული ღონისძიებების დაგეგმვა);

**დაცვის მეორე ხაზი** ახორციელებს ბანკის ქვედანაყოფების დამოუკიდებელ შეფასებას, დაცვის პირველი ხაზის შეფასებას და შემოწმებას, ახორციელებს მაკოორდინირებელ როლს რისკების მართვის სფეროში. დაცვის მეორე ხაზი შედგება: რისკების მართვის ქვედანაყოფისა და ბანკის მმართველობითი ორგანოსაგან;

**დაცვის მესამე ხაზს** წარმოადგენს აუდიტი. ბანკის შიდა აუდიტი აკონტროლებს რისკების მართვის საერთო პროცესების ეფექტურობას და შესაბამისობას;

არსებითი რისკები, რომელსაც ბანკი ექვემდებარება თავის საქმიანობაში არის **საკრედიტო რისკი, საბაზრო რისკი, ლიკვიდურობის რისკი და საოპერაციო რისკი**. გარდა არსებითისა, ბანკის რისკების ჩარჩო აერთიანებს სხვა არაარსებით რისკებს, როგორცაა, შესაბამისობის რისკი, რეპუტაციის რისკი და სხვა.

ბანკის რისკების მართვა მოიცავს რისკების იდენტიფიცირებას, რისკების შეფასებას და მონიტორინგს, მათი მოცულობის, სტრუქტურის და კონცენტრაციის კონტროლს, რისკების მინიმინზაციისა და შემცირების ღონისძიებებს, რისკების შესახებ რეგულარული ანგარიშგების შედგენას და შესაბამის ღონეზე წარდგენა -გამოქვეყნებას.

ბანკის რისკ-მენეჯმენტის ძირითად პრინციპს წარმოადგენს ბანკის საქმიანობის მართვა **რისკის აპეტიტის** გათვალისწინებით. ბანკის რისკ-აპეტიტის ჩარჩო გამოიყენება უწყვეტ რეჟიმში ბანკის მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად გრძელვადიან პერსპექტივაში, მათ შორის სტრესულ სიტუაციებში. რისკ-აპეტიტი წარმოადგენს რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების სისტემას, რომელიც განსაზღვრავს რისკების აგრეგირებულ დონეს (პორტფელს) და რომლის აღების უნარი და/ან სურვილი აქვს ბანკს განვითარების დასახული სტრატეგიული მიზნების მისაღწევად. რისკ-აპეტიტის მაჩვენებლები ინტეგრირებულია ბანკის შიდა პროცესებში. რისკ-აპეტიტს, განსაზღვრავს ბანკის სამეთვალყურეო საბჭო რისკებისა და კაპიტალის მართვის სტრატეგიის შესაბამისად.

რისკ-აპეტიტის შესრულებაზე ბანკის მენეჯმენტი ანგარიშს უდგენს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს, ასევე ახდენს სათაო ბანკის ყოველკვარტალურ ინფორმირებას. რისკ-აპეტიტის ყოველთვიურ შესრულებაზე ინფორმაცია მიეწოდება ფინანსურ დირექტორს და რისკების დირექტორს. რისკების მართვის მარეგულირებელ-მეთოდოლოგიური ბაზა ფორმირდება თითოეული არსებითი რისკის ქრილში.

ბანკის რისკების მართვის სისტემას, როგორც ჯგუფის რისკების მართვის შემადგენელ ნაწილს, აქვს მრავალსაფეხურიანი სტრუქტურა, რომელიც მოიცავს ჯგუფის კონსოლიდირებული რისკების, ასევე ლოკალურ დონეზე რისკების მართვას. რისკების მართვის სისტემა აგებულია რისკის სახეებისა და ბიზნეს-ხაზების ქრილში (როგორცაა, კორპორატიული, მცირე და საცალო).

ბანკის რისკების მართვის სისტემის მართვის რგოლებია:

- სამეთვალყურეო საბჭო;
- დირექტორატი;
- უფლებამოსილი კომიტეტები;
- თანამდებობის პირები და სტრუქტურული ქვედანაყოფები.

აღნიშნული მუშა ორგანოების სტატუსს, საქმიანობის მიმართულებებს და პერსონალურ შემადგენლობას განსაზღვრავს ბანკის სამეთვალყურეო საბჭო.

ბანკში უზრუნველყოფილია რისკების მართვის ფუნქციის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ქვედანაყოფების ფუნქციონალური დამოუკიდებლობა. ბანკის რისკების მართვის ორგანიზაციული სისტემის ფარგლებში რისკების მართვის ფუნქცია დაკისრებული აქვს ბანკის რისკების დირექტორს.

## საკრედიტო რისკი

**საკრედიტო რისკი** არის ზარალის წარმოქმნის რისკი ბანკის მიმართ კონტრაგენტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, არადროული და არასრული შესრულების შედეგად. საკრედიტო რისკი, რომელსაც ბანკი ექვემდებარება თავისი საქმიანობის პროცესში, განპირობებულია საკრედიტო პორტფელის, გარანტიების და საკრედიტო ხასიათის მქონე სხვა სახელშეკრულებო ვალდებულებების არსებობით.

### უფლებამოსილებათა სისტემა რისკის აღებასთან დაკავშირებით

ბანკის მართვის ორგანოები (აქციონერთა კრება, სამეთვალყურეო საბჭო / დირექტორატი, საკრედიტო კომიტეტი, უფლებამოსილი პირები) იღებენ გადაწყვეტილებებს საკრედიტო გარიგებებზე ბანკის წესდებითა და ამ ორგანოების დებულებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში.

ბანკის მართვის ორგანოებს შეუძლიათ საკრედიტო რისკის მატარებელ ოპერაციებზე გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილებათა დელეგირება.

### რისკების შეფასება

ბანკის მიერ გამოყენებულ საკრედიტო რისკის შეფასების ძირითად მეთოდებს მიეკუთვნება კლიენტების კრედიტუნარიანობის დონის განსაზღვრის მეთოდოლოგია საფინანსო და არა საფინანსო მაჩვენებლების ანალიზისა და ექსპერტული შეფასების შედეგად.

### რისკის მუზღუდვისა და შემცირების მეთოდები

საკრედიტო რისკის მუზღუდვისა და საკრედიტო რისკის დონის კონტროლის ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს საკრედიტო ლიმიტების სისტემა. ლიმიტის სახეები: ლიმიტები საკრედიტო პორტფელისა და ცალკეული სეგმენტების მიხედვით; საკრედიტო რისკების კონცენტრაციის ლიმიტები (ქვეყნების, დარგების, მსხვილი კონტრაგენტების, საკრედიტო პროდუქტების მიხედვით); საკრედიტო-სადეპოზიტო ლიმიტები საკრედიტო ორგანიზაციების მიმართ (მათ შორის, სუბლიმიტები); სხვა ლიმიტები, რომლებიც დაწესებულია ჯგუფისა და ბანკის უფლებამოსილი ორგანოების მიერ.

უზრუნველყოფის არსებობა, რომელიც პასუხობს ბანკის მოთხოვნებს და მისი საკმარისობა გაითვალისწინება საკრედიტო გარიგებათა ღირებულების პირობების განსაზღვრისას, ასევე საკრედიტო გარიგების მიხედვით გადაწყვეტილების მიღებისას.

საგირავნო გარიგების ექსპერტიზის ჩატარებისას ბანკში განისაზღვრება უზრუნველყოფის საგნის საბაზრო და საგირავნო ღირებულება.

### მონიტორინგის პროცედურები

ბანკში ხორციელდება საკრედიტო პორტფელის მდგომარეობის მონიტორინგი დაწესებული საკონტროლო პორტფელური ლიმიტების (მუზღუდვების) დაცვის მიზნით, ასევე რისკების იდენტიფიცირებისა და შეფასების პროცედურების ფარგლებში.

კორპორატიული დაკრედიტების სეგმენტში საკრედიტო რისკის დონის მონიტორინგის მიზნით წესდება ბანკის რისკ-აპეტიტის მეტრიკები და საკონტროლო მნიშვნელობები.

საცალო დაკრედიტებაში, ასევე ხორციელდება რისკის დონისა და საცალო საკრედიტო პორტფელის შემოსავლიანობას შორის ბალანსის მონიტორინგი.

### მიდა ანგარიშგება

ბანკის ფინანსური მდგომარეობისა და რისკის მართვის სისტემის შესახებ აქციონერებს, კრედიტორებს და სხვა დაინტერესებული მხარეებს ინფორმირების მიზნით, ბანკი რეგულარულად ახდენს გარე ანგარიშგების მომზადებას ფასს-ის სტანდარტების შესაბამისად, მათ შორის საკრედიტო რისკების მართვის საკითხების ჩათვლით.

## საბაზრო რისკი

**საბაზრო რისკის** ქვეშ მოიაზრება ბანკის ფინანსური შედეგების გაუარესების რისკი აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულების (მოთხოვნების/ვალდებულებების) არახელსაყრელი ცვლილების შედეგად საბაზრო მაჩვენებლების-რისკ ფაქტორების გავლენის გამო (როგორცაა სავალუტო კურსები, საპროცენტო განაკვეთები, საკრედიტო სპრედები, აქციებისა და საფონდო ინდექსების კოტირებები და სხვა).

ბანკის მიერ ადებული საბაზრო რისკების ხასიათიდან და მათი მართვის მიდგომებიდან გამომდინარე, ბანკის ოპერაციები იყოფა სავალუტო რისკის ან საბანკო რისკის ოპერაციებად. სავალუტო რისკის ოპერაციებს ცნობილი მოვლენების გამო 2025 წლის განმავლობაში ადგილი არ ჰქონია.

### ბანკის ორგანოებისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების როლი და უფლებამოსილებები

ზემოაღნიშნული შეზღუდვის გამო, საბაზრო რისკების მართვაში მონაწილე სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია მოიცავს მთლიანი ღია სავალუტო პოზიციის მართვას და ღია სავალუტო პოზიციის ნორმატიული/საზედამხედველო ლიმიტების კონტროლს, ასევე საპროცენტო რისკის მართვასთან დაკავშირებული საკითხების განხორციელებას.

რისკების ქვედანაყოფი, შეიმუშავებს საბაზრო რისკების შეფასების მეთოდოლოგიას; ამზადებს წინადადებებს საბაზრო რისკების მართვის საკითხებზე; ახორციელებს კონტროლს დაწესებული საკონტროლო მაჩვენებლების, ლიმიტების დაცვაზე.

### რისკის შეფასების მეთოდები

საბაზრო რისკების შეფასების მეთოდოლოგიას ამტკიცებს დირექტორატი. საბაზრო

რისკების შეფასება ხორციელდება შემდეგი მიმართულებების მიხედვით:

პროცენტის ცვლილების მიმართ მდგომარეობა საბანკო რისკის ოპერაციების მიხედვით საპროცენტო რისკის შეფასება;

სავალუტო კურსის ცვლილების მიმართ მდგომარეობა საბანკო რისკის ოპერაციების მიხედვით სავალუტო რისკის შეფასება.

### რისკების შეზღუდვისა და შემცირების მეთოდები

საბანკო რისკის სავალუტო რისკის მართვას ბანკი ახდენს მიღებული მარეგულირებელი და მეთოდოლოგიური დოკუმენტების საფუძველზე, უზრუნველყოფს რა აქტივებისა და ვალდებულებების შესაბამისობას ვალუტების ჭრილში და ღია სავალუტო პოზიციის დაწესებული შეზღუდვების ჩარჩოში მოქცევას, მათ შორის რისკ-აპეტიტის, ღია სავალუტო პოზიციის საზედამხედველო ლიმიტების ნაწილში.

### მონიტორინგის პროცედურები

ადებული საბაზრო რისკის დონის მონიტორინგი ხორციელდება სალიმიტო სისტემის/რისკ-აპეტიტის მეტრიკების მეშვეობით. საპროცენტო რისკის დასაფარად საჭირო კაპიტალის დაწესებული ლიმიტის კონტროლს ახორციელებს რისკების ქვედანაყოფი.

### რისკის მიხედვით შიდა ანგარიშგება

ბანკის სავალუტო რისკების მდგომარეობის შესახებ ანგარიშებს ამზადებს ანგარიშგების სამმართველო და რისკების მართვის ქვედანაყოფი.

## ლიკვიდობის რისკი

**ლიკვიდობის რისკი** არის ბანკის მიერ საკუთარი ვალდებულებების სრულად და/ან დროულად შესრულების შესაძლებლობის არ ქონის გამო ზარალის წარმოქმნის რისკი.

ლიკვიდობის რისკის მართვა წარმოადგენს ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების მართვის ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც მიმართულია ბანკის მიმდინარე გადახდისუნარიანობის შესანარჩუნებლად ლიკვიდობის რისკის დონისა და ოპერაციების რენტაბელობის ოპტიმალური თანაფარდობის უზრუნველყოფის პირობებში.

### რისკის მართვის სფეროში კოლგეიალური ორგანოებისა და ქვედანაყოფების ფუნქციები

ლიკვიდობის მართვის პროცესში ბანკის კოლგეიალური ორგანოებსა და სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის ფუნქციები და მოვალეობები ნაწილდება ბანკის დირექტორატის, ხაზინის, რისკებისა და ანგარიშგების ქვედანაყოფებს შორის.

### ლიკვიდობის რისკის მართვის პროცედურა

ლიკვიდობის რისკის გამოვლენისა და მონიტორინგის პროცედურა მოიცავს ღონისძიებათა კომპლექსს, რომლებიც მიმართულია ლიკვიდობის შეუფერხებელი მართვისა და ლიკვიდობის რისკის სასურველ დონეზე შენარჩუნებისაკენ.

ლიკვიდობის რისკის შეზღუდვის პროცედურა მოიცავს ლიკვიდობის შიდა ნორმატივების, ვითების ჯგუფის მიერ ლიმიტების და შეზღუდვების დადგენას, აგრეთვე ლიკვიდობის კრიზისის პირობებში სამოქმედო გეგმის შემუშავებას და მისი რეალიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას.

2024 წლის განმავლობაში ბანკის ჭარბი ლიკვიდობა აიხსნება აქტიური ოპერაციების უქონლობით და მათი გამოყენების შეზღუდვით.

## საოპერაციო რისკი

**საოპერაციო რისკი** არის ბანკის ზარალის რისკი, რომელიც გამოწვეულია არაადეკვატური ან ხარვეზის მქონე შიდა პროცესებით და სისტემებით, პერსონალის მიერ მათი დარღვევებით ან გარე ფაქტორების ზემოქმედებით.

მოცემული განმარტება მოიცავს სამართლებრივ რისკს, მაგრამ გამორიცხავს სტრატეგიულ და რეპუტაციის რისკებს.

### საოპერაციო რისკების მართვის ორგანიზაციული სისტემა

საოპერაციო რისკების მართვის სისტემა აუცილებელია ზარალის აცილებისა და მინიმიზაციისათვის, რომელიც შეიძლება მიადგეს ბანკს საოპერაციო რისკების რეალიზაციის შედეგად.

საოპერაციო რისკების მართვაში ბანკის მიზნებს წარმოადგენს საოპერაციო რისკების მისაღები დონის გამოვლენა, შეფასება და განსაზღვრა, საოპერაციო რისკების მისაღები დონის მხარდასაჭერად დროული ზომების რეალიზაციის უზრუნველყოფა, საოპერაციო რისკების მოვლენების რეალიზაციიდან ბანკის ფინანსური შედეგების წარმოქმნის ალბათობის შემცირება, კონტროლის ეფექტურობის ამაღლება.

რისკის მოვლენის შესახებ მონაცემების შეკრების პროცესის ძირითადი ეტაპებია: რისკის მოვლენის გამოვლენა (იდენტიფიცირება), კლასიფიკაციის ჩატარება სხვადასხვა მიმართულებების მიხედვით, რისკის შემთხვევის წარმოქმნის მიზეზების ანალიზი და შედეგების შეფასება; რისკის მოვლენის და მასთან დაკავშირებული შედეგების რეგისტრაცია, რედაქტირება და შეთანხმება, გამოვლენილი რისკის მოვლენის შესახებ მონაცემების აქტუალიზაცია; რისკის მოვლენის შედეგების დარეგულირების ღონისძიებათა გეგმების შემუშავება და მომავალში რისკის მოვლენის წარმოქმნის რისკის შემცირება.

### რისკის აღებასთან დაკავშირებული ბანკის ორგანოებისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების პასუხისმგებლობა და უფლებამოსილებები

საოპერაციო რისკები ეფექტური მართვის უზრუნველსაყოფად საოპერაციო რისკების მართვის პროცესის მონაწილეთა ფუნქციები და პასუხისმგებლობა ნაწილდება დაცვის სამი ხაზის შესაბამისად.

### რისკების შეფასების, კაპიტალზე მოთხოვნისა და სტრუქტურის მეთოდები

ბანკში გამოიყენება საოპერაციო რისკების შეფასების / გაზომვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინსტრუმენტები. ბანკში საოპერაციო რისკების გამოვლენისა და შეფასების ძირითად მეთოდებს წარმოადგენს: საოპერაციო რისკების მოვლენების/ შემთხვევების შესახებ ცნობების შეკრება.

### რისკების შეზღუდვისა და შემცირების მეთოდები

საოპერაციო რისკების დონის კონტროლის მიზნით ბანკში გამოიყენება მიდგომები, რომლებიც შესაძლებლობას იძლევიან მოხდეს ბანკის ორგანოების, ქვედანაყოფებისა და მუშაკების ფუნქციებისა და პასუხისმგებლობის განაწილება, მათი უფლებამოსილების ლიმიტირება, გადაწყვეტილებების კოლეგიალურად მიღება, ორმაგი კონტროლის მექანიზმების პრინციპების გამოყენება და სხვა.

### რისკ-აპეტიტი

საოპერაციო რისკების ნაწილში რისკ-აპეტიტი შეიძლება განსაზღვრული იქნას როგორც დანაკარგების ოდენობა, რომელიც ბანკი მზად არის მიიღოს ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენის მქონე ძირითადი ფაქტორების შესაბამისად. ბანკისათვის რისკ-აპეტიტის რაოდენობრივ მაჩვენებელს განსაზღვრავს სათაო ბანკის საოპერაციო და რეგულატორული (კომპლაენს) რისკების კომიტეტი.

### სცენარული ანალიზი

სცენარული ანალიზი მოიცავს რისკის მოვლენების სცენარების იდენტიფიცირებას და შეფასებას, რომლებმაც შეიძლება არსებითი გავლენა იქონიონ ბანკის საქმიანობასა და ფინანსურ შედეგებზე. სცენარული ანალიზი ტარდება ჯგუფის სავალდებულო სცენარებით.

სცენარული ანალიზის მიზანია გამოავლინოს ბანკის საოპერაციო რისკების მიმართ პოტენციური დაქვემდებარების დონე, მოსალოდნელი ზარალის (შედეგების) ხდომილების ალბათობის შეფასება.

### საოპერაციო რისკების შესახებ ანგარიშგება

საოპერაციო რისკების შესახებ ანგარიშგება წარმოადგენს საოპერაციო რისკების მართვის პროცესის შემადგენელ ნაწილს და უზრუნველყოფს შესაბამისი მმართველი ორგანოების მუდმივ და თავისდროულ ინფორმირებას გადაწყვეტილებების მისაღებად. ამ შემთხვევაში საოპერაციო რისკების შესახებ ანგარიშგება უზრუნველყოფს რისკის გამჭირვალეობას და საოპერაციო რისკების მართვას აქცევს ყოველდღიურ უწყვეტ პროცესად.

საოპერაციო რისკების თაობაზე ბანკი ახდენს სებ-ის ყოველთვიურ ინფორმირებას დადგენილი ფორმითა და წესით. გარდა ამისა, ყოველწლიურად ხდება წლის მანძილზე რეალიზებული დანაკარგების დაზუსტება ბიზნესის, საოპერაციო რისკის კატეგორიების მიხედვით.

საოპერაციო რისკების შესახებ შიდა ანგარიშგება წარმოებს რისკების შესახებ ბანკის რეგულარული ანგარიშგების ფარგლებში, ასევე ვეტებულ-ს ჯგუფის წინაშე ანგარიშგების ფორმით და ვალებში, შიდა ნორმატიულ-მეთოდოლოგიური დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად.

## ბიზნეს უწყვეტობის გეგმა (BCP)

ბანკს გააჩნია თავისი მასშტაბის შესაბამისი ფორმალიზებული ბიზნეს უწყვეტობის გეგმა რომელიც შედგება ბიზნეს უწყვეტობის პოლიტიკისა და კრიზისის მართვის ინსტრუქციისგან.

ბიზნეს უწყვეტობის მართვა მოიცავს სტანდარტებისა და პროცედურების ერთობლიობას რომელიც მიმართულია საბანკო ბიზნეს პროცესების შენარჩუნების, მათი დროული აღდგენის და უმოკლეს ვადებში აღნიშნული პროცესების ჩვეულ რეჟიმში დაბრუნებისკენ, რათა მინიმუმადე იქნეს დაყვანილი მატერიული ზარალი, თავიდან იქნეს აცილებული როგორც ბაზრის წილის დაკარგვის, ბიზნესის დაკარგვის, რეპუტაციის შელახვის და სამართლებრივი პასუხისმგებლობების რისკები.

2024 საფინანსო წლის მანძილზე რაიმე არსებითი ხასიათის საოპერაციო რისკის მოვლენას ადგილი არ ჰქონია და საოპერაციო ზარალი ბანკს არ მიუღია.

## შესაბამისობის რისკი

შესაბამისობის რისკის მართვა მოიცავს საკანონმდებლო და რეგულაციური სანქციების, ფინანსური დანაკარგების, ან ბანკის რეპუტაციის დაკარგვის რისკის მართვას, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს კანონმდებლობის, წესებისა და სტანდარტების შეუსრულებლობა.

შესაბამისობის რისკის მართვას და შესაბამისობის სისტემის აგებას ახორციელებს ბანკის სტრუქტურული ერთეული - შესაბამისობის კონტროლისა და ფინანსური მონიტორინგის სამმართველო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და ვითიბი ჯგუფის რეკომენდაციების გათვალისწინებით.

### შესაბამისობის რისკების მართვა

შესაბამისობის რისკების მართვის მიზნით, შესაბამისობის კონტროლისა და ფინანსური მონიტორინგის სამმართველო ახდენს:

- პოტენციური და რეალიზებული შესაბამისობის რისკების იდენტიფიცირებას;
- შესაბამისობის რისკების კლასიფიცირებას და შეფასებას;
- გამოვლენილი შესაბამისობის რისკების მართვის ღონისძიებების შემუშავებას და დანერგვას.

## შესაბამისობის რისკების მონიტორინგი და კონტროლი

შესაბამისობის რისკების მონიტორინგი მიზნად ისახავს შესაბამისობის რისკის მატარებელი დარღვევების (ნაკლოვანებების) აღმოფხვრას და შესაბამისობის რისკების მართვის მიზნით პასუხისმგებელი სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ ყოვლისმომცველი და დროული ზომების მიღებას.

### ადამიანის უფლებების დაცვა

ბანკი აღიარებს და ყოველმხრივ ემხრობა საქართველოს კონსტიტუციითა და „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით“ განმტკიცებულ ადამიანის უფლებებს.

ბანკი პატივს სცემს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა. ადამიანის უფლებების დაცვა ბანკისთვის უმნიშვნელოვანეს ფასეულობას წარმოადგენს. ბანკის თითოეული თანამშრომელი - პიროვნებაა, თავისი ნიჭით, უნარებითა და ინტერესებით. ბანკი ეხმარება თანამშრომლებს, აღმოაჩინონ საკუთარი შესაძლებლობები და გამოავლინონ საკუთარი პოტენციალი. ბანკის თანამშრომლები სანდო, ენერგიული და გახსნილი ადამიანები არიან. ბანკი ქმნის წარმატებულ გუნდს, რომელიც მიისწრაფის განვითარებისა და ეფექტიანი ერთობლივი მუშაობისკენ.

ბანკი ზრუნავს და პატივს სცემს თითოეულ ადამიანს, არ უშვებს უსაფუძვლო პრივილეგიებისა და უპირატესობის მინიჭებას დასაქმების, დაწინაურებისა ან/და მატერიალური წახალისების გაცემისას. ბანკს შემუშავებული აქვს ეთიკის კოდექსი, რომელიც ასევე განამტკიცებს ზემოხსენებულ მიდგომებს. ბანკის შესაბამისობის კონტროლის სამსახური მუდმივ მონიტორინგს უწევს ეთიკის პრინციპების დაცვას, როგორც ბანკის, ასევე მისი თანამშრომლების მხრიდან. ანალიზებს იმ ფაქტორებს, რომელსაც შეუძლია გაზარდოს შესაბამისობის რისკი და გავლენა მოახდინოს ბანკის მხრიდან ეთიკურ სტანდარტებთან შეუსაბამობების მოცულობასა და მნიშვნელობაზე. ბანკში დანერგილია ცხელი ხაზის სისტემა. ნებისმიერ თანამშრომელს შეუძლია გამოიყენოს აღნიშნული სისტემა და მიმართოს შესაბამისობის კონტროლის სამსახურს დარღვევებისა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების თაობაზე. განცხადების წარმომდგენის სურვილით, მისი ვინაობის ანონიმურობა შენარჩუნებულია. ბანკი ზრუნავს არა მხოლოდ თანამშრომლების უფლებების დაცვაზე, არამედ მომხმარებელთა უფლებებზეც. ამ მიზნით ბანკში შემუშავებულია შესაბამისი პოლიტიკები, რომლებიც უზრუნველყოფს მომხმარებელთა პრეტენზიების მიღების, განხილვასა და გადაწყვეტილების მიღების წესს. ბანკის ვებ-გვერდზე შექმნილია პრეტენზიების ონლაინ მიღების არხი. მუდმივად ხდება ბანკში შემოსული პრეტენზიების ანალიზი. აღსანიშნავია, რომ ბანკის მიერ ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები არ გამოვლენილა არც 2020 წელს და არც წინა წლებში.

ბანკი თანამშრომლებისთვის ყოველწლიურად ატარებს ტრენინგებს ეთიკის საკითხებთან დაკავშირებით. სასწავლო პროგრამაში გათვალისწინებულია ადამიანის უფლებების დაცვის საკითხები.

### კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

ბანკი გმობს კორუფციას და კომერციული მოსყიდვის ნებისმიერ გამოვლინებას, როგორც ბანკის თანამშრომლების მხრიდან, ასევე მესამე პირების მხრიდან ბანკის თანამშრომელთა მისამართით. ბანკს შემუშავებული აქვს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს ბანკის თანამშრომელთა მიერ კორუფციის და კომერციული მოსყიდვის აღსაკვეთად მიმართულ ძირითად პრინციპებს. ბანკში დანერგილია თანამშრომელთა სწავლების ელექტრონული პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლებას კორუფციის და კომერციული მოსყიდვის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით, მათ შორის ახდენს იმ რისკების დემონსტრირებას, რაც შეიძლება მოყვეს კორუფციულ/კომერციულ სქემებში მონაწილეობის მიღებას. აღნიშნულ სწავლებას პერიოდულად (წელიწადში მინიმუმ ერთხელ) სავალდებულოდ გადის ბანკის ყველა თანამშრომელი.

კორუფციის და კომერციული მოსყიდვის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს ბანკში კურირებს შესაბამისობის კონტროლის სამსახური, რომელიც მუდმივ მონიტორინგს უწევს კორუფციასთან ბრძოლის საკითხების კოორდინაციას და პროცესების მართვას. ბანკი, არსებობის მანძილზე არ ყოფილა ჩართული კორუფციულ/კომერციული მოსყიდვის სქემებში და აღნიშნულთან დაკავშირებით ბანკის მიმართ არ ყოფილა წარმოდგენილი პრეტენზიები.

### ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა

ბანკს შემუშავებული აქვს ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის შიდა პოლიტიკა, რომელიც შესაბამისობაშია როგორც ადგილობრივ საკანონმდებლო მოთხოვნებთან, ასევე ჯგუფის მოთხოვნებთან და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან.

# კორპორაციული მართვა

## კორპორაციული მართვის სისტემის განვითარება

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-ს საქმიანობა ხორციელდება კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის და კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

ბანკის მმართველობითი სტრუქტურა (აქციონერთა კრება, სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი) შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებს და სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციების გადანაწილება ხელს უწყობს ორგანოებს შორის ბალანსის დაცვას და ბიუროკრატიული მიდგომების შემცირებას ბანკის ყოველდღიურ საქმიანობაში, ამავდროულად ეს ხელს არ უშლის როგორც შიდა, ისე გარე კონტროლის სრულფასოვნად განხორციელებას შესაძლო დარღვევების თავიდან აცილების და რისკების შემცირების მიზნით. ბანკში ფუნქციონირებს კორპორაციული მდივნის სტრუქტურული ერთეული, რომელიც ხელს უწყობს მმართველ ორგანოებს შორის კოორდინაციას და მათი მუშაობის გაუმჯობესებას.

კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკას შეესაბამება შიდა აუდიტის სამსახურის პირდაპირი დაქვემდებარება სამეთვალყურეო საბჭოსადმი.

ბანკი ყოველწლიურად იწვევს კონკურსის საფუძველზე შერჩეულ გარე აუდიტორულ კომპანიას, რომელიც ახორციელებს ბანკის მთელი საქმიანობის შემოწმებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ბანკი პერიოდულად აქვეყნებს მისი აქციონერების და ფინანსური მაჩვენებლების შესახებ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

## აქციონერთა საერთო კრება

უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს აქციონერთა საერთო კრება, რომელსაც სამეთვალყურეო საბჭო სულ მცირე წელიწადში ერთხელ იწვევს. საერთო კრება შეიძლება იყოს როგორც მორიგი, ისე რეგულარული.

აქციონერთა საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა კაპიტალის გაზრდა ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა, წლიური შედეგების განხილვა და მოგების განაწილება, წესდების დამტკიცება და ა.შ.

### აქციონერთა უფლებები

აქციონერები არ არიან პასუხისმგებელი ბანკის ვალდებულებებზე და ატარებენ ზარალის რისკს, დაკავშირებულს ბანკის საქმიანობასთან, მათი კუთვნილი აქციების ღირებულების ფარგლებში. ბანკის ყოველი ჩვეულებრივი აქცია ანიჭებს აქციონერს - მის მფლობელს უფლებათა ერთნაირ მოცულობას, ბანკის ჩვეულებრივი აქციის მფლობელს-აქციონერს უფლება აქვს:

1. მიიღოს მონაწილეობა აქციონერთა საერთო კრების მუშაობაში ხმის უფლებით, აქციონერთა საერთო კრების კომპეტენციის ყველა საკითხთან დაკავშირებით.
2. მიიღოს დივიდენდი აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების თანახმად, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.
3. ბანკის ლიკვიდაციის შემდეგ მიიღოს ბანკის ქონების ნაწილი, მის მფლობელობაში არსებული აქციების ღირებულების პროპორციულად, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

<sup>1</sup>დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 26 სექტემბრის ბრძანებით №215/04

## სამეთვალყურეო საბჭო

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, კომერციული ბანკის აუცილებელ მმართველობით რგოლს წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც, ერთი მხრივ, ზედამხედველობას უწევს აღმასრულებელ ორგანოებს, ხოლო მეორეს მხრივ, უზრუნველყოფს აქციონერთა გადაწყვეტილებების განხორციელებას და ზრუნავს ბანკის სტაბილურობასა და რენტაბელურობაზე. ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ინიშნებიან აქციონერთა კრების მიერ. საბჭო შედგება სულ მცირე 5 და არა უმეტეს 21 წევრისაგან, რომელთა უფლებამოსილების ვადა შეადგენს 4 წელს.

სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში არ შეიძლება იყვნენ ბანკის დირექტორატის წევრები, ამასთან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ უნდა ასრულებდეს სხვა აღმასრულებელ ფუნქციებს ბანკში.

სამეთვალყურეო საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს. თუ გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღებული, იმართება ფარული კენჭისყრა, ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში კი თავმჯდომარედ კანდიდატთა შორის უხუცესი წევრი ინიშნება.

სამეთვალყურეო საბჭოს საორგანიზაციო მუშაობას უზრუნველყოფს კორპორატიული მდივანი. წესდების თანახმად შესაძლებელია, რომ საბჭომ გადაწყვეტილება მიიღოს გამოკითხვის გზით, როდესაც საბჭოს წევრი თავის პოზიციას განსახილველ საკითხთან დაკავშირებით აფიქსირებს კენჭისყრის ბიულეტენში და უგზავნის კორპორატიულ მდივანს.

სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს ბანკის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს და განვითარების სტრატეგიას. სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას განეკუთვნება: ბანკის ბიზნეს-გეგმის დამტკიცება, აქციონერთა საერთო კრების მოწვევა, საადრინცხო დღის და დღის წესრიგის განსაზღვრა, დირექტორატის წევრების (დირექტორების) დანიშვნა და ა.შ.

2025 წლის განმავლობაში ჩატარდა 11 სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა დაუსრულებელი კენჭისყრით, გამოკითხვის წესით.

2025 წლის მდგომარეობით, სამეთვალყურეო საბჭო წარმოდგენილი იყო შემდეგი 4 წევრის შემადგენლობით:

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე - სერგეი სტეპანოვი;

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე - ილნარ შაიმარდანოვი;

სამეთვალყურეო საბჭოს წევრი - სვეტლანა კოროლიოვა;

სამეთვალყურეო საბჭოს წევრი - ასია ზახაროვა.

### სამეთვალყურეო საბჭოს წევრების განათლება და გამოცდილება

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები აირჩევა აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით. მათი განათლება, გამოცდილება და საქმიანი რეპუტაცია სრულად შესაბამეა და აკმაყოფილებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს - სერგეი სტეპანოვს აქვს მიღებული სახელმწიფო უნივერსიტეტის «ეკონომიკის უმაღლესი სკოლა» ეკონომისტის განათლება, ბანკები და საბანკო საქმიანობის სპეციალობით. სერგეი სტეპანოვს მრავალწლიანი გამოცდილება აქვს საბანკო სფეროში, 2013 წლიდან ხელმძღვანელობს ბანკი ვეტბეს (სსს) შვილობილი კომპანიების კოორდინაციის სამსახურს, იგი იკავებს ვიცე-პრეზიდენტის პოზიციას.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს - ილნარ შაიმარდანოვს აქვს მიღებული ყაზანის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის განათლება, სოციალური სამსახურის სპეციალობით, ასევე აქვს მიღებული რუსეთის მთავრობასთან არსებული ფინანსური უნივერსიტეტის ეკონომისტის განათლება. ილნარ შაიმარდანოვს მრავალწლიანი გამოცდილება აქვს საბანკო სფეროში, 2014 წლიდან იგი ვეტბე ბანკში სხვადასხვა პოზიციებს იკავებდა, 2018 წლიდან ბანკი ვტბ (სსს) შვილობილ კომპანიებში საცალო ბიზნესის განვითარების სამმართველოს უფროსი - ვიცე-პრეზიდენტის პოზიციას იკავებს.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრს - სვეტლანა კოროლიოვას დამთავრებული აქვს მოსკოვის სახელმწიფო ინდუსტრიული უნივერსიტეტი, მანქანათმშენებლობის საწარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობით. სვეტლანა კოროლიოვას მრავალწლიანი გამოცდილება აქვს საბანკო სფეროში, 2015 წლიდან იგი ვეტბე ბანკში სხვადასხვა პოზიციებს იკავებდა, 2023 წლიდან იგი ბანკი ვტბ (სსს) შვილობილ კომპანიებში ბიზნესის კოორდინაციისა და განვითარების სამმართველოს მმართველი დირექტორის პოზიციას იკავებს.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრს - ასია ზახაროვას დამთავრებული აქვს რუსეთის მართვის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეროვნული ეკონომიკის სპეციალობით. ასია ზახაროვას მრავალწლიანი გამოცდილება აქვს საბანკო სფეროში, 2010 წლიდან მუშაობს ვეტბე ჯგუფში, 2018 წლიდან იგი იკავებს „ბანკ ვეტბეს“ (სსს) მმართველობით დირექტორის პოზიციას.

## ღირექტორატი

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-ს ღირექტორატი წარმოადგენს კოლეგიალურ მმართველობით ორგანოს, რომლის წევრებს (ღირექტორებს) თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ბანკის სამეთვალყურეო საბჭო.

2025 წლის, მდგომარეობით, ღირექტორატის შემადგენლობა განსაზღვრული იყო 6 წევრით:

- გენერალური ღირექტორი - არჩილ კონცელიძე;
- ფინანსური ღირექტორი - მამუკა მენტეშაშვილი;
- საცალო ბიზნესის ღირექტორი - ნათია თხილაიშვილი;
- კორპორატიული ბიზნესის ღირექტორი - ვლადიმერ რობაქიძე;
- რისკების ღირექტორი - ნიკო ჩხეტიანი;
- საოპერაციო ღირექტორი - ირაკლი დოლიძე.

ბანკის ღირექტორატის წევრები სრულად აკმაყოფილებენ იმ მოთხოვნებს და კრიტერიუმებს, რაც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილია ბანკის ადმინისტრატორებისათვის. ღირექტორატის თითოეული წევრი აღჭურვილია წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით, იმის გათვალისწინებით, რომ თუ გარიგების ღირებულება აღემატება 7 მილიონ აშშ დოლარს ან მის ეკვივალენტს ნებისმიერ ვალუტაში, გარიგებაზე ხელმოწერის უფლება აქვს მხოლოდ გენერალურ ღირექტორს ან ღირექტორატის ნებისმიერ ორ წევრს ერთდროულად.

ღირექტორატის მიერ გადაწყვეტილებები მიიღება კოლეგიალურად. ღირექტორატის მუშაობის საორგანიზაციო მხარეს ასევე უზრუნველყოფს კორპორატიული მდივანი. ბანკში შემუშავებულია წესი, რომელიც განსაზღვრავს ღირექტორატისთვის საკითხების წარდგენის წესს.

ღირექტორატი გადაწყვეტილებებს იღებს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: შემდგომი ფინანსური წლისათვის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცება, ბანკის სათავო ოფისის სტრუქტურული ერთეულების დახურვა და დახურვა, ბანკის ფილიალებისა და სხვა სტრუქტურული ერთეულების კონტროლი, ბანკის საქმიანობის პროცედურების და ბიზნეს-პროცესების მარეგლამენტირებელი შიდა დოკუმენტების დამტკიცება და ა.შ.

2025 წლის განმავლობაში სულ გაიმართა ღირექტორატის 23 სხდომა.

### ღირექტორატის წევრთა განათლება და გამოცდილება

ღირექტორატის წევრები ინიშნებიან სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით. მათი განათლება, გამოცდილება და საქმიანი რეპუტაცია სრულად შესაბამეა და აკმაყოფილებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

გენერალურ ღირექტორს - არჩილ კონცელიძეს აქვს მიღებული საქართველოს პოლიტიკური ინსტიტუტის განათლება, მანქანათმშენებლობის დარგში, ასევე აქვს მიღებული ამერიკის წმ. ბონავენტურას უნივერსიტეტის ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი კორპორატიული ფინანსების განხრით. არჩილ კონცელიძეს მრავალწლიანი გამოცდილება აქვს, 2009 წლიდან იგი იკავებს სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-ს გენერალური ღირექტორის პოზიციას.

ფინანსურ ღირექტორს - მამუკა მენტეშაშვილს აქვს მიღებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლება, მანქანათმშენებლობის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობით, ასევე აქვს მიღებული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განათლება საინჟინრო ეკონომიკის სპეციალობით. მამუკა მენტეშაშვილს მრავალწლიანი გამოცდილება აქვს საბანკო სფეროში, 2009 წლიდან იგი იკავებს სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-ს ღირექტორის პოზიციას.

საცალო ბიზნესის ღირექტორს - ნათია თხილაიშვილს მიღებული აქვს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განათლება ინგლისური ენის მთარგმნელ-რეფერენტის სპეციალობით. ასევე აქვს მიღებული პროკრედიტ აკადემიის (გერმანია, ფრანკფურტი) საბანკო საქმის და მენეჯმენტის მაგისტრის ხარისხი. ნათია თხილაიშვილს მრავალწლიანი გამოცდილება აქვს საბანკო სფეროში, 2022 წლიდან იგი იკავებს სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-ს საცალო ბიზნესის ღირექტორის პოზიციას.

კორპორატიული ბიზნესის ღირექტორს - ვლადიმერ რობაქიძეს აქვს მიღებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლება, საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკა და მართვის სპეციალობით. აქვს ასევე მიღებული ამავე უნივერსიტეტის განათლება სამართალმცოდნეობის სპეციალობით. ვლადიმერ რობაქიძეს მრავალწლიანი გამოცდილება აქვს საბანკო სფეროში, 2011 წლიდან იგი იკავებს სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-ს კორპორატიული ბიზნესის ღირექტორის პოზიციას.

რისკების ღირექტორს - ნიკო ჩხეტიანს აქვს მიღებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლება, ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობით, აქვს მიღებული ეკონომიკის მაგისტრის ხარისხი. ნიკო ჩხეტიანს მრავალწლიანი გამოცდილება აქვს საბანკო სფეროში, 2008 წლიდან იგი იკავებს სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-ს ღირექტორის პოზიციას.

საოპერაციო ღირექტორს - ირაკლი დოლიძეს აქვს მიღებული ამერიკის ინდიანაპოლისის უნივერსიტეტი განათლება, ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხით. ასევე აქვს მიღებული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განათლება საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობით. ირაკლი დოლიძეს მრავალწლიანი გამოცდილება აქვს საბანკო სფეროში, 2009 წლიდან იგი იკავებდა სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-ს ვიდე-პრეზიდენტის, პერსონალის სამმართველოს უფროსის პოზიციას, ხოლო 2015 წლიდან იკავებს საოპერაციო ღირექტორის პოზიციას.

## გენერალური დირექტორი

ბანკის გენერალური დირექტორი, რომელიც ინიშნება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, ხელმძღვანელობს დირექტორატს და ბანკის ყოველდღიურ საქმიანობას. ბანკის გენერალური დირექტორია არჩილ კონცელიძე.

## შიდა აუდიტის სამსახური

ბანკის საქმიანობა ექვემდებარება მკაცრ ნორმატიულ რეგულირებას, შესაბამისად, საქმიანობის თითქმის ყველა მიმართულებასთან დაკავშირებით მოქმედებს როგორც საკანონმდებლო, ისე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, რომლებიც აწესებს შესაბამის მოთხოვნებსა და პროცედურებს. ბანკის თითოეული სტრუქტურული ერთეული ვალდებულია, ზუსტად და განუხრელად დაიცვას მის საქმიანობასთან დაკავშირებით არსებული მოთხოვნები. ასეთი მოთხოვნებისა და პროცედურების შესრულებაზე უშუალო კონტროლი ხორციელდება შიდა აუდიტის სამსახურის მიერ, რომელიც წარმოადგენს ბანკის დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულს. სამსახურის პერსონალური შემადგენლობა მტკიცდება ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, აუდიტის კომიტეტის წარდგენის საფუძველზე. შიდა აუდიტის სამსახური ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს და აუდიტის კომიტეტის წინაშე. სამსახურის ძირითად მიზნებს წარმოადგენს:

- ბანკის მენეჯმენტისათვის დახმარების გაწევა ბანკის ეფექტიან ფუნქციონირებაში.
- ბანკის საქმიანობის შესაბამისობის კონტროლის სანდოობის ამაღლება.
- ბანკის აქტივების დაცვის უზრუნველყოფა.
- ბანკის საქმიანობის ეფექტიანობის და შედეგიანობის გაუმჯობესება.

## აუდიტის კომიტეტი

აუდიტის კომიტეტის ფუნქციონირება დროებით შეჩერებულია. მის ფუნქციებს ითავსებს სამეთვალყურეო საბჭო.

## რისკების კომიტეტი

საკანონმდებლო მოთხოვნათა გათვალისწინებით და რისკების მართვის ჩარჩოს ფარგლებში რისკების მონიტორინგის განხორციელების მიზნით სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილია რისკების კომიტეტი, რომელიც შედგება სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან.

2022 წლიდან, სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობიდან დამოუკიდებელი წევრების გასვლის გამო ვერ ფუნქციონირებს რისკების კომიტეტი, მათი საკითხების განხილვა ხდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

# არაფინანსური ანგარიშგება

## პერსონალი

### პერსონალის სტრუქტურა

2025 წლის ბოლოსთვის, ბანკის პერსონალის ფაქტობრივმა რაოდენობამ 82 თანამშრომელი შეადგინა, საიდანაც 80 თანამშრომელი დასაქმებული იყო სათაო ოფისში, ხოლო 2 - გაყიდვების წერტილებში. ბანკის თანამშრომელთა საშუალო წლიური რაოდენობა იყო - 83. თანამშრომელთა 42% ქალბატონია, ხოლო 58% - მამაკაცი.

რაც შეეხება ასაკობრივ განაწილებას: 25 წლამდე თანამშრომელთა წილი შეადგენს ნულს, 25-დან 40 წლამდე - 16% მდე; 40-დან 55 წლამდე - 47%-ს, ხოლო 55 წელს გადაცილებულ თანამშრომელთა წილი - 37%.

### პერსონალის სწავლება

2025 წლის განმავლობაში ორგანიზებული და ჩატარებული იყო 2 გარე პროვაიდერების მიერ მომზადებული ტრენინგი.

### პერსონალის შერჩევა

ბანკის ფაქტიური/მიმდინარე მდგომარეობიდან გამომდინარე, რომელიც მათ შორის გულისხმობს ბანკისათვის საოპერაციო/საკრედიტო საქმიანობის შეზღუდვას, პერსონალის შერჩევა შეჩერებულია.

„ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ სამეთვალყურეო  
საბჭოს თავმჯდომარე


სერგეი სტეპანოვი



„ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ გენერალური  
დირექტორი

არჩილ კონცელიძე





# სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“

## ფინანსური ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

## სარჩევი

### დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

#### ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება .....	6
სრული შემოსავლის ანგარიშგება .....	7
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება .....	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება .....	9

#### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. შესავალი .....	10
2. მომზადების საფუძველი, ფუნქციონირებადი საწარმო, სააღრიცხვო პოლიტიკა .....	11
3. სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასთან დაკავშირებით გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები .....	24
4. ბუღალტრული აღრიცხვის ახალი ინტერპრეტაციები .....	27
5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები .....	27
6. მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები .....	27
7. ძირითადი საშუალებები .....	33
8. საინვესტიციო ქონება .....	34
9. გადასახადებით დაბეგვრა .....	34
10. საკრედიტო ზარალის (ხარჯი)/აღდგენა და სხვა გაუფასურება და ანარიცხები .....	35
11. სხვა აქტივები და ვალდებულებები .....	36
12. ვალდებულებები მომხმარებლების წინაშე .....	37
13. კაპიტალი .....	38
14. პირობითი ვალდებულებები .....	39
15. პერსონალის და სხვა საოპერაციო ხარჯები .....	40
16. რისკის მართვა .....	41
17. რეალური ღირებულების შეფასება .....	55
18. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი .....	61
19. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები .....	62
20. კაპიტალის ადეკვატურობა .....	64

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ აქციონერებს და სამეთვალყურეო საბჭოს

### *უარი მოსაზრების გამოთქმაზე*

ჩვენ დავინიშნეთ სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ (შემდგომში „ბანკი“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტორებად, რომელიც შედგება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალის ანგარიშგების, სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას ბანკის თანდართული ფინანსური ანგარიშგების თაობაზე. ჩვენი ანგარიშის ნაწილში სახელწოდებით „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ განხილული საკითხების დიდი მნიშვნელობის გამო, ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება, რის საფუძველზეც გამოვთქვამდით აუდიტორულ მოსაზრებას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

### *მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი*

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაზე, რომელშიც აღწერილია, რომ ბანკი, 2022 წლის 24 თებერვალს უკრაინაში რუსეთის ფედერაციის შეჭრის შემდეგ, დასაწყობირდა კონკრეტული ქვეყნების მიერ, რამაც ნეგატიური გავლენა იქონია ბანკის ოპერაციებზე 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის და საანგარიშგებო თარიღის შემდეგ. მოვლენების შემდგომ განვითარებასთან და გავლენის ვადებთან, ასევე მე-2 შენიშვნაში აღწერილ სხვა მოვლენებთან დაკავშირებით არსებული განუსაზღვრელობის გამო, რაც ბანკის კონტროლს არ ექვემდებარება, ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო დარწმუნებით შეეფასებინა ბანკის უნარი, განაგრძოს ოპერირება, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. შესაბამისად ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესახებ.

### *სხვა ინფორმაცია*

სხვა ინფორმაცია მოიცავს წლიურ ანგარიშს. ხელმძღვანელობა პასუხს აგებს წლიურ ანგარიშზე. ჩვენი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს წლიურ ანგარიშს.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს წლიურ ანგარიშის წაკითხვას, და შესაბამისად იმის განსაზღვრას, არის თუ არა წლიურ ანგარიშში არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ცოდნასთან, ან სხვაგვარად ხომ არ მოიცავს ის არსებით უზუსტობებს.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- როგორც განმარტებულია ჩვენი „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველის“ სექციაში, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესახებ. შესაბამისად, ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე ჩვენ ვერ გამოგვაქვს დასკვნა იმასთან დაკავშირებით არის თუ არა მმართველობის ანგარიშგება არსებითად ზუსტი ამ მოვლენასთან მიმართებით.
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

### **ხელმძღვანელობის და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ბანკის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ბანკის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტის კომიტეტი პასუხისმგებელი არიან ბანკის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

### **აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩავატაროთ ბანკის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გამოვუშვათ აუდიტორის დასკვნა. თუმცა ჩვენი ანგარიშის ნაწილში, სახელწოდებით „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“, განხილული საკითხის გამო ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება, რის საფუძველზეც გამოვთქვამდით აუდიტორულ მოსაზრებას წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ბანკისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) (ბესსს-ის კოდექსი), და შესრულებული გვაქვს ბესსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.



13 მაისი 2026

მარიამ არაქელაშვილი

შპს „იუ ეიჩ უაი საქართველო“

თბილისი, საქართველო

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ბანკისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) (ბესსს-ის კოდექსი), და შესრულებული გვაქვს ბესსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

13 მაისი 2026

მარიამ არაქელაშვილი

შპს „იუ ეიჩ უაი საქართველო“

თბილისი, საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნები	2025	2024
<b>აქტივები</b>			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	205,039	176,997
მოთხოვნები ბანკების და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების მიმართ		115	119
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები	6	130,913	171,710
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები		54	54
ძირითადი საშუალებები	7	32,695	34,040
საინვესტიციო ქონება	8	29,666	28,072
გადავადებული საგადასახადო აქტივი	9	-	317
სხვა აქტივები	11	41,880	39,245
<b>სულ აქტივები</b>		<b>440,362</b>	<b>450,554</b>
<b>ვალდებულებები</b>			
ვალდებულებები ბანკების და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების წინაშე		291	294
ვალდებულება მომხმარებლების წინაშე	12	12,812	12,962
სხვა ვალდებულებები	11	19,588	16,906
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	9	166	-
სუბორდინირებული სესხი	16	130,620	89,812
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>163,477</b>	<b>119,974</b>
<b>კაპიტალი</b>			
განთავსებული კაპიტალი	13	209,008	209,008
მიწის ნაკვეთების და შენობა-ნაგებობების გადაფასების რეზერვი		12,399	12,471
უვადო სუბორდინირებული სესხი	13	58,225	43,189
გაუნაწილებელი მოგება		(2,747)	65,912
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>276,885</b>	<b>330,580</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>		<b>440,362</b>	<b>450,554</b>

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად ბანკის დირექტორატის სახელით 2026 წლის 13 მაისს.

  
 ირაკლი კონდეკაშვილი  
 გენერალური დირექტორი



  
 მამუკა მენთეშვილი  
 ფინანსური დირექტორი



10-64 გვერდებზე დართული შერჩეული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**

**31 დეკემბრის მდგომარეობით**

(ათას ლარში)

	<i>შენიშვნები</i>	<b>2025</b>	<b>2024</b>
<b>აქტივები</b>			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	205,039	176,997
მოთხოვნები ბანკების და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების მიმართ		115	119
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები	6	130,913	171,710
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები		54	54
ძირითადი საშუალებები	7	32,695	34,040
საინვესტიციო ქონება	8	29,666	28,072
გადავადებული საგადასახადო აქტივი	9	-	317
სხვა აქტივები	11	41,880	39,245
<b>სულ აქტივები</b>		<b>440,362</b>	<b>450,554</b>
<b>ვალდებულებები</b>			
ვალდებულებები ბანკების და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების წინაშე		291	294
ვალდებულება მომხმარებლების წინაშე	12	12,812	12,962
სხვა ვალდებულებები	11	19,588	16,906
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	9	166	-
სუბორდინირებული სესხი	16	130,620	89,812
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>163,477</b>	<b>119,974</b>
<b>კაპიტალი</b>			
განთავსებული კაპიტალი	13	209,008	209,008
მიწის ნაკვეთების და შენობა-ნაგებობების გადაფასების რეზერვი		12,399	12,471
უვადო სუბორდინირებული სესხი	13	58,225	43,189
გაუნაწილებელი მოგება		(2,747)	65,912
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>276,885</b>	<b>330,580</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>		<b>440,362</b>	<b>450,554</b>

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად ბანკის დირექტორატის სახელით 2026 წლის 13 მაისს.

არჩილ კონცელიძე  
გენერალური დირექტორი

მამუკა მენტეშაშვილი  
ფინანსური დირექტორი

**სრული შემოსავლის ანგარიშგება**

**31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**

(ათას ლარში)

	<i>შენიშვნები</i>	<b>2025</b>	<b>2024</b>
<b>ფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებული საპროცენტო ამონაგები</b>			
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები		12,683	16,802
		<b>12,683</b>	<b>16,802</b>
<b>საპროცენტო ხარჯი</b>			
ვალდებულება მომხმარებლების წინაშე		(906)	(1,086)
სუბორდინირებული სესხი		(9,274)	(8,148)
		<b>(10,180)</b>	<b>(9,234)</b>
<b>გადახდები ანაზღაურების დაზღვევის სისტემაში</b>		(17)	(19)
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>		<b>2,486</b>	<b>7,549</b>
საკრედიტო ზარალის ხარჯი	10	(10,077)	(8,038)
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი საკრედიტო ზარალის ხარჯის შემდეგ</b>		<b>(7,591)</b>	<b>(489)</b>
წმინდა საკომისიო შემოსავალი		(2)	19
წმინდა შემოსულობა უცხოური ვალუტებიდან:			
საკურსო სხვაობებიდან		-	21,395
ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარებიდან, სესხების რესტრუქტურულიზაციიდან და გაცემულ სახსრებთან დაკავშირებული სხვა წმინდა ზარალი		(698)	(220)
წმინდა შემოსულობა საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან	8	951	2,151
სხვა შემოსავალი		30	17
<b>არასაპროცენტო შემოსავალი</b>		<b>281</b>	<b>23,362</b>
წმინდა ზარალი უცხოური ვალუტებიდან:			
საკურსო სხვაობებიდან		(33,651)	-
თანამშრომლებზე გაწეული დანახარჯები	15	(7,985)	(9,323)
ცვეთა	7,8	(1,192)	(1,311)
სხვა საოპერაციო ხარჯები	15	(3,498)	(3,804)
კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებების შემობრუნება	10	-	17
<b>არასაპროცენტო ხარჯები</b>		<b>(46,326)</b>	<b>(14,421)</b>
<b>(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადის ხარჯის გაწევამდე</b>		<b>(53,636)</b>	<b>8,451</b>
მოგების გადასახადის ხარჯი	9	(398)	(42)
<b>წლის (ზარალი)/მოგება</b>		<b>(54,034)</b>	<b>8,410</b>
<b>სხვა სრული შემოსავალი</b>			
მიწის ნაკვეთის და შენობა-ნაგებობების გადაფასება	7	424	830
მოგების გადასახადის ფექტი	9	(85)	(3)
<b>წლის მთლიანი სრული (ზარალი)/შემოსავალი</b>		<b>(53,695)</b>	<b>9,237</b>

10-64 გვერდებზე დართული შერჩეული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

**კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება**

**31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**

(ათას ლარში)

	სააქციო შენიშვნები	მიწის ნაკვეთების და შენობა- ნაგებობების გადაფასების რეზერვი	უვადო სუბორდინი- რებული სესხი	გაუნაწილე- ბელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
<b>2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>209,008</b>	<b>11,740</b>	<b>50,857</b>	<b>49,738</b>	<b>321,343</b>
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	827	–	8,410	9,237
უცხოური ვალუტის გაცვლა უვადო სუბორდინირებულ სესხზე	–	–	(7,668)	7,668	–
გადაფასების რეზერვის ცვთა, გადასახადის გამოკლებით	–	(96)	–	96	–
<b>2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>209,008</b>	<b>12,471</b>	<b>43,189</b>	<b>65,912</b>	<b>330,580</b>
წლის მთლიანი სრული ზარალი	–	339	–	(54,034)	(53,695)
უცხოური ვალუტის გაცვლა უვადო სუბორდინირებულ სესხზე	–	–	15,036	(15,036)	–
გადაფასების რეზერვის ცვთა, გადასახადის გამოკლებით	–	(411)	–	411	–
<b>2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>209,008</b>	<b>12,399</b>	<b>58,225</b>	<b>(2,747)</b>	<b>276,885</b>

10-64 გვერდებზე დართული შერჩეული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

**ფულადი ნაკადების ანგარიშგება**

**31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**

(ათას ლარში)

	<i>შენიშვნები</i>	<b>2025</b>	<b>2024</b>
<b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები</b>			
მიღებული პროცენტი		7,630	9,198
გადახდილი პროცენტი		(960)	(1,052)
მიღებული საკომისიო		71	39
გადახდილი საკომისიო		(372)	(378)
		16	
სხვა მიღებული შემოსავალი		(595)	17
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები		(7,371)	(7,427)
გადახდილი სხვა საოპერაციო ხარჯები		(5,997)	(4,674)
<b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები</b>			
<b>საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე</b>		<b>(7,578)</b>	<b>(4,277)</b>
<i>საოპერაციო აქტივების წმინდა (ზრდა)/კლება</i>			
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები		32,516	28,635
სხვა აქტივები		(4,468)	284
<i>საოპერაციო ვალდებულებების წმინდა ზრდა/(კლება)</i>			
ვალდებულება მომხმარებლების წინაშე		317	(4,001)
სხვა ვალდებულებები		5,028	(1,089)
<b>წმინდა საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები დაბეგვრამდე</b>		<b>25,815</b>	<b>18,984</b>
<b>საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები</b>			
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შექმნა		(116)	(4)
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		837	-
შემოსულობა საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან		814	3,903
<b>საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები</b>		<b>1,535</b>	<b>3,899</b>
გაცვლითი კურსების ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		692	977
<b>ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ცვლილება</b>		<b>28,042</b>	<b>23,860</b>
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისი	5	176,997	153,137
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, წლის ბოლოს</b>	<b>5</b>	<b>205,039</b>	<b>176,997</b>

10-64 გვერდებზე დართული შერჩეული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

(ათას ლარში)

**1. შესავალი**

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ (შემდგომში „ბანკი“) 1995 წლის 7 აპრილს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოყალიბდა სააქციო საზოგადოებად „გაერთიანებული ქართული ბანკის“ სახელით. თბილისის ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ ბანკს მიანიჭა სარეგისტრაციო ნომერი 202906427. 2006 წლის 7 დეკემბერს ბანკმა შეიცვალა სახელი და ეწოდა „ვითიბი ბანკი ჯორჯია“. ბანკი საქმიანობს საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „სებ“-ი) მიერ 1995 წლის 19 მაისს გაცემული ზოგადი საბანკო ლიცენზიით.

ბანკი 2022 წლის 24 თებერვლამდე იღებდა ანაზღაურებად მოსახლეობისგან, გასცემდა სესხებს, ახორციელებდა ფულად გადარიცხვებს საქართველოში და საზღვარგარეთ, აწარმოებდა ვალუტის გაცვლით ოპერაციებს და თავის კორპორაციულ და საცალო მომხმარებლებს სთავაზობს სხვადასხვა საბანკო მომსახურებას. ბანკის სათავო ოფისი მდებარეობს თბილისში, საქართველოში. 2022 წლის 24 თებერვლიდან სანქციების გამო ბანკის აქტივობები შეიზღუდა. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკი ფლობდა ერთ ფილიალს თბილისში (2024 წ.: ერთი ფილიალს თბილისში).

ბანკის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი ჭავჭავაძის ქ. #14.

2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის მიმოქცევაში გამოშვებული აქციების 1%-ზე მეტს ფლობდნენ შემდეგი აქციონერები:

<b>პარტნიორი</b>	<b>2025, %</b>	<b>2024, %</b>
ღსს „ვითიბი ბანკი“	97.38	97.38
„Lacarpa Enterprises Limited“	1.47	1.47
სხვა	1.14	1.14
<b>მთლიანი</b>	<b>100.00</b>	<b>100.00</b>

ღსს „ვითიბი ბანკი“, (შემდგომში „მშობელი ბანკი“) არის ბანკის პირდაპირი მშობელი საწარმო. ჯგუფის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის რუსეთის ფედერაციის მთავრობა, რომელიც მოქმედებს „ქონების ფედერალური სააგენტოს“ მეშვეობით და 2025 წლის 31 დეკემბრისთვის ფლობს მშობელი ბანკის გამოშვებული და მიმოქცევაში მყოფი აქციების 60%-ს (2024 წ.: 60%).

2025 წლის და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორატის წევრები არ ფლობდნენ ბანკის აქციებს.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის თანამშრომელთა რაოდენობა 82-ს შეადგენდა (2024 წ.: 106 თანამშრომელი).

ქვემოთ მოცემულია ბანკის თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა 2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

<b>დასაქმებულ პირთა საშუალო რაოდენობა</b>	<b>2025</b>	<b>2024</b>
უმალესი და საშუალო რანგის ხელმძღვანელობა	18	18
სხვა	88	94
<b>მთლიანი</b>	<b>106</b>	<b>112</b>
<i>მათ შორის</i>		
მუდმივი ხელშეკრულება	83	85
დროებითი ხელშეკრულება	23	28
<b>მთლიანი</b>	<b>106</b>	<b>112</b>

2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკი არ ფლობს შვილობილ საწარმოებს.

(ათას ლარში)

## 2. მომზადების საფუძველი, ფუნქციონირებადი საწარმო, სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ („ფასს“) შესაბამისად, პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით, გარდა მიწისა და შენობა-ნაგებობების, საინვესტიციო ქონების, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების და წილობრივი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებისა, რომლებიც ასახულია რეალური ღირებულებით.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში („ლარი“), თუკი სხვაგვარად არ იქნა მითითებული. ქართული ლარი ბანკის სამუშაო ვალუტაა. ოპერაციები სხვა ვალუტაში აღრიცხულია, როგორც უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის ფედერაციის უკრაინაში სამხედრო ოპერაციების დაწყების შემდეგ, დასავლეთის რამდენიმე ქვეყანამ, მათ შორის აშშ-მა, გაერთიანებულმა სამეფომ და ევროკავშირმა სანქციები დაუწესა რუსეთის ფედერაციას. სხვა მრავალს შორის, ეს სანქციები მოიცავდა კონკრეტული რუსული ბანკების (მათ შორის ბანკის მშობელი ბანკის) აქტივების გაყინვას, აშშ დოლარში გამოხატული ოპერაციების დაბლოკვას ამ და სხვა ბანკებში (მათ შორის, ბანკის და მისი მშობელი ბანკის SWIFT ანგარიშსწორების სისტემის დაბლოკვის ჩათვლით), კონკრეტული მნიშვნელოვანი რუსული კომპანიების და რუსეთის სახელმწიფოსთვის გაერთიანებული სამეფოს, აშშ-სა და ევროკავშირის ბაზრებზე ფინანსების მოზიდვას, VISA და MasterCard პლასტიკური ბარათებით ანგარიშსწორების შეჩერებას და რუსეთისთვის მაღალ ტექნოლოგიებზე წვდომის შეზღუდვას. შედეგად, 2022 წლის თებერვლის შემდეგ მნიშვნელოვნად გაძლიერდა რყევები ფასიანი ქაღალდების და სავალუტო ბაზრებზე, ასევე მნიშვნელოვნად გაუფასურდა რუსული რუბლი აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებით. ამ მოვლენებმა იმოქმედა ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში და სხვადასხვა ქვეყნებში მომუშავე რუსული საწარმოების საქმიანობაზე. როგორც ღია სააქციო საზოგადოების „ვითიბი ბანკი“ („მშობელი ბანკი“) შვილობილი საწარმო, სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ სანქცირებული კომპანიების სიაში შევიდა და დაებლოკა SWIFT, VISA და MasterCard სერვისები, რამაც მნიშვნელოვნად შეზღუდა ბანკის მიერ ჩვეულ რეჟიმში მუშაობის გაგრძელების უნარი. დამატებით, ეროვნულმა ბანკმა დახურა ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშები ქართულ ლარში (ამგვარად ბანკს შეუზღუდა ქართულ ლარში ოპერაციების განხორციელების შესაძლებლობა) და მშობელი ბანკის მიმართ ვალდებულებების დაფარვაზე შეზღუდვები დააწესა.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღის მდგომარეობით, ბანკი ინარჩუნებს გენერალურ საბანკო ლიცენზიას. ბანკი განაგრძობს ოპერაციებს მნიშვნელოვნად შემცირებული მასშტაბით და ინარჩუნებს კონკრეტულ კორპორაციულ მომხმარებლებს. ბანკი რეგულარულ კომუნიკაციებს აწარმოებს საქართველოს ეროვნულ ბანკთან და არ მოელის მისი ლიცენზიის გაუქმებას ან დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნას. დღეისათვის ბანკი აკმაყოფილებს გონივრულ მაჩვენებლებს (არააუდიტირებული მარეგულირებელი ანგარიშგების საფუძველზე) სავალუტო პოზიციების კოეფიციენტის გახსნის გამონაკლისით, რომელსაც ის სეზ-ს უზიარებს. სეზ მუდმივად აკონტროლებს ბანკის მიერ შენარჩუნებული ფულადი სახსრების შესაბამისობას დაუფარავი ანაზღაურების პორტფელის მომსახურებისთვის. სეზ-ის მიერ ბანკის ოპერაციები შეზღუდულია ბანკის ყოველდღიური ფუნქციონირებისთვის საჭირო აქტივობებით მხოლოდ ნაღდი ფულით ანგარიშსწორების საშუალებით, მათ შორის არსებული გაცემული სესხების ამოღებით, მეანაზღაურების მიერ ფულადი სახსრების განაღდებათ და ადმინისტრაციული ხარჯების დაფარვით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბანკი მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და არსებული შეზღუდვების პირობებში გააგრძელებს საკუთარი აქტივების მართვას, ყველა მოთხოვნილი რეგულაციების და ნორმატივების დაცვით, როგორც ეს განვილი პერიოდში ხორციელდებოდა. როგორც ზემოთ აღწერილია, ბანკს 2022 წლის თებერვლიდან დაუწესდა სანქციები, რის შედეგადაც ბანკს მნიშვნელოვნად შეეზღუდა ფინანსური ოპერაციების განხორციელება. შესაბამისად, ამ შეზღუდვებიდან გამომდინარე და პოტენციური მომავალი ეფექტების გათვალისწინებით, რომლებიც ბანკის კონტროლს არ ექვემდებარებიან, ბანკის ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა ბანკის ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენასთან დაკავშირებით. აქვე აღსანიშნავია, რომ ბანკს აქვს საკმარისი ფინანსური აქტივები, მისი მიმდინარე ვალდებულების დასაფარად.

*(ათას ლარში)*

## 2. მომზადების საფუძველი, ფუნქციონირებადი საწარმო, სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

### ფინანსური აქტივები

#### *საწყისი აღიარება*

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია საწყისი აღიარებისას დამოკიდებულია მათ სახელშეკრულებო პირობებზე და ინსტრუმენტების მართვის ბიზნეს-მოდელზე. ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად ფასდება რეალური ღირებულებით და, მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გარდა, საოპერაციო დანახარჯები ემატება ან აკლდება ამ თანხას. ბანკი განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას საწყისი აღიარების შემდგომ და მოგვიანებით შეიძლება მოახდინოს ფინანსური აქტივების რეკლასიფიცირება ქვემოთ მითითებულ შემთხვევებში.

#### *ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების კატეგორიები*

ბანკმა მოახდინა მისი ყველა ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია აქტივების მართვის ბიზნეს-მოდელის საფუძველზე, ხოლო აქტივების სახელშეკრულებო პირობები შეფასდა ქვემოთ მოცემულიდან ერთ-ერთით:

- ▶ ამორტიზებული ღირებულება;
- ▶ რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI);
- ▶ რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVPL).

ბანკი მისი წარმოებული ინსტრუმენტების და სავაჭრო პორტფელის კლასიფიკაციას და შეფასებას ახდენს რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში. ბანკმა შესაძლოა განსაზღვროს ფინანსური ინსტრუმენტები რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, თუ ეს აღმოფხვრის ან მნიშვნელოვნად შეამცირებს შეფასების ან აღიარების არათანმიმდევრულობას.

ფინანსური ვალდებულებები, გარდა სასესხო ვალდებულებებისა და ფინანსური გარანტიებისა, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, თუ ისინი სავაჭროდ არიან გამიზნული, წარმოებული ინსტრუმენტებია ან გამოიყენება რეალური ღირებულების განსაზღვრება.

#### *ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ, მომხმარებლებზე გაცემული სესხები, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები*

ბანკი მოთხოვნებს საკრედიტო დაწესებულებების მიმართ, მომხმარებლებზე გაცემულ სესხებს და სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებს აფასებს მხოლოდ ამორტიზებული ღირებულებით, თუ დაცული იქნება ქვემოთ მოცემული პირობებიდან ორივე:

- ▶ ფინანსური აქტივი ამ ბიზნეს მოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით;
- ▶ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

#### *ბიზნეს მოდელის შეფასება*

ბანკი თავის ბიზნეს-მოდელს განსაზღვრავს ისეთ დონეზე, რომელიც საუკეთესად ასახავს როგორ მართავს ის ფინანსური აქტივების ჯგუფს მისი საქმიანი მიზნების მისაღწევად.

ბანკის ბიზნეს-მოდელი არ ფასდება თითოეული ინსტრუმენტის საფუძველზე. ის აფასებს აგრეგირებული პორტფელების უმაღლეს დონეზე და ის ეფუძნება ისეთ ემპირიულ ფაქტორებს, როგორც არის:

- ▶ როგორ ფასდება ბიზნეს-მოდელის განხორციელება და ამგვარ ბიზნეს-მოდელში შემავალი ფინანსური აქტივები და როგორ ხდება მათი გაცხადება საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წინაშე.
- ▶ როგორ ფასდება ბიზნეს-მოდელის განხორციელება და ამგვარ ბიზნეს-მოდელში შემავალი ფინანსური აქტივები და როგორ ხდება მათი ანგარიშგება საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის მიმართ;

(ათას ლარში)

## 2. მომზადების საფუძველი, ფუნქციონირებადი საწარმო, სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

### ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

- ▶ როგორ ხდება საქმიანობის მენეჯერების კომპენსირება (მაგალითად, თუ კომპენსაცია ეფუძნება მართვის ქვეშე მყოფი აქტივების რეალურ ღირებულებას ან მიღებულ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს);
- ▶ გაყიდვების მოსალოდნელი სიხშირე, ღირებულება და ვადები ბანკის შეფასების სხვა მნიშვნელოვან ასპექტებს წარმოადგენს.

ბიზნეს-მოდელის შეფასება გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელ სცენარებს ეფუძნება, ‘ყველაზე ცუდი’ და ‘სტრესული შემთხვევის’ სცენარების გათვალისწინების გარეშე. თუ საწყისი აღიარების შემდეგ ფულადი ნაკადები რეალიზდება ისეთი ფორმით, რომელიც განსხვავდება ბანკის თავდაპირველი მოლოდინებისგან, ბანკი არ ცვლის ამგვარ ბიზნეს-მოდელში წარმოდგენილი დარჩენილი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას. ამის ნაცვლად ის ამგვარ ინფორმაციას იყენებს ახლად წარმოქმნილი ან ახლად შექმნილი ფინანსური აქტივების შეფასებას.

### SPPI-ტესტი

კლასიფიკაციის პროცესის მეორე ეტაპის სახით, იმის განსასაზღვრად, აკმაყოფილებს თუ არა ის SPPI-ტესტის მოთხოვნებს, ბანკი ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობებს აფასებს.

ამ ტესტის მიზნებისთვის ‘ძირითადი თანხა’ განისაზღვრება ფინანსური აქტივის რეალური ღირებულების სახით, თავდაპირველი აღიარებისას და შესაძლოა შეიცვალოს ფინანსური აქტივის ვადის განმავლობაში (მაგალითად, თუ ადგილი აქვს ძირითადი თანხის დაფარვას ან პრემიის/ფასდაკლების ამორტიზაციას).

სასესხო გარიგებებში პროცენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტები, ჩვეულებრივ, წარმოადგენს გადახდებს ფულის დროითი ღირებულების და საკრედიტო რისკისთვის. მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების შესაფასებლად, ბანკი იყენებს მსჯელობას და ითვალისწინებს ისეთ შესაბამის ფაქტორებს, როგორც არის ვალუტა, რომელშიც გამოხატულია ფინანსური აქტივი და პერიოდი, რომლისთვისაც განისაზღვრება საპროცენტო განაკვეთი.

შედარებისთვის, სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც განსაზღვრავენ რისკების მინიმუმზე მეტ დაქვემდებარებას ან ისეთი სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში არასტაბილურობა, რომლებიც არ უკავშირდება ძირითად სასესხო გარიგებებს, არ წარმოშობს სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ თანხაზე. ასეთ შემთხვევებში, ფინანსური აქტივი რეალური ღირებულებით უნდა შეფასდეს, მოგებაში ან ზარალში.

### სავალო ინსტრუმენტები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI)

ბანკი სავალო ინსტრუმენტებს რეალური ღირებულებით აფასებს სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ▶ ინსტრუმენტის ფლობა ხდება ბიზნესმოდელის ფარგლებში, რომლის მიზანიც მიიღწევა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების და ფინანსური აქტივების გაყიდვის გზით; და
- ▶ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები აკმაყოფილებს SPPI ტესტის მოთხოვნებს.

რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახული სავალო ინსტრუმენტები შემდგომში რეალური ღირებულებით ფასდება სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული რეალური ღირებულების ცვლილებით წარმოქმნილი შემოსულობით და ზარალით. საპროცენტო შემოსავალი და საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა და ზარალი აღირიცხება მოგებაში ან ზარალში იგივე ფორმით, როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები. აღიარების შეწყვეტისას ადრე სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული დაგროვილი შემოსულობა და ზარალი გადაკლასიფიცირდება სხვა სრული შემოსავლიდან მოგებაში ან ზარალში.

(ათას ლარში)

## 2. მომზადების საფუძველი, ფუნქციონირებადი საწარმო, სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

### ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

სხვა სრულ შემოსავალში რეალური ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არ ამცირებს ამ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, რომელიც რჩება რეალური ღირებულებით წარმოდგენილი. ამის ნაცვლად, იმ რეზერვის ოდენობით თანხა, რომელიც წარმოიშობა აქტივის ამორტიზებული ღირებულებით შეფასების შემთხვევაში, აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში, როგორც დაგროვილი გაუფასურების თანხა, შესაბამისი დანარიცხით მოგებაში ან ზარალში. სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული დაგროვილი ზარალი გადავა მოგებაში და ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

*წილობრივი ინსტრუმენტები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI)*

საწყისი აღიარების შემდეგ, ბანკი იშვიათად ახდენდა მისი კაპიტალის ინვესტიციის გამოუთხოვად კლასიფიცირებას კაპიტალის ინვესტიციის სახით, რომელიც აღირიცხება რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, როდესაც ისინი აკმაყოფილებენ კაპიტალის განმარტებას ბასს (IAS) 32-ის („ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა“) საფუძველზე და მათი ფლობა სავაჭროდ არ ხდება. ამგვარი კლასიფიკაცია განისაზღვრება თითოეული ინსტრუმენტის საფუძველზე.

შემოსულობები და ზარალი ამგვარ წილობრივ ინსტრუმენტებზე მოგებაში ან ზარალში არასოდეს ბრუნდება. დივიდენდები აღიარდება მოგებაში ან ზარალში, როგორც სხვა შემოსავალი გადახდის უფლების დადგენისას, გარდა შემთხვევისა, როდესაც ბანკი შემოსულობას იღებს ამგვარი ამონაგებიდან, ინსტრუმენტის თვითღირებულების ნაწილის აღდგენის სახით, რა დროსაც ამგვარი შემოსულობები სხვა სრულ შემოსავალში აღირიცხება. სხვა სრულ შემოსავალში რეალური ღირებულებით ასახული წილობრივი ინსტრუმენტები არ წარმოადგენს გაუფასურების შეფასების საგანს. ამ ინსტრუმენტების გასვლისას დაგროვილი გადაფასების რეზერვი გადადის გაუნაწილებელ მოგებაში.

### რეალური ღირებულების შეფასება

ბანკი ფინანსურ ინსტრუმენტებს რეალური ღირებულებით აღრიცხავს მოგებაში ან ზარალში ასახვით, ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ხოლო ისეთ არაფინანსურ აქტივებს, როგორც არის საინვესტიციო ქონება და მიწა და შენობა-ნაგებობები - რეალური ღირებულებით ყოველ ბალანსის თარიღში.

რეალური ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად, ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობითი ოპერაციის პირობებში შეფასების თარიღისთვის. რეალური ღირებულების შეფასება ეყრდნობა იმ ვარაუდს, რომ ადგილი აქვს აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგებას:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე; ან
- ▶ ძირითადი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

ძირითადი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ბანკისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების განსაზღვრა ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. არაფინანსური აქტივის რეალური ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

(ათას ლარში)

## 2. მომზადების საფუძველი, ფუნქციონირებადი საწარმო, სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

### ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

ბანკი ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც რეალური ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, და რომლებშიც მაქსიმალურად გამოიყენება ემპირიული და მინიმალურად - არაემპირიული ამოსავალი მონაცემები. ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა რეალური ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია რეალური ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემების საფუძველზე, რომელიც მთლიანობაში მნიშვნელოვანია რეალური ღირებულების შეფასებებისას:

- ▶ 1-ლი დონე – იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიური ბაზრების კოტირებული ფასები (გაუკორექტირებელი);
- ▶ მე-2 დონე - შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია რეალური ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- ▶ მე-3 დონე - შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია რეალური ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების იერარქიის ერთი დონიდან მეორეში გადასვლის ფაქტს ბანკი განსაზღვრავს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი რეალური ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

### ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეკლასიფიკაცია

ბანკი არ ახდენს მისი ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაციას მათი საწყისი აღიარების შემდგომ, გამონაკლისი ვითარებებისგან განცალკევებით, როდესაც ბანკი ცვლის ბიზნეს-მოდელს ფინანსური აქტივების მართვისთვის. ფინანსური ვალდებულებების რეკლასიფიკაცია არასოდეს ხდება.

### ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან, მოთხოვნებისგან სებ-ის მიმართ (სავალდებულო რეზერვების გამოკლებით) და ბანკის მიმართ არსებული მოთხოვნებისგან, რომელთაც აქვთ განთავსებიდან 90 დღის ვადა და თავისუფალნი არიან სახელშეკრულებო ვალდებულებებისაგან.

### წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

საქმიანობის ჩვეულ პირობებში ბანკი კონკრეტულ წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ხელშეკრულებებს აფორმებს, რაც მეტწილად მოიცავს სავალუტო ფორვარდებს და სვოპებს. ამგვარი ფინანსური ინსტრუმენტები აღრიცხულია რეალური ღირებულებით. რეალური ღირებულება ფასდება შეფასების მოდელების საფუძველზე, რომელშიც გათვალისწინებულია საბაზისო ინსტრუმენტების მიმდინარე საბაზრო და სახელშეკრულებო ფასები და სხვა ფაქტორები. წარმოებული ინსტრუმენტები აისახება, როგორც აქტივები, როდესაც მათი რეალური ღირებულება დადებითია, და როგორც ვალდებულებები, როცა მათი რეალური ღირებულება უარყოფითია. ამ ინსტრუმენტებიდან მიღებული შემოსულობა ან ზარალი შესულია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან მიღებულ წმინდა შემოსულობაში/(ზარალში) მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

*(ათას ლარში)*

## 2. მომზადების საფუძველი, ფუნქციონირებადი საწარმო, სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

### ნასესხები სახსრები

გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები ან მათი კომპონენტები კლასიფიცირდება ვალდებულებების სახით მაშინ, როდესაც მფლობელის წინაშე სახელშეკრულებო შეთანხმების შედეგად ბანკს წარმოეშობა ვალდებულება, რომ გადაიხადოს ფული ან ფინანსური ინსტრუმენტი ან სხვაგვარად დააკმაყოფილოს ეს ვალდებულება, გარდა განსაზღვრული ფულადი თანხის ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტის სანაცვლოდ საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების განსაზღვრული რაოდენობის მიღებისა. ამგვარი ინსტრუმენტები მოიცავს ვალდებულებებს ბანკების და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების წინაშე, ვალდებულებებს მომხმარებლების წინაშე და სხვა ნასესხებ სახსრებს და სუბორდინირებულ სესხებს. ისინი თავდაპირველად აღიარებულია მიღებული საზღაურის რეალური ღირებულებით, რასაც აკლდება პირდაპირ მიკუთვნებადი საოპერაციო დანახარჯები. საწყისი აღიარების შემდეგ ნასესხები სახსრები ამორტიზებული ღირებულებით ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობა და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც წყდება ვალდებულებების აღიარება, ასევე ამორტიზაციის პროცესში.

ვალდებულებები ბანკების და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების წინაშე წარმოადგენს ბანკის ლიკვიდობის სამართავად მოზიდულ სახსრებს, ხოლო სხვა ნასესხები სახსრები შედგება გენერალური კაპიტალის სამუშაო მიზნებისთვის და ბანკის მომხმარებლების საქმიანობების დასაფინანსებლად საერთაშორისო საკრედიტო დაწესებულებებთან გენერალური ხელშეკრულების საფუძველზე მიღებულ თანხებისგან.

### იჯარა

#### (i) ბანკი, როგორც მოიჯარე

ბანკი იყენებს ერთი აღიარების და შეფასების მიდგომას ყველა იჯარისთვის, გარდა მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებისა. ბანკი აღიარებს იჯარასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, რომ განახორციელოს საიჯარო გადახდები და ანაზღაუროს აქტივის გამოყენების უფლება, რომლებიც წარმოადგენს საიჯარო აქტივების გამოყენების უფლებას.

#### აქტივის გამოყენების უფლება

ბანკი აქტივის გამოყენების უფლებას აღიარებს იჯარის ვადის დაწყების თარიღში (ე.ი. თარიღში, როცა საიჯარო აქტივი ხელმისაწვდომი იქნება გამოსაყენებლად). აქტივის გამოყენების უფლება თვითღირებულებით ფასდება, რასაც აკლდება ნებისმიერი დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი და იცვლება საიჯარო ვალდებულებების ნებისმიერი ხელახალი შეფასების მიხედვით. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს აღიარებული საიჯარო ვალდებულებების, თავდაპირველად გაწეული პირდაპირი ხარჯების და დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელებული საიჯარო გადახდების თანხას, ნებისმიერი მიღებული იჯარის წამახალისებელი გადახდების გამოკლებით. სანამ ბანკს არ ექნება გონივრული რწმენა იმისა, რომ ის მიიღებს საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლებას იჯარის ვადის გასვლის შემდეგ, აღიარებული აქტივის გამოყენების უფლება ამორტიზირდება წრფივი მეთოდით, მის მოსალოდნელ სასარგებლო ვადასა და იჯარის ვადას შორის უმოკლესით. აქტივის გამოყენების უფლება გაუფასურებას ექვემდებარება.

#### საიჯარო ვალდებულებები

იჯარის ვადის დაწყების თარიღში ბანკი აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს, რომლებიც იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულებით ფასდება. საიჯარო გადახდები მოიცავს ფიქსირებულ თანხებს (მათ შორის არსებითად ფიქსირებულ გადასახდელებს), რასაც აკლდება ნებისმიერი იჯარის წამახალისებელი გადახდების მოთხოვნა, ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც განაკვეთზე ან კოეფიციენტზე დამოკიდებული და თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის საფუძველზე. საიჯარო გადახდები ასევე მოიცავს შესყიდვის ოფციონის აღსრულების ფასს, რომელიც გონივრულ ფარგლებში მიიჩნევა ბანკის მიერ გამოყენებულად და ჯარიმების გადახდებს იჯარის შეწყვეტისთვის, თუ იჯარის ვადა ასახავს ბანკს, რომელიც იყენებს ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებას. ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე აღიარდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც წარმოიშვება ისეთი ვითარება ან სიტუაცია, რომელიც გადახდას იწვევს.

(ათას ლარში)

## 2. მომზადების საფუძველი, ფუნქციონირებადი საწარმო, საღირსეო პოლიტიკა (გაგრძელება)

### იჯარა (გაგრძელება)

საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების დაანგარიშებისას, ბანკი იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იჯარის ვადის დაწყების თარიღში, რადგან იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი მარტივად ვერ განისაზღვრება. იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ, საიჯარო ვალდებულებების თანხა გაიზრდება, პროცენტის გაზრდის ასახვის მიზნით, და შემცირდება - განხორციელებული საიჯარო გადახდებისთვის. ამასთან, საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ხელახლა ფასდება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება საიჯარო ვადის ცვლილებას, ფიქსირებული საიჯარო გადახდების ცვლილებას ან საიჯარო აქტივის ნასყიდობის შეფასების ცვლილებას.

*მოკლევადიანი იჯარა და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა*

ბანკი იყენებს მოკლევადიანი იჯარის აღიარებისგან განთავისუფლებას მის მოკლევადიან იჯარებზე (ე.ი. იჯარებზე, რომლებსაც აქვთ იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან 12 ან ნაკლებთვიანი საიჯარო ვადა და არ მოიცავენ შესყიდვის ოფციონს). ის ასევე ეხება დაბალი ღირებულების მქონე საოფისე აღჭურვილობის იჯარის აღიარებისგან განთავისუფლებას, იჯარებზე, რომლებიც დაბალფასიანად მოიაზრებიან. საიჯარო გადახდები მოკლევადიან იჯარაზე და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა აღიარდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე წრფივი მეთოდის გამოყენებით.

#### (ii) საოპერაციო იჯარა – ბანკი, როგორც მთავარი

იჯარა, რომელშიც ბანკი არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკს და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. მიღებული საიჯარო შემოსავალი აღირიცხება წრფივი მეთოდით იჯარის ვადაზე და, თავისი საოპერაციო ხასიათის გამო, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება ამონაგების მუხლში. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მათი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე იმავე წესით, როგორც საიჯარო შემოსავალი. პირობითი საიჯარო ქირის აღიარება ხდება ამონაგების სახით იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მისი მიღება.

#### (iii) ფინანსური იჯარა – ბანკი, როგორც მთავარი

ბანკი იჯარასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს აღიარებს იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან იჯარაში განხორციელებული წმინდა ინვესტიციის ტოლი ოდენობით. ფინანსური შემოსავლის აღიარება ხდება იმისდა მიხედვით, თუ როგორია მუდმივი პერიოდული უკუგების კოეფიციენტი მიმდინარე წმინდა ინვესტიციაზე. თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები შედის იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების პირველად შეფასებაში.

### რესტრუქტურირებული სესხები

თუ შესაძლებელია, უზრუნველყოფის საკუთრებაში მიღების ნაცვლად, ბანკი ახდენს სესხების რესტრუქტურირებას. აღნიშნული შესაძლოა მოიცავდეს დაფარვის პირობების გაუმჯობესებას და სესხის ახალი პირობების შეთანხმებას.

ბანკმა შეწყვიტა ისეთი ფინანსური აქტივის აღიარება, როგორც არის მომხმარებლებზე გაცემული სესხი, პირობების რესტრუქტურირებისას, როდესაც ის არსებითად ახალი სესხი ხდებოდა, რისი სხვაობაც აღიარდება აღიარების შეწყვეტით წარმოშობილი შემოსულობის ან ზარალის სახით, იმ პირობით, რომ გაუფასურების ზარალი უკვე აღრიცხული იქნება. ახლად აღიარებული სესხები კლასიფიცირდება დონე 1-ის სახით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიზნით, სანამ ახალი სესხი არ ჩაითვლება შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებულად. იმის შეფასებისას, უნდა მოხდეს თუ არა მომხმარებელზე გაცემული სესხის აღიარების შეწყვეტა, ბანკი, სხვა საკითხებთან ერთად, ითვალისწინებს შემდეგ ფაქტორებს:

- ▶ სესხის ვალუტის ცვლილება;
- ▶ კონტრაქტის ცვლილება;
- ▶ ხომ არ იწვევს მოდიფიცირება ინსტრუმენტის SPPI კრიტერიუმთან შეუსაბამობას.

(ათას ლარში)

## 2. მომზადების საფუძველი, ფუნქციონირებადი საწარმო, სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

### რესტრუქტურირებული სესხები (გაგრძელება)

თუ მოდიფიცირება არ იწვევს არსებითად განსხვავებულ ფულად ნაკადებს, ცვლილება არ გამოიწვევს აღიარების შეწყვეტას. საწყისი ექვეტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული ფულადი ნაკადების ცვლილების საფუძველზე, ბანკი აღრიცხავს მოდიფიცირებით განპირობებულ შემოსულობას ან ზარალს მოგებაში ან ზარალში იმის გათვალისწინებით, რომ გაუფასურების ზარალი არ იქნება აღრიცხული.

მოდიფიცირებისთვის, რომელიც არ იწვევს აღიარებას შეწყვეტას, ბანკი ასევე ხელახლა აფასებს ხომ არ არსებობდა მნიშვნელოვანი ზრდა საკრედიტო რისკში, ან აქტივები ხომ არ უნდა იყოს გაუფასურებულად კლასიფიცირებული. როდესაც მოდიფიცირების შედეგად აქტივი გაუფასურებულად კლასიფიცირდება, ის დონე 3 ზე დარჩება მინიმუმ 3-წლიანი გამოსაცდელი ვადით. ამგვარი რესტრუქტურირებული სესხის დონე 3-დან დონე-2-ში რეკლასიფიცირების მიზნით, გამოსაცდელი პერიოდის განმავლობაში ძირითადი თანხის ან პროცენტის რეგულარული გადახდები განხორციელდა შეცვლილი გადახდის გრაფიკის შესაბამისად.

### ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

#### ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღება, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა უპირატესად ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების ვადა;
- ▶ ბანკმა დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან შეინარჩუნა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- ▶ ბანკმა (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ ბანკმა გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არც გადაუცია და არც დაუტოვებია აქტივთან დაკავშირებული ძირითადი რისკები და სარგებელი, და არც კონტროლი გადაუცია აქტივზე, ბანკის მიერ აქტივის აღიარება ხდება მონაწილეობის შენარჩუნების პირობით. მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და ბანკის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

როდესაც გადაცემულ აქტივზე ხანგრძლივი ჩართულობა იღებს გაყიდული და/ან შესყიდული ოფციონის ფორმას (ფულადი ფორმით გადახდილი ოფციონის ან მსგავსი ანარიცხის ჩათვლით), ბანკის ხანგრძლივი ჩართულობა მოიცავს გადაცემული აქტივის თანხას, რომელიც ბანკს შეუძლია განმეორებით შეიძინოს, გარდა რეალური ღირებულებით შეფასებულ აქტივზე შეძენილი ფუთ-ოფციონისა (ფულადი ფორმით გადახდილი ოფციონის ან მსგავსი ანარიცხის ჩათვლით), როდესაც ბანკის ხანგრძლივი ჩართულების ფარგლები იზღუდება გადაცემული აქტივის რეალურ ღირებულებასა და ოფციონის აღსრულების ფასს შორის უმცირესით.

#### უიმედო სესხები

ფინანსური აქტივები ჩამოიწერება ნაწილობრივ ან - მთლიანად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ბანკი შეწყვეტს აღდგენის განხორციელებას. თუ ჩამოსაწერი თანხა აღმატება დაგროვილი ცვეთის რეზერვს, სხვაობა თავდაპირველად აღრიცხება რეზერვზე დამატების სახით, რომელიც შემდეგ გამოიყენება მთლიან საბალანსო ღირებულებასთან მიმართებით. ნებისმიერი შემდგომი ანაზღაურება განეკუთვნება საკრედიტო ზარალის ხარჯს. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტის მოვლენას.

ბანკის პოლიტიკის თანახმად, უიმედო სესხების აღიარების შეწყვეტა ხდება შემდეგნაირად:

- ▶ ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხები ჩამოიწერება ბანკის საკრედიტო კომიტეტის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე;
- ▶ უიმედო სესხები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების რეზერვიდან მას შემდეგ, რაც დასრულდება სესხების ამოღებისთვის საჭირო ყველა პროცედურა და განისაზღვრება ამოუღებელი დანაკარგების ოდენობა.

(ათას ლარში)

## 2. მომზადების საფუძველი, ფუნქციონირებადი საწარმო, სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

### ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა (გაგრძელება)

თუ ბანკი მიიღებს თანხას სესხის ჩამოწერის შემდეგ პერიოდში, ამოღებული თანხა აისახება სესხის გაუფასურების რეზერვის ანგარიშზე.

### ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იმავე გამსესხებლის წინაშე, რომელსაც მეტწილად განსხვავებული პირობები აქვს ან თუ არსებული ვალდებულების პირობები მეტწილად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო განსხვავება შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ამასთან სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებაში აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

### ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მაშინ, თუ არსებული კანონი იძლევა აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის უფლებას და არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვისის ან ერთდროულად აქტივის გაყიდვისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი. ურთიერთგაქვითვისის უფლების გამოყენება არ უნდა ხდებოდეს სამომავლო შემთხვევის დადგომის პირობით და ნებადართული უნდა იყოს:

- ▶ ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში;
- ▶ დეფოლტის შემთხვევაში; და
- ▶ საწარმოს და ყველა კონტრაქტის არაკრედიტუნარიანობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

ეს პირობები, ზოგადად, არ სრულდება ძირითად საკლირინგო ხელშეკრულებებში და შესაბამისი აქტივები და ვალდებულებები მთლიანად არის წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

### ფინანსური გარანტიები, აკრედიტივები და ამოუღებელი სასესხო ვალდებულება

ბანკი გასცემს ფინანსურ გარანტიებს, აკრედიტივებს და სასესხო ვალდებულებებს.

ფინანსური გარანტიები ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველად რეალური ღირებულებით აღიარდება, რაც მიღებულ პრემიას წარმოადგენს. საწყისი აღიარების შემდგომ, ბანკის ვალდებულებები თითოეული გარანტიისთვის ფასდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების თანხაზე დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით მიღებულ ოდენობასა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარცხის თანხას შორის უმაღლესით.

ამოუღებელი სასესხო ვალდებულება და აკრედიტივები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლის ფარგლებშიც, ვალდებულების არსებობის პერიოდში, ბანკი ვალდებულია მომხმარებელზე გასცეს სესხი წინასწარ განსაზღვრული პირობებით. ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებების მსგავსად, ეს ხელშეკრულებები მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოთხოვნებში შედის.

ბანკი იშვიათად გამოსცემს სასესხო ვალდებულებებს ბაზარზე მოქმედ საპროცენტო განაკვეთებზე დაბალი ოდენობით. ამგვარი ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომ ფასდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის და თავდაპირველად აღიარებულ თანხაზე მაღალი ოდენობით, რომელსაც, შესაბამის შემთხვევაში, აკლდება აღიარებული შემოსავლის დაგროვილი თანხა.

(ათას ლარში)

## 2. მომზადების საფუძველი, ფუნქციონირებადი საწარმო, სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

### გადასახადებით დაბეგრვა

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი დაანგარიშდება საქართველოს ნორმატიული აქტების შესაბამისად.

გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით. გადავადებული მოგების გადასახადები გათვალისწინებულია ყველა დროებით სხვაობაზე, რომელიც წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო დასაბეგრ საფუძველსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადავადებული მოგების გადასახადი წარმოიშობა გუდვილის, აქტივის ან ვალდებულების საწყისი აღიარებიდან იმ ოპერაციაში, რომელიც არ არის საწარმოთა გაერთიანება და ოპერაციის თარიღისათვის გავლენას არ იქონიებს სააღრიცხვო მოგებასა თუ საგადასახადო მოგება-ზარალზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღრიცხება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია დასაბეგრი მოგების მიღება, საიდანაც შესაძლებელი იქნება დროებითი გამოქვითვადი სხვაობების გაქვითვა. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ფასდება საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც სავარაუდოდ იმოქმედებს აქტივის რეალიზაციის ან ვალდებულების გასტუმრების პერიოდში, იმ საგადასახადო განაკვეთების (რომლებიც ვრცელდება გაუნაწილებელ მოგებაზე) და საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე, რომლებიც მოქმედებს ან არსებითად მოქმედებს საანგარიშგებო თარიღში.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც ფასდება ბანკის საქმიანობის საფუძველზე. ეს გადასახადები შესულია სხვა საოპერაციო ხარჯებში კომპონენტის სახით.

### ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები, გარდა მიწისა და შენობა-ნაგებობებისა თვითღირებულებით აღრიცხება, გარდა ყოველდღიური მომსახურების დანახარჯებისა, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურება. ამგვარი ხარჯი მოიცავს ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების თვითღირებულებას, ამ ხარჯის გაწვევას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია. შენობა-ნაგებობები ამორტიზაციის და გაუფასურების ხარჯით შემცირებული რეალური ღირებულებით აღრიცხება გადაფასების თარიღის შემდეგ. მიწა რეალური ღირებულებით ფასდება და მას ცვეთა არ ერიცხება. შეფასება ხდება რეგულარულად, რომ გადაფასებული ქონების რეალური ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი საბალანსო ღირებულებისგან. ბანკის ქონების ბოლო შეფასება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განხორციელდა. დამატებითი ინფორმაცია მე-8 შენიშვნაშია მოცემული.

გადაფასების ნებისმიერი მეტობა კრედიტდება სხვა სრულ შემოსავალში ჩართული მიწისა და შენობა-ნაგებობების გადაფასების რეზერვზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხდება მანამდე მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარებული ამავე აქტივის გადაფასების შედეგად მისი ოდენობის შემცირების შეზღუდვა. ამ შემთხვევაში მატების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. გადაფასების დეფიციტის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დეფიციტი, რომელიც უშუალოდ გაქვითავს ამავე აქტივზე უწინ აღიარებულ მეტობას, პირდაპირ გაიქვითება ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის მეტობიდან.

ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან წლიური გადატანა გაუნაწილებელ მოგებაზე ხდება აქტივის გადაფასებული საბალანსო ღირებულების ცვეთასა და აქტივის თავდაპირველი თვითღირებულებაზე დაფუძნებულ ცვეთას შორის სხვაობით. გასვლისას, გაყიდულ კონკრეტულ აქტივთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაფასების რეზერვი გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაზე.

დაუმთავრებელი მშენებლობა თვითღირებულებით აისახება, რასაც საჭიროების შემთხვევაში აკლდება გაუფასურების რეზერვი. მშენებლობის დასრულების შემდეგ აქტივები გადაიტანება საოფისე ან სხვა შენობებში მათი საბალანსო ღირებულებით. დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება, სანამ აქტივი ექსპლუატაციისთვის მზად არ იქნება.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება გადაიხედება გაუფასურების მიზნით, როცა მოვლენები ან ცვლილებები ვითარებებში მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ საბალანსო ღირებულება ვერ ანაზღაურდება.

(ათას ლარში)

## 2. მომზადების საფუძველი, ფუნქციონირებადი საწარმო, სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

### ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დაირიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

	<u>წლები</u>
შენობა-ნაგებობები	30–50
კომუნალური სისტემები და დაკავშირებული ფუნქციები	10–40
კომპიუტერული და საკომუნიკაციო აღჭურვილობა	4–15
ავტო, აღჭურვილობა და საოფისე ტექნიკა	3–6
სატრანსპორტო საშუალებები	5
	საბაზისო
საიჯარო გაუმჯობესებები	იჯარის ვადაზე

აქტივების ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და მეთოდების გადახედვა და შესაბამისად კორექტირება ვითარებიდან გამომდინარე ხდება, ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და ისინი შედის საოპერაციო ხარჯებში თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

### საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის მიწა, შენობა ან შენობის ნაწილი, რომელიც გაიცემა იჯარით საიჯარო შემოსავლის მისაღებად ან კაპიტალის გაზრდისათვის, და რომელსაც ჩვეული საქმიანობის პროცესში ბანკი არ იყენებს და არ ფლობს გაყიდვის მიზნით.

საინვესტიციო ქონების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, გარიგების ხარჯების ჩათვლით და შემდეგ ხელმეორედ ფასდება რეალური ღირებულებით, რომელიც ასახავს საბაზრო პირობებს საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღში. ბანკის საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება განისაზღვრება სხვადასხვა წყაროს საფუძველზე, მათ შორის დამოუკიდებელი შემფასებლების ანგარიშების მიხედვით, რომლებსაც აქვთ აღიარებული და რელევანტური პროფესიული კვალიფიკაცია და ანალოგიური ადგილმდებარეობისა და კატეგორიის ქონების შეფასების გამოცდილება.

საინვესტიციო ქონების ღირებულება გადაფასდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და მისი აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც საინვესტიციო ქონების გადაფასების შედეგად მიღებული შემოსულობა/ზარალი. გამომუშავებული საიჯარო შემოსავალი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში საიჯარო შემოსავლის ნაწილში.

### დასაკუთრებული აქტივები

დასაკუთრებული უზრუნველყოფა წარმოადგენს არაფინანსურ აქტივებს, რომლებიც ბანკმა დაისაკუთრა ვადაგადაცილებული სესხების თანხის ამოღებისას. ეს აქტივები შეძენისას ფასდება რეალური ღირებულებით და აისახება შენობებსა და აღჭურვილობაში, საინვესტიციო ქონებაში ან მარაგებში, სხვა აქტივების მუხლში. ეს კლასიფიკაცია დამოკიდებულია უზრუნველყოფის მახასიათებლებსა და ბანკის გადაწყვეტილებაზე ამ აქტივების ამოღებასთან დაკავშირებით. ეს აქტივები შემდგომში გადაფასდება და აღირიცხება აქტივების ამ კატეგორიების შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად. დასაკუთრებული უზრუნველყოფის მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

(ათას ლარში)

## 2. მომზადების საფუძველი, ფუნქციონირებადი საწარმო, სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

### არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს.

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები საწყისი აღიარებისას თვითღირებულებით აღირიცხება. საწყისი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები თვითღირებულებით აისახება, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობა შეფასებულია განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით. შეზღუდული ეკონომიკური მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზება ხდება 2-10 წლამდე ეკონომიკური მომსახურების ვადაზე და გაუფასურების ოდენობის დასადგენად გადაფასდება მაშინ, როდესაც იარსებებს ამ არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები. ბანკი არ ფლობს სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადის მქონე რაიმე არამატერიალურ აქტივებს.

### ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ბანკს აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გასვლა და ვალდებულებების მოცულობის საიმედოდ შეფასება არის შესაძლებელი.

### კაპიტალი

#### განთავსებული კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალი. ახალი აქციების გამოშვებასთან პირდაპირ მიკუთვნებადი გარე დანახარჯები, გარდა საწარმოთა გაერთიანებისთვის გამოშვებული აქციებისა, აღრიცხულია, როგორც გამოქვითვები კაპიტალის შემოსულობიდან. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი რეალური ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც დამატებითი მთლიანად ანაზღაურებული განთავსებული კაპიტალი.

#### დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან საანგარიშგებო თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან საანგარიშგებო თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება საანგარიშგებო თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია საანგარიშგებო თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

#### უვალო სუბორდინირებული სესხი

განუსაზღვრელი ვადისა და კუპონის გადახდების დაგროვების გარეშე გაუქმების შესაძლებლობის გამო ბანკი უვალო სუბორდინირებულ სესხს აღრიცხავს, როგორც წილობრივ ინსტრუმენტს და პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტს კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტის გამოთვლის მიზნებისთვის. ბანკი რუბლში გამოხატულ უვალო სუბორდინირებულ სესხს აღრიცხავს ლარის ეკვივალენტურ თანხად, საანგარიშგებო თარიღისთვის მოქმედი სავალუტო კურსის გამოყენებით, ხოლო ვალუტის კონვერტაციის ეფექტს აღრიცხავს გაუნაწილებელ მოგებაში.

### პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ანგარიშსწორების მიზნით ფულადი სახსრების გასვლის ალბათობა დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, და წარმოდგენილია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემოსვლაა მოსალოდნელი.

(ათას ლარში)

## 2. მომზადების საფუძველი, ფუნქციონირებადი საწარმო, სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

### შემოსავლისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ბანკის მიერ ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია ამონაგების სარწმუნოდ შეფასება. ქვემოთ მოცემული კონკრეტული აღიარების კრიტერიუმებიც ასევე უნდა იყოს დაკმაყოფილებული ამონაგების აღიარებამდე:

#### *საპროცენტო ამონაგები და ხარჯი*

ბანკი ანგარიშობს საპროცენტო ამონაგებს სასესხო ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ფინანსური აქტივების ბრუტო საბალანსო ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, გაუფასურებული აქტივების გამოკლებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც მომავალში მოსალოდნელი გადახდების ან ფულადი სახსრების ზუსტ დისკონტირებას ახდენს ფინანსური ინსტრუმენტის ვადაზე ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობას (მაგალითად წინასწარი გადახდის შესაძლებლობას) და მოიცავს ნებისმიერ საზღაურს და დამატებით ხარჯს, რომელიც პირდაპირ მიკუთვნება დია ინსტრუმენტზე და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება თუ ბანკი გადახედავს მის მიერ დასაფარი თუ მისაღები სავარაუდო თანხების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღირიცხება, როგორც საპროცენტო ამონაგები თუ ხარჯი.

როდესაც ფინანსური აქტივი გაუფასურდება, ბანკი საპროცენტო ამონაგებს ანგარიშობს ფინანსური აქტივის წმინდა ამორტიზებულ ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ ფინანსური აქტივები გამოსწორდება და აღარ იქნება გაუფასურებული, ბანკი დაუბრუნდება საპროცენტო ამონაგების ბრუტო საფუძველზე დაანგარიშების მეთოდს.

შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული ფინანსური აქტივებისთვის, ბანკი საპროცენტო ამონაგებს ანგარიშობს შეცვლილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დაანგარიშების და ამ განაკვეთის აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე მორგებით. შეცვლილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას ახდენს შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების (საკრედიტო ზარალის ჩათვლით) შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული აქტივების ამორტიზებულ ღირებულებამდე დისკონტირებას.

#### *მიღებული გასამრჯელო და საკომისიო შემოსავალი*

ბანკი იღებს შემოსავალს საზღაურიდან და საკომისიო მოსაკრებლიდან მომხმარებლებისთვის გაწეული სხვადასხვა სახის მომსახურების სანაცვლოდ.

სესხის აუთვისებელი თანხის საკომისიო იმ სესხების შემთხვევაში, რომელთა ათვისებაც მოსალოდნელია და საკრედიტო პროდუქტებთან დაკავშირებული სხვა გასამრჯელოები, მათ შორის გარანტიებისა და აკრედიტივების გაცემის საზღაური გადავადდება (დამატებით დანახარჯებთან ერთად) და აღიარდება სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირების სახით.

#### *შემოსავალი დივიდენდებიდან*

ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როცა ბანკს განესაზღვრება თანხების მიღების უფლება.

(ათას ლარში)

## 2. მომზადების საფუძველი, ფუნქციონირებადი საწარმო, სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

### უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლარი“), რომელიც ბანკის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები თავდაპირველად ჯგუფის სამუშაო ვალუტაში აღირიცხება, გარიგების თარიღისთვის დადგენილი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ხელახლა კონვერტაცია ხდება საანგარიშგებო თარიღში არსებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციის კონვერტაციით გამოწვეული შემოსულობა და ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც შემოსულობას გამოკლებული საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი - საკურსო სხვაობა. არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლები, რომლებიც რეალური ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა რეალური ღირებულების დადგენა.

სხვაობა უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციის სახელშეკრულებო გაცვლით კურსსა და სებ-ის გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს შესულია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან მიღებული ზარალით შემცირებულ შემოსულობაში. სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2025 წლის 31 დეკემბრის, და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 2.6951 ლარი და 2. 8068 ლარი 1 აშშ დოლარი, შესაბამისად.

## 3. სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასთან დაკავშირებით გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ბანკი მიმართავს გარკვეულ განსჯას და შეფასებას, რაც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლისთვის. შეფასება და განსჯა მუდმივად გადაისინჯება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენებს, რომელთა გონივრული პროგნოზირებაც შესაძლებელია გარემოებების გათვალისწინებით. ხელმძღვანელობა ასევე გარკვეულ მსჯელობას იყენებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. მსჯელობები, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი ეფექტი აქვთ ფინანსურ ანგარიშგებებში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი კორექტირების განხორციელება აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში მოიცავს შემდეგს:

### ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბანკი მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და მოახდენს თავისი აქტივების გაყიდვას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეული საქმიანობის პროცესში. მაგრამ, როგორც აღწერილია მე-2 შენიშვნაში, ბანკს 2022 წლის თებერვლიდან დაუწესდა სანქციები, რის შედეგადაც ბანკს მნიშვნელოვნად შეეზღუდა ფინანსური ოპერაციების განხორციელება. შესაბამისად, ამ შეზღუდვებიდან გამომდინარე და პოტენციური მომავალი ეფექტების გათვალისწინებით, რომლებიც ბანკის კონტროლს არ ექვემდებარებიან, ბანკის ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა ბანკის ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენასთან დაკავშირებით და რომ შეუძლებელია იმის შეფასება, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისი იქნება თუ არა.

### ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

როდესაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულების მიღება აქტიური ბაზრებიდან ვერ ხერხდება, ისინი განისაზღვრება შეფასების სხვადასხვა მეთოდით, მათ შორის მათემატიკური მოდელებით. ამ მეთოდებისთვის ინფორმაცია შესაძლებლობის ფარგლებში ბაზრიდან აიღება, მაგრამ თუ ეს შეუძლებელია, რეალური ღირებულება შეფასების საფუძველზე განისაზღვრება დამატებითი ინფორმაცია მოცემულია 20-ე შენიშვნაში.

(ათას ლარში)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასთან დაკავშირებით გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

#### ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი

გაუფასურების ზარალის შეფასება ფინანსური აქტივების ყველა კატეგორიაში საჭიროებს განსჯას, კონკრეტულად მომავალი ფულადი ნაკადების და უზრუნველყოფის ღირებულების ოდენობის და ვადების შეფასებას და საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შეფასებას. ამ შეფასებებზე რამდენიმე ფაქტორი მოქმედებს, რომელთა ცვლილებები შესაძლოა აისახოს რეზერვების სხვადასხვა დონეში. ამასთან, ბიზნესის ფართომასშტაბიანმა შეფერხებამ შესაძლოა წარმოქმნას რამდენიმე საწარმოს და მომხმარებლების ლიკვიდობასთან დაკავშირებული საკითხები.

ბანკის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშებები კომპლექსური მოდელების მონაცემებს წარმოადგენს, ცვლადი მონაცემების და მათი ინტერპრეტაციების შერჩევასთან დაკავშირებული სხვადასხვა საბაზისო დაშვებებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელების ელემენტები, რომლებიც შესაბამის სააღრიცხვო მსჯელობებს და შეფასებებს წარმოადგენს, მოიცავს შემდეგს:

- ▶ ბანკის კრედიტის გაცემის შიდა მოდელი, რომელიც დეფოლტების შესაძლებლობებს ინდივიდუალურ ქულებს ანიჭებს;
- ▶ ბანკის კრიტერიუმი იმის შესაფასებლად არსებობს თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა და უნდა შეფასდეს თუ არა რეზერვები ფინანსური აქტივებისთვის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის და თვისებრივი შეფასების საფუძველზე;
- ▶ ფინანსური აქტივების სეგმენტაცია, როცა მათი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფასდება კოლექტიურ დონეზე;
- ▶ საპროგნოზო ინფორმაციის გამოყენება მრავლობითი მაკროეკონომიკური სცენარის შექმნის, მათი წარმოშობის შესაძლებლობის განსაზღვრის და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ემპირიულ მაკროეკონომიკურ ფაქტორებში ცვლილებების გავლენის შეფასების გზით;
- ▶ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის შემუშავება, მათ შორის სხვადასხვა ფორმულის და ამოსავალი მონაცემების შერჩევა.

ბანკს აქვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაუფასურების სამ დონიანი მოდელი. გაუფასურების ხარჯი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის დამოკიდებულია იმ ფაქტორზე, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკი საწყისი აღიარების შემდეგ. თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა, გაუფასურების ხარჯი უტოლდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში შესაძლო დეფოლტის მოვლენებით გამოწვეული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობას (1-ლი დონე). თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა, სესხი 30 დღეზე მეტი ვადით არის ვადაგადაცილებული, ან სესხი დეფოლტირებულია ან სხვაგვარად არის გაუფასურებული, გაუფასურების ხარჯი არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობას უტოლდება (მე-2 და მე-3 დონეები).

ფინანსურ აქტივებს, რომლებიც აღირიცხება თვითვეულ დონეზე აქვთ შემდეგი მახასიათებლები:

- ▶ 1-ლი დონე: საკრედიტო რისკი გაუფასურების და მნიშვნელოვანი ზრდის გარეშე, რომლისთვისაც აღიარებულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის 12-თვიანი რეზერვი;
- ▶ მე-2 დონე: საწყისი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რომლისთვისაც აღიარებულია არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი;
- ▶ მე-3 დონე: გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება და ფინანსური აქტივები არის დეფოლტში ან სხვაგვარად არის გაუფასურებული, რაზეც აღიარებულია არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი; და
- ▶ შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული (POCI): შესყიდული ან წარმოქმნილი დიდი დისკონტირების საფუძველზე, რომელიც ასახავს გაწეულ საკრედიტო ზარალს, რომელზეც აღიარებულია არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება ყველა ინდივიდუალური აქტივის დეფოლტის ალბათობის(PD), დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების (EAD) და დანაკარგები დეფოლტის (LGD) შემთხვევაში ფუნქციის სახით და ის საპროგნოზო ინფორმაციას მოიცავს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება მოიცავს მომავალი რამდენიმე წლის ეკონომიკური პირობების პროგნოზირებას.

(ათას ლარში)

### 3. სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასთან დაკავშირებით გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

#### ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი (გაგრძელება)

საკრედიტო რისკის და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება ობიექტური და ვარაუდზე დაფუძნებულია და ის მოიცავს შეფასების შესაბამის ყველა ხელმისაწვდომ ინფორმაციას, მათ შორის ინფორმაციას განვლილი მოვლენების, მიმდინარე პირობების და ეკონომიკური პირობების გონივრულ და დამაკმაყოფილებელ პროგნოზებს. ამასთან, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში უნდა გავითვალისწინოთ ფულის დროითი ღირებულება. ზოგადად, ბანკი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ანგარიშობს სამი ძირითადი კომპონენტის - დეფოლტის ალბათობის, დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების და დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების გათვალისწინებით.

12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დაანგარიშდება 12 თვის დეფოლტის ალბათობის, დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების და დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების გამრავლების გზით. რაც შეეხება არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ის დაანგარიშდება არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობის გამოყენებით. 12-თვიანი და არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა წარმოადგენს ვალდებულებების შეუსრულებლობის შესაძლებლობას, რომელიც წარმოიშობა მომდევნო 12 თვის და ინსტრუმენტის დარჩენილი ვადის განმავლობაში (შესაბამისად). დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება წარმოადგენს მოსალოდნელ დეფოლტირებულ ნაშთს, ძირითადი თანხის და პროცენტის დაფარვის გათვალისწინებით ბალანსის თარიღიდან დეფოლტის შემთხვევამდე, ნაკისრი ვალდებულებების ნებისმიერ მოსალოდნელ კლებასთან ერთად. დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში წარმოადგენს მოსალოდნელ დანაკარგს დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავ დავალიანებაზე დეფოლტის მოვლენის, მათ შორის ერთობლივი ღირებულების ეფექტის შემსუბუქების (იმ დროისთვის, როდესაც მოსალოდნელია მისი რეალიზაცია) და ფულის დროითი ღირებულების გათვალისწინებით.

#### ქონების გადაფასება

ბანკი რეგულარულად ახდენს უძრავი ქონების (მიწის, საოფისე შენობების და საინვესტიციო ქონების) ღირებულების განსაზღვრის გადახედვას და გადაფასებას, რათა ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მათი რეალური ღირებულებისაგან. ბანკი ახდენს გადაფასებას სპეციალური შეფასების მეთოდების და ადგილობრივ ბაზარზე განხორციელებული უძრავი ქონების ოპერაციების შესახებ არსებული ინფორმაციის გამოყენებით.

მიწა და შენობები გადაფასებულია საბაზრო ღირებულებასთან მიმართებით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. გადაფასებული შენობები 2025 წლის 1 იანვრიდან აღიარებულია მათი სასარგებლო მომსახურების დარჩენილი ვადის მიხედვით. საინვესტიციო ქონება გადაფასდა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დამოუკიდებელმა შემფასებელმა განსაზღვრა ბანკის ქონების რეალური ღირებულება. საბაზრო ფასის დასადგენად გამოყენებულ იქნა ინფორმაცია აქტიური ბაზრიდან.

#### იჯარები - ზღვრული სასესხო განაკვეთის შეფასება

ბანკს არ შეუძლია იჯარაში შემავალი საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა, შესაბამისად, საიჯარო ვალდებულებების შესაფასებლად ის ზღვრულ სასესხო განაკვეთს იყენებს. ზღვრული სასესხო განაკვეთი წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთს, რომლის გადახდაც ბანკს მოუწევდა აქტივის გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ფასის მქონე აქტივის მისაღებად საჭირო თანხების მსგავსი ვადის და მსგავსი უზრუნველყოფის მქონე სესხის დასაფარად მსგავს ეკონომიკურ გარემოში. შესაბამისად, ზღვრული სასესხო განაკვეთი ასახავს იმას, თუ „რისი გადახდა მოუწევდა“ ბანკს, რაც საჭიროებს შეფასებას ემპირიული განაკვეთების ხელმისაწვდომობის შემთხვევაში, ან თუ საჭიროა მათი ცვლილება იჯარის პირობების ასახვის მიზნით. იხილეთ მე-8 შენიშვნა.

ბანკმა ზღვრული სასესხო განაკვეთი შეაფასა ემპირიული ამოსავალი მონაცემების (როგორც არის საბაზრო საპროცენტო განაკვეთი) გამოყენებით, როდესაც ისინი ხელმისაწვდომია და საჭიროა საწარმოს დამახასიათებელი კონკრეტული შეფასებების გაკეთება.

(ათას ლარში)

#### 4. ბუღალტრული აღრიცხვის ახალი ინტერპრეტაციები

ქვემოთ განსაზღვრულია ახალი და გადასინჯული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც უკვე გამოიცა, მაგრამ ძალაში არ არის შესული ბანკის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის. ბანკი ამ ახალი და გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას გეგმავს მათი ძალაში შესვლისთანავე.

ფასს 7 და ბასს 9 ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია და შეფასება  
ფასს 18 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და გამჟღავნება

მენეჯმენტი არ მოელოს, რომ ზემოთ მოყვანილი ახალი სტანდარტების დანერგვას არსებითი ზეგავლენა ექნება ბანკის მომავალი პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებზე.

#### 5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2025	2024
ნაღდი ფული	198,060	170,288
მიმდინარე ანგარიშები საკრედიტო დაწესებულებებში	6,979	6,709
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები</b>	<b>205,039</b>	<b>176,997</b>

2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, საკრედიტო დაწესებულებებში განთავსებული მიმდინარე ანგარიშების განთავსებულია არარეზიდენტ საკრედიტო დაწესებულებებში. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საკრედიტო დაწესებულებებში განთავსებული მიმდინარე ანგარიშების 99,95% განთავსებულია ორ არარეზიდენტ საკრედიტო დაწესებულებაში.

ფულის ეკვივალენტების ყველა ნაშთი დონე 1-ს განეკუთვნება; წლის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში მნიშვნელოვან მოძრაობებს ადგილი არ ჰქონია.

#### 6. მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები

	2025	2024
სამომხმარებლო სესხები	6,570	7,600
კორპორაციული სესხები	150,682	183,091
სესხი მცირე ბიზნესისთვის	2,700	4,291
<b>მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები, სულ</b>	<b>185,792</b>	<b>194,982</b>
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	(29,039)	(23,272)
<b>მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები, წმინდა</b>	<b>(130,913)</b>	<b>171,710</b>

2025 და 2024 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მთლიან საბალანსო ღირებულებაში და კორპორაციულ სესხებთან მიმართებაში შესაბამის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში ცვლილებების ანალიზი მოიცავდა შემდეგს:

კორპორაციული სესხები	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
მთლიანი საბალანსო ღირებულება 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	51,667	21,972	109,452	183,091
დაფარული აქტივები	(8,732)	(380)	(22,238)	(31,350)
ტრანსფერები დონე 1-ში	1,364	-	(1,364)	-
ტრანსფერები დონე 2-ში	(72)	72	-	-
ტრანსფერები დონე 3-ში	(3,675)	(732)	4,407	-
სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოდიფიცირებით				
გამოწვეული ცვლილება	-	(140)	(341)	(481)
სავალუტო კურსის ცვლილება	746	(813)	(1,510)	(1,577)
ჩამოწერილი აქტივები	-	-	(4,848)	(4,848)
სხვა წმინდა ცვლილებები	557	775	4,515	5,847
<b>2025 წლის 31 დეკემბრის</b>	<b>41,855</b>	<b>20,754</b>	<b>88,073</b>	<b>150,682</b>

(ათას ლარში)

**6. მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები (გაგრძელება)**

<b>კორპორაციული სესხები</b>	<b>დონე 1</b>	<b>დონე 2</b>	<b>დონე 3</b>	<b>სულ</b>
<b>მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით</b>	<b>(279)</b>	<b>(793)</b>	<b>(20,432)</b>	<b>(21,504)</b>
დაფარული აქტივები	406	102	3,370	<b>3,878</b>
ტრანსფერები დონე 1-ში	(4)	-	4	-
ტრანსფერები დონე 3-ში	648	303	(951)	-
სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოდიფიცირებით				
გამოწვეული ცვლილება	-	(14)	(104)	<b>(118)</b>
სავალუტო კურსის ცვლილება	1	39	320	<b>360</b>
ჩამოწერილი აქტივები	-	-	4,848	<b>4,050</b>
მიმდინარე სესხებზე რეზერვის ზრდა	(556)	(527)	(8,715)	<b>(9,798)</b>
სხვა წმინდა ცვლილებები	(550)	(230)	(4,848)	<b>(5,628)</b>
<b>2025 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>(334)</b>	<b>(1,120)</b>	<b>(26,508)</b>	<b>(27,962)</b>

<b>კორპორაციული სესხები</b>	<b>დონე 1</b>	<b>დონე 2</b>	<b>დონე 3</b>	<b>სულ</b>
<b>მთლიანი საბალანსო ღირებულება 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით</b>	<b>78,356</b>	<b>69,139</b>	<b>49,266</b>	<b>196,761</b>
დაფარული აქტივები	(27,624)	(1,200)	(2,198)	<b>(31,022)</b>
ტრანსფერები დონე 1-ში	331	-	(331)	-
ტრანსფერები დონე 2-ში	(4,201)	4,201	-	-
ტრანსფერები დონე 3-ში	-	(55,396)	55,396	-
სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოდიფიცირებით				
გამოწვეული ცვლილება	-	(157)	(43)	<b>(200)</b>
სავალუტო კურსის ცვლილება	(734)	813	2,141	<b>2,220</b>
სხვა წმინდა ცვლილებები	5,539	4,572	5,221	<b>15,332</b>
<b>2024 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>51,667</b>	<b>21,972</b>	<b>109,452</b>	<b>183,091</b>

<b>კორპორაციული სესხები</b>	<b>დონე 1</b>	<b>დონე 2</b>	<b>დონე 3</b>	<b>სულ</b>
<b>მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით</b>	<b>(315)</b>	<b>(176)</b>	<b>(12,398)</b>	<b>(12,889)</b>
დაფარული აქტივები	149	44	418	<b>611</b>
ტრანსფერები დონე 1-ში	(6)	-	6	-
ტრანსფერები დონე 2-ში	390	(390)	-	-
ტრანსფერები დონე 3-ში	-	7,350	(7,350)	-
სავალუტო კურსის ცვლილება	-	(15)	(9)	<b>(24)</b>
სხვა წმინდა ცვლილებები	(497)	(7,606)	(1,099)	<b>(9,202)</b>
<b>2024 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>(279)</b>	<b>(793)</b>	<b>(20,432)</b>	<b>(21,504)</b>

2025 და 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მთლიან საბალანსო ღირებულებაში და მცირე ბიზნესის კრედიტებთან მიმართებაში შესაბამის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში ცვლილებების ანალიზი მოიცავდა შემდეგს:

<b>სესხი მცირე ბიზნესისთვის</b>	<b>დონე 1</b>	<b>დონე 2</b>	<b>დონე 3</b>	<b>სულ</b>
<b>მთლიანი საბალანსო ღირებულება 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>4,291</b>	<b>4,291</b>
დაფარული აქტივები	-	-	(1,562)	<b>(1,562)</b>
სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოდიფიცირებით				
გამოწვეული ცვლილება	-	-	(276)	<b>(276)</b>
სავალუტო კურსის ცვლილება	-	-	(30)	<b>(30)</b>
სხვა წმინდა ცვლილებები	-	-	277	<b>277</b>
<b>2025 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>2,700</b>	<b>2,700</b>

(ათას ლარში)

**6. მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები (გაგრძელება)**

<i>სესხი მცირე ბიზნესისთვის</i>	<i>დონე 1</i>	<i>დონე 2</i>	<i>დონე 3</i>	<i>სულ</i>
<b>მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2025 წლის</b>	-	-	(1,482)	(1,482)
<b>1 იანვრის მდგომარეობით</b>				
დაფარული აქტივები	-	-	830	830
სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოდიფიცირებით				
გამოწვეული ცვლილება	-	-	66	66
სავალუტო კურსის ცვლილება	-	-	11	11
სხვა წმინდა ცვლილებები	-	-	(184)	(184)
<b>2025 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>(759)</b>	<b>(759)</b>

<i>სესხი მცირე ბიზნესისთვის</i>	<i>დონე 1</i>	<i>დონე 2</i>	<i>დონე 3</i>	<i>სულ</i>
<b>მთლიანი საბალანსო ღირებულება 2024 წლის</b>				
<b>1 იანვრის მდგომარეობით</b>	<b>4</b>	<b>10</b>	<b>3,976</b>	<b>3,990</b>
დაფარული აქტივები	(4)	(10)	(6,913)	(6,927)
ტრანსფერები დონე 1-ში	-	-	-	-
ტრანსფერები დონე 3-ში	-	(8)	8	-
სხვა წმინდა ცვლილებები	-	8	7,220	7,228
<b>2024 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>4,291</b>	<b>4,291</b>

<i>სესხი მცირე ბიზნესისთვის</i>	<i>დონე 1</i>	<i>დონე 2</i>	<i>დონე 3</i>	<i>სულ</i>
<b>მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2024 წლის</b>	-	-	(581)	(581)
<b>1 იანვრის მდგომარეობით</b>				
დაფარული აქტივები	5	95	1,089	1,189
ტრანსფერები დონე 1-ში	-	-	-	-
ტრანსფერები დონე 3-ში	-	(8)	8	-
სავალუტო კურსის ცვლილება	-	(15)	(9)	(24)
სხვა წმინდა ცვლილებები	(5)	(72)	(1,989)	(2,066)
<b>2024 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>(1,482)</b>	<b>(1,482)</b>

2025 და 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მთლიან საბალანსო ღირებულებაში და სამომხმარებლო სესხებთან მიმართებაში შესაბამის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში ცვლილებების ანალიზი მოიცავდა შემდეგს:

<i>სამომხმარებლო სესხები</i>	<i>დონე 1</i>	<i>დონე 2</i>	<i>დონე 3</i>	<i>სულ</i>
<b>მთლიანი საბალანსო ღირებულება 2025 წლის</b>	<b>7,187</b>	<b>-</b>	<b>413</b>	<b>7,600</b>
<b>1 იანვრის მდგომარეობით</b>				
დაფარული აქტივები	(1,207)	-	(48)	(1,255)
ტრანსფერები დონე 1-ში	6	-	(6)	-
ტრანსფერები დონე 3-ში	(1)	-	1	-
სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოდიფიცირებით	(2)	-	(81)	(83)
გამოწვეული ცვლილება				
სავალუტო კურსის ცვლილება	207	-	-	207
სხვა წმინდა ცვლილებები	7	-	94	101
<b>2025 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>6,197</b>	<b>-</b>	<b>373</b>	<b>6,570</b>

(ათას ლარში)

## 6. მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები (გაგრძელება)

<i>სამომხმარებლო სესხები</i>	<i>დონე 1</i>	<i>დონე 2</i>	<i>დონე 3</i>	<i>სულ</i>
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(18)	-	(268)	(286)
დაფარული ან გაყიდული აქტივები	9	-	48	57
სხვა წმინდა ცვლილებები	(5)	-	(84)	(89)
<b>2025 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>(14)</b>	<b>-</b>	<b>(304)</b>	<b>(318)</b>

<i>სამომხმარებლო სესხები</i>	<i>დონე 1</i>	<i>დონე 2</i>	<i>დონე 3</i>	<i>სულ</i>
მთლიანი საბალანსო ღირებულება 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	8,775	345	540	9,660
დაფარული ან გაყიდული აქტივები	(1,933)	(23)	(185)	(2,141)
ტრანსფერები დონე 1-ში	359	(310)	(49)	-
ტრანსფერები დონე 3-ში	(14)	(12)	26	-
ჩამოწერილი თანხები	-	-	(2)	(2)
სხვა წმინდა ცვლილებები	-	-	83	83
<b>2024 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>7,187</b>	<b>-</b>	<b>413</b>	<b>7,600</b>

<i>სამომხმარებლო სესხები</i>	<i>დონე 1</i>	<i>დონე 2</i>	<i>დონე 3</i>	<i>სულ</i>
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(27)	(6)	(382)	(415)
დაფარული ან გაყიდული აქტივები	33	6	120	159
ტრანსფერები დონე 1-ში	(1)	-	1	-
ტრანსფერები დონე 3-ში	(23)	-	23	-
ჩამოწერილი თანხები	-	-	2	2
სხვა წმინდა ცვლილებები	-	-	(32)	(32)
<b>2024 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>(18)</b>	<b>-</b>	<b>(268)</b>	<b>(286)</b>

## უზრუნველყოფის საგანი და საკრედიტო რისკის შემცირება

უზრუნველყოფისათვის საჭირო მოცულობა და ტიპი დამოკიდებულია კონტრაქტის საკრედიტო რისკის შეფასებაზე. ამ მიზნით შემუშავებულია უზრუნველყოფის ტიპებისა და შეფასების პარამეტრები და ინსტრუქციები. მიღებული უზრუნველყოფის ძირითადი ტიპებია:

- ▶ კომერციული სესხებისათვის: უძრავი ქონება, მარაგები, სავაჭრო მოთხოვნები და საბანკო გარანტიები;
- ▶ საცალო სესხებისათვის - საბანკო ანაზრები, საცხოვრებელი ფართის გირაო, მარაგები, საყოფაცხოვრებო აქტივები და მესამე მხარეთა თავდებობა.

(ათას ლარში)

**6. მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები (გაგრძელება)**

**უზრუნველყოფის საგანი და საკრედიტო რისკის შემცირება (გაგრძელება)**

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ფლობილი უზრუნველყოფის საგნის და გაუფასურებული (დონე 3) აქტივების საკრედიტო რისკის შემცირების მიმდინარე რეალური ღირებულების ანალიზი. უზრუნველყოფის საგნის დონიდან გამომდინარე, დონე 3 -ის ზოგიერთ კრედიტს შესაძლოა არ ჰქონდეს ინდივიდუალური მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, როდესაც უზრუნველყოფის საგნის მოსალოდნელი ღირებულება აღემატება დანაკარგებს დეფოლტის შემთხვევაში.

	საბაზისო სცენარის ფარგლებში ფლობილი უზრუნველყოფის საგნის რეალური ღირებულება						დაკავშირებული მოსალოდნელი		
	საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა	ფულადი სახსრები/ ვასიანი		ჯამური	სხვა*	ზედმეტი უზრუნველყოფა	სულ უზრუნველყოფა	წმინდა რისკის ზომა	საკრედიტო ზარალი
		ანაზრები	ქაღალდები						
<b>2025 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>91,181</b>	<b>200</b>	<b>61,448</b>	<b>127,441</b>	<b>77,551</b>	<b>(178,006)</b>	<b>88,634</b>	<b>2,547</b>	<b>27,571</b>
სამომხმარებლო სესხები	408	-	-	504	-	(350)	154	254	304
კორპორაციული სესხები	88,073	-	61,448	122,420	77,494	(175,562)	85,800	2,273	26,508
სესხი მცირე ბიზნესისთვის	2,700	200	-	4,517	57	(2,094)	2,680	20	759

	საბაზისო სცენარის ფარგლებში ფლობილი უზრუნველყოფის საგნის რეალური ღირებულება						დაკავშირებული მოსალოდნელი		
	საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა	ფულადი სახსრები/ ვასიანი		ჯამური	სხვა*	ზედმეტი უზრუნველყოფა	სულ უზრუნველყოფა	წმინდა რისკის ზომა	საკრედიტო ზარალი
		ანაზრები	ქაღალდები						
<b>2024 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>114,156</b>	<b>777</b>	<b>63,992</b>	<b>158,557</b>	<b>95,620</b>	<b>(207,062)</b>	<b>111,884</b>	<b>2,273</b>	<b>22,182</b>
სამომხმარებლო სესხები	413	-	-	525	-	(384)	141	273	268
კორპორაციული სესხები	109,452	577	63,992	153,785	95,561	(206,246)	107,669	1,783	20,432
სესხი მცირე ბიზნესისთვის	4,291	200	-	4,247	59	(432)	4,074	217	1,482

\* მოძრავი ქონება, მოწყობილობები და მარაგები.

(ათას ლარში)

**6. მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები (გაგრძელება)**

**უზრუნველყოფის საგანი და საკრედიტო რისკის შემცირება (გაგრძელება)**

ზემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ინფორმაცია უზრუნველყოფის შესახებ, რომელიც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაშია გამოყენებული. ბანკი შესაძლოა ფლობდეს სხვა ტიპის უზრუნველყოფებს, რომლებიც არ მოქმედებენ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაზე. შედარებადი ინფორმაცია წარმოდგენილია მიმდინარე პერიოდის პრეზენტაციასთან შესაბამისობისთვის.

ბანკის პოლიტიკით, დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნების გაყიდვა შესაბამისი პროცედურებით რეგულირდება. შემოსულობა გამოიყენება აუნაზღაურებელი მოთხოვნების შესამცირებლად ან დასაფარად. ზოგადად, ბანკი დასაკუთრებულ აქტივებს კომერციული მიზნებისათვის არ იყენებს.

**მომხმარებლებზე გაცემული სესხების და ავანსების კონცენტრაცია**

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის სესხების კონცენტრაცია ათ უმსხვილეს მსესხებელზე შეადგენდა 134,343 ლარს (მთლიანი სასესხო პორტფელის 84,00%) (2024 წ.: 141,350 ლარი ანუ 72,49%). აღნიშნული სესხებისათვის შეიქმნა რეზერვი 23,406 ლარის (2024 წ.: 14,580 ლარი) ოდენობით.

2024 წელს მომხმარებლებზე გაცემულ მთლიან სესხებში შედის მსესხებლების ჯგუფის მიმართ გაცემული 27,953 ლარის კრედიტის ოდენობა, რაც მთლიანი საკრედიტო პორტფელის 17,48%-ს შეადგენს (2024 წ.: 26,730 ლარი, ანუ 13,71%), რასაც ერიცხება წლიური საპროცენტო განაკვეთი 7,5% და 12,00%-მდე და ვადა ეწურება 2026 წლის ივნისში (2024 წ.: ყოველწლიური საპროცენტო განაკვეთი 6,5% და 12,00%-მდე და ვადა ეწურება 2026 წლის ივნისამდე).

სესხები შემდეგი ტიპის მომხმარებლებზე გაიცა:

	<u>2025</u>	<u>2024</u>
კომერციული იურიდიული პირები	153,881	187,382
ფიზიკური პირები	6,570	7,600
<b>მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები, სულ</b>	<b><u>159,951</u></b>	<b><u>194,982</u></b>

2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მომხმარებლებზე გაცემული სესხებისა და ავანსების (რომლებიც ძირითადად საქართველოშია გაცემული) განაწილება დარგების მიხედვით:

	<u>2025</u>	<u>2024</u>
სავაჭრო და მომსახურების საწარმოები	87,801	110,557
წარმოება	29,476	38,675
ფიზიკური პირები	6,570	7,600
სოფლის მეურნეობა და საკვები პროდუქტების გადამამუშავება	3,893	5,562
ფინანსური	368	331
უძრავი ქონების მშენებლობა	446	7,777
ტრანსპორტი და ტელეკომუნიკაცია	20	53
სხვა	20,377	24,427
<b>მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები, სულ</b>	<b><u>159,951</u></b>	<b><u>194,982</u></b>

(ათას ლარში)

## 7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მოძრაობა 2024 და 2025 წლების განმავლობაში ასეთი იყო:

	მიწა და შენობა- ნაგებობები	კომპიუტერული და საკომუნიკაციო აღჭურვილობა	ავტომობილები, აღჭურვილობა და საოფისე ტექნიკა	კომუნალური სისტემები და დაკავშირებული ფუნქციები	სატრანსპორტო საშუალებები	მთლიანი
<b>თვითღირებულება და გადაფასებული ღირებულება</b>						
2023 წლის 31 დეკემბერი	31,886	8,347	3,818	1,938	1,646	47,635
შესყიდვები	-	1	2	-	-	3
დაგროვილი ცვეთის ელიმინაცია	(1,704)	-	-	-	-	(1,704)
გადაფასების ეფექტი	739	-	-	-	-	739
2024 წლის 31 დეკემბერი	30,921	8,348	3,820	1,938	1,646	46,673
შესყიდვები	-	8	2	-	530	540
გასვლა და ჩამოწერა	(571)	(18)	(165)	-	(124)	(878)
2025 წლის 31 დეკემბერი	30,350	8,338	3,657	1,938	2,052	46,335
<b>დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება</b>						
2023 წლის 31 დეკემბერი	(1,136)	(6,025)	(3,508)	(836)	(1,521)	(13,026)
ცვეთის დანარიცხი	(568)	(532)	(118)	(62)	(31)	(1,311)
დაგროვილი ცვეთის ელიმინაცია	1,704	-	-	-	-	1,704
2024 წლის 31 დეკემბერი	-	(6,557)	(3,626)	(898)	(1,552)	(12,633)
ცვეთის დანარიცხი	(537)	(485)	(73)	(66)	(31)	(1,192)
გასვლა და ჩამოწერა	9	18	158	-	-	185
2025 წლის 31 დეკემბერი	(528)	(7,024)	(3,541)	(964)	(1,583)	(13,604)
<b>წმინდა სააღრიცხვო ღირებულება</b>						
2023 წლის 31 დეკემბერი	30,750	2,322	310	1,102	125	34,609
2024 წლის 31 დეკემბერი	30,921	1,791	194	1,040	94	34,040
2025 წლის 31 დეკემბერი	29,822	1,314	116	974	469	32,695

2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ექსპლუატაციაში მყოფი, მაგრამ სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებების მთლიანი ღირებულება შეადგენდა 7,958 ლარსა და 9,343 ლარს, შესაბამისად.

(ათას ლარში)

**8. საინვესტიციო ქონება**

	<u>2025</u>	<u>2024</u>
<b>საწყისი ნაშთი 1 იანვარს</b>	<b>28,072</b>	<b>29,278</b>
გასვლები	(814)	(3,357)
შემოსულობა საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან	950	2,151
სხვა აქტივებიდან კლასიფიცირებული	1,458	-
<b>საბოლოო ნაშთი 31 დეკემბერს</b>	<b><u>29,666</u></b>	<b><u>28,072</u></b>

საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება განისაზღვრა ბაზარზე არსებული მონაცემების საფუძველზე. რეალური ღირებულების განსაზღვრაში საბაზრო მიდგომა იყო გამოყენებული (17-ე შენიშვნა).

**9. გადასახადებით დაბეგრვა**

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში შევიდა ცვლილებები მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ამოქმედდა 2017 წლის 1 იანვრიდან და გავრცელდა საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი თავდაპირველად 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. 2018 წლის 27 დეკემბერს ბანკებისთვის ცვლილების ეფექტური თარიღი 2023 წლის 1 იანვრით შეიცვალა. ახალი ნორმატიული აქტის თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით განაწილებული მოგება, და არა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად მიღებული მოგება. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა გამოითვლება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება აქვთ, ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით.

2025 და 2024 წლებში ბანკის მოგებაზე ვრცელდებოდა მოგების გადასახადის განაკვეთი 20%-ის ოდენობით. მოგების გადასახადის ეფექტური განაკვეთი განსხვავდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო განაკვეთისგან. ქვემოთ მოცემულია კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთით მოგების გადასახადის სარგებლის ხარჯის ფაქტობრივთან შეჯერება:

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს შემდეგს:

	<u>2025</u>	<u>2024</u>
გადავადებული ხარჯი - დროებითი სხვაობის წარმოშობა და გაუქმება	(398)	(42)
<b>მოგების გადასახადის ხარჯი</b>	<b><u>(398)</u></b>	<b><u>(42)</u></b>

მოგების გადასახადის ეფექტური განაკვეთი განსხვავდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო განაკვეთისგან. ქვემოთ კანონმდებლობით გათვალისწინებული განაკვეთების მიხედვით მოგების გადასახადის ხარჯი შესაბამისობაშია მოყვანილი გადასახადის რეალურ ოდენობასთან:

	<u>2025</u>	<u>2024</u>
ხარჯი მოგების გადასახადის ხარჯის გაწევამდე	<b>(53,636)</b>	<b>8,451</b>
ნორმატიული საგადასახადო განაკვეთი	20%	20%
<b>თეორიული მოგების გადასახადის ხარჯი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთით</b>		
საშემოსავლო გადასახადის თეორიული შეღავათი/(ხარჯი) კანონით დადგენილი განაკვეთით	10,727	(1,690)
ცვლილება არალიარებულ გადავადებულ საგადასახადო აქტივებში	(9,463)	1,933
გამოუქვითვადი ხარჯები	(22)	(285)
გადასახადისგან გათავისუფლებულ შემოსავალს გამოკლებული შემოსავალი, რომელიც აღიარებულია მხოლოდ საგადასახადო მიზნებისთვის	(1,640)	-
<b>მოგების გადასახადის ხარჯი</b>	<b><u>(398)</u></b>	<b><u>(42)</u></b>

(ათას ლარში)

**9. გადასახადებით დაბეგვრა (გაგრძელება)**

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით და მათი მოძრაობა შესაბამის წლებში ასეთია:

<b>დასაქვითი დროებითი სხვაობების საგადასახადო ეფექტი</b>	<b>2023</b>	<b>მოგება-ზარალის ანგარიშგებაში</b>	<b>2024</b>	<b>მოგება-ზარალის ანგარიშგებაში</b>	<b>სხვა სრულ შემოსავლებში</b>	<b>2025</b>
გაუფასურების რეზერვი და სხვა ზარალის ანარიცხები	553	60	613	112	-	725
გადატანილი საგადასახადო ზარალი	7,947	(1,933)	6,014	9,463	-	15,477
დარიცხული ხარჯები	55	406	461	(428)	-	33
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	-	2,393	2,393	(110)	-	2,283
სხვა	2	-	2	(1,264)	-	2
<b>მთლიანი გადავადებული საგადასახადო აქტივი</b>	<b>8,557</b>	<b>926</b>	<b>9,483</b>	<b>7,773</b>	<b>-</b>	<b>17,256</b>
არ აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივი	(7,947)	1,933	(6,014)	(9,463)	-	(15,477)
<b>გადავადებული საგადასახადო აქტივები</b>	<b>610</b>	<b>2,859</b>	<b>3,469</b>	<b>(1,690)</b>	<b>-</b>	<b>1,779</b>
<b>დასაბეგრი დროებითი სხვაობების საგადასახადო ეფექტი:</b>						
ძირითადი საშუალებები	473	(2,500)	(2,027)	167	(85)	(1,945)
საინვესტიციო ქონება	(724)	(401)	(1,125)	1,125	-	-
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	(251)	(2,901)	(3,152)	1,292	(85)	(1,945)
<b>წმინდა გადავადებული გადასახადი (ვალდებულებები/აქტივები)</b>	<b>359</b>	<b>(42)</b>	<b>317</b>	<b>(398)</b>	<b>(85)</b>	<b>(166)</b>

**10. საკრედიტო ზარალის (ხარჯი)/აღდგენა და სხვა გაუფასურება და ანარიცხები**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დარიცხვები ფინანსურ ინსტრუმენტებზე, რომლებიც ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის:

	<b>შენიშვნა</b>	<b>დონე 1</b>	<b>დონე 2</b>	<b>დონე 3</b>	<b>სულ</b>
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები		(118)	(381)	(9,385)	(9,884)
სხვა ფინანსური აქტივები		(22)	-	(171)	(193)
<b>საკრედიტო ზარალის აღდგენა/(ხარჯი)</b>		<b>(140)</b>	<b>(381)</b>	<b>(9,556)</b>	<b>(10,077)</b>
ფინანსური გარანტიები		-	-	-	-
კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებების ანარიცხები		-	-	-	-

(ათას ლარში)

**10. საკრედიტო ზარალის (ხარჯი)/აღდგენა და სხვა გაუფასურება და ანარიცხები (გაგრძელება)**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დარიცხვები ფინანსურ ინსტრუმენტებზე, რომლებიც ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის:

	<u>შენიშვნა</u>	<u>დონე 1</u>	<u>დონე 2</u>	<u>დონე 3</u>	<u>სულ</u>
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები	6	(462)	(486)	(6,907)	(7,855)
სხვა ფინანსური აქტივები		-	-	(183)	(183)
<b>საკრედიტო ზარალის აღდგენა/(ხარჯი)</b>		<b>(462)</b>	<b>(486)</b>	<b>(7,090)</b>	<b>(8,038)</b>
ფინანსური გარანტიები		17	-	-	17
<b>კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებების ანარიცხები</b>		<b>17</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>17</b>

**11. სხვა აქტივები და ვალდებულებები**

სხვა აქტივები მოიცავს:

	<u>2025</u>	<u>2024</u>
<b>ფინანსური აქტივები</b>		
დაუსრულებელი ანგარიშსწორება ფულად გზავნილებზე	17,180	16,921
სხვა	91	209
სხვა ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი	(3,010)	(3,067)
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>14,261</b>	<b>14,063</b>
<b>არაფინანსური აქტივები</b>		
დასაკუთრებული უზრუნველყოფის მარაგები	24,290	21,654
წინასწარ გადახდილი საოპერაციო გადასახადები	1,091	753
არამატერიალური აქტივები	805	1,015
ხელმისაწვდომი მარაგები	652	327
წინასწარი ხარჯები	314	257
გადახდილი ავანსები	198	907
სხვა	269	269
<b>სულ არაფინანსური აქტივები</b>	<b>27,619</b>	<b>25,182</b>
<b>სხვა აქტივები</b>	<b>41,880</b>	<b>39,245</b>

არამატერიალური აქტივების მოძრაობა 2025 და 2024 წლების განმავლობაში ასეთი იყო:

	<u>არამატერიალური აქტივები</u>
<b>თვითღირებულებით</b>	
2023 წლის 31 დეკემბერი	3,159
2024 წლის 31 დეკემბერი	3,159
2025 წლის 31 დეკემბერი	3,159
<b>დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურება</b>	
2023 წლის 31 დეკემბერი	(1,931)
ამორტიზაციის დანარიცხი წლის განმავლობაში (18-ე შენიშვნა)	(213)
2024 წლის 31 დეკემბერი	(2,144)
ამორტიზაციის დანარიცხი წლის განმავლობაში (18-ე შენიშვნა)	(210)
2025 წლის 31 დეკემბერი	(2,354)
<b>წმინდა სააღრიცხვო ღირებულება</b>	
2023 წლის 31 დეკემბერი	1,228
2024 წლის 31 დეკემბერი	1,015
2025 წლის 31 დეკემბერი	805

(ათას ლარში)

### 11. სხვა აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით ყველა ფინანსური აქტივი დონე 1-ს განეკუთვნება და წლის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში მნიშვნელოვან მოძრაობებს ადგილი არ ჰქონია.

სხვა ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:

	2025	2024
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>		
დარიცხული ბონუსები	615	1,906
დაუსრულებელი ანგარიშსწორება ფულად გზავნილებზე	16,053	12,022
დარიცხული ხარჯები	482	804
კრედიტთან დაკავშირებული გარე საბალანსო ვალდებულებების ანარიცხები	8	8
ანგარიშსწორება პლასტიკური ბარათებით	850	842
სხვა	-	1
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>18,008</b>	<b>15,583</b>
<b>არაფინანსური ვალდებულებები</b>		
მიღებული ავანსები	269	262
ბანკის აქციონერებზე გასაცემი დივიდენდები	1,060	1,060
საოპერაციო საგადასახადო ვალდებულება	251	1
<b>სულ არაფინანსური ვალდებულებები</b>	<b>1,580</b>	<b>1,323</b>
<b>სხვა ვალდებულებები</b>	<b>19,588</b>	<b>16,906</b>

### 12. ვალდებულებები მომხმარებლების წინაშე

	2025	2024
<b>ფიზიკური პირები</b>		
მიმდინარე/მოთხოვნამდე ანგარიშები	3,284	3,303
ვადიანი ანაბრები	-	609
<b>სულ ვალდებულებები ფიზიკური პირების წინაშე</b>	<b>3,284</b>	<b>3,912</b>
<b>იურიდიული პირები</b>		
მიმდინარე/საანგარიშსწორებო ანგარიშები	9,458	8,664
ვადიანი ანაბრები	70	386
<b>სულ ვალდებულებები იურიდიული პირების წინაშე</b>	<b>9,528</b>	<b>9,050</b>
<b>სულ ვალდებულებები მომხმარებლების წინაშე</b>	<b>12,812</b>	<b>12,962</b>

(ათას ლარში)

**12. ვალდებულებები მომხმარებლების წინაშე (გაგრძელება)**

მომხმარებელთა ანგარიშების ანალიზი დარგების მიხედვით შემდეგია:

	2025	2024
ვაჭრობა და მომსახურება	9,307	8,764
ფიზიკური პირები	3,314	3,920
უძრავი ქონების მშენებლობა	51	127
წარმოება	47	52
ფინანსური	43	45
ენერგეტიკა	10	9
სოფლის მეურნეობა	8	12
ტრანსპორტი და კომუნიკაცია	6	7
განათლება	6	6
სხვა	20	20
<b>ვალდებულებები მომხმარებლების წინაშე</b>	<b>12,812</b>	<b>12,962</b>

**13. კაპიტალი**

**განთავსებული კაპიტალი**

ნებადართული და მთლიანად განაღებული ჩვეულებრივი აქციების მოძრაობა ასეთია:

	<i>ნებადართული აქციების რაოდენობა</i>	<i>მთლიანად განაღებული აქციების რაოდენობა</i>	<i>ნომინალური ღირებულება, ლარი</i>
2024 წლის 31 დეკემბერი	209,008,277	209,008,277	209,008
2025 წლის 31 დეკემბერი	209,008,277	209,008,277	209,008

ბანკის განთავსებული კაპიტალში აქციონერთა მიერ შენატანი ხორციელდებოდა ლარში, შესაბამისად, კაპიტალი უნდა განაწილდეს დივიდენდის ან სხვა სახით მხოლოდ ლარში.

**უვადო სუბორდინირებული სესხი**

2016 წლის 29 დეკემბერს ბანკმა მიიღო 300 მილიონი რუბლის (13,098 ლარი) უვადო სუბორდინირებული სესხი. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, უვადო სუბორდინირებული სესხის საბალანსო ღირებულება იყო 10,275 ლარი (2024 წ.: 7,622 ლარი). 2025 და 2024 წლის განმავლობაში ბანკს არ განუხორციელებია პროცენტის დაფარვა. უვადო სუბორდინირებულ სესხს ვადა არ აქვს განსაზღვრული და ბანკს აქვს მისი გამოსყიდვის საშუალება. კუპონის განაკვეთი მოიცავს რუსეთის ცენტრალური ბანკის ძირითად განაკვეთს +2.5%. ბანკს უპირობო უფლება აქვს, საკუთარი შეხედულებისამებრ გააუქმოს საპროცენტო გადახდები გადახდის თარიღამდე კრედიტორისთვის შეტყობინების გაგზავნით.

2021 წლის 29 დეკემბერს ბანკმა მიიღო 1,400 მილიონი რუბლის (58,780 ლარი) უვადო სუბორდინირებული სესხი. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, უვადო სუბორდინირებული სესხის საბალანსო ღირებულება იყო 47,950 ლარი (2024 წ.: 35,567 ლარი). 2025 და 2024 წლის განმავლობაში ბანკს არ განუხორციელებია პროცენტის დაფარვა. უვადო სუბორდინირებულ სესხს ვადა არ აქვს განსაზღვრული და ბანკს აქვს მისი გამოსყიდვის საშუალება. კუპონის განაკვეთი მოიცავს რუსეთის ცენტრალური ბანკის ძირითად განაკვეთს +5.89%. ბანკს უპირობო უფლება აქვს, საკუთარი შეხედულებისამებრ გააუქმოს საპროცენტო გადახდები გადახდის თარიღამდე კრედიტორისთვის შეტყობინების გაგზავნით.

თუ ბანკის ჩვეულებრივი პირველადი კაპიტალის (CET1) კოეფიციენტი შემცირდებოდა ხელშეკრულებაში მითითებულ ოდენობაზე მეტი ოდენობით, პირობითი სუბორდინირებული სესხი საპროცენტო გადახდებით უნდა ჩამოიწეროს ჩვეულებრივი პირველი რიგის კაპიტალის მოთხოვნის აღდგენისთვის საჭირო ოდენობით, რომელიც ხელშეკრულებაშია მითითებული.

(ათას ლარში)

### 13. კაპიტალი (გაგრძელება)

#### დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დივიდენდების განაწილება შეიძლება გამოცხადდეს ბანკის აქციონერებისთვის წმინდა მოგებიდან, რომელიც მოცემულია ბანკის მიერ სებ-ის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. სებ-ი უნდა იყოს ინფორმირებული დივიდენდების გამოცხადების შესახებ. იმ შემთხვევაში თუ კომერციული ბანკი არღვევს სებ-ის სარეგულაციო მოთხოვნებს, მას აქვს უფლება შეაჩეროს ან აკრძალოს დივიდენდების გაცემა.

მოქმედი სანქციების გამო ბანკს შეზღუდული აქვს დივიდენდების გაცემა, შესაბამისად 2025 და 2024 წლებში დივიდენდები არ გამოცხადებულა და არ გადახდილა.

### 14. პირობითი ვალდებულებები

#### საოპერაციო გარემო

2025 წელს საქართველოს ეკონომიკურმა აქტივობამ შეინარჩუნა მდგრადი ზრდის ტენდენცია. მიუხედავად გლობალური ეკონომიკური გაურკვევლობებისა და რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური რისკებისა, ეკონომიკა სტაბილურად განაგრძობდა გაფართოებას. წინასწარი შეფასებებით, რეალური მშპ 5.0–5.5%-ის ფარგლებში გაიზარდა, რაც მიუთითებს ეკონომიკის სტრუქტურულ მდგრადობაზე და შიდა მოთხოვნის აქტიურობაზე. ბიუჯეტის დეფიციტი 2025 წელს შენარჩუნდა კონტროლირებად დონეზე და დაახლოებით მშპ-ის 2.5–2.8%-ის ფარგლებში დაფიქსირდა, რაც ფისკალური დისციპლინის გაგრძელებას ასახავს.

საგარეო სექტორში 2025 წელს შედარებითი სტაბილიზაცია შეინიშნებოდა. საქონლის ექსპორტმა და იმპორტმა ზომიერი ზრდა აჩვენა, რაც საერთაშორისო ბაზრებზე მოთხოვნის ეტაპობრივ აღდგენასა და რეგიონული ვაჭრობის გააქტიურებას უკავშირდებოდა. ადგილობრივი წარმოების ექსპორტი კვლავ პოზიტიურ დინამიკას ინარჩუნებდა, განსაკუთრებით ტექნოლოგიურ პროდუქტებსა და მომსახურებებში. საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული სერვისების ექსპორტის წილი კვლავ გაიზარდა, რასაც ხელი შეუწყო მაღალი დამატებული ღირებულების სექტორების განვითარებამ და საერთაშორისო კომპანიების ინტერესის ზრდამ. რეექსპორტის მაჩვენებლები კვლავ მნიშვნელოვან წილს იკავებდა საგარეო ვაჭრობაში.

ინფლაციის მაჩვენებელი 2025 წელს ზომიერად გაიზარდა, თუმცა მიზნობრივ დონესთან ახლოს დარჩა. გლობალური ფასების სტაბილიზაციამ და შიდა მოთხოვნის გაწონასწორებულმა ზრდამ უზრუნველყო ფასების შედარებითი სტაბილურობა. წლის ბოლოს ინფლაცია 2–3%-ის ფარგლებში დაფიქსირდა. აღნიშნულ ფონზე, საქართველოს ეროვნული ბანკი აგრძელებდა ფრთხილ მონეტარულ პოლიტიკას და საჭიროებისამებრ არეგულირებდა პოლიტიკის განაკვეთს, რათა შეენარჩუნებინა ფასების სტაბილურობა და ფინანსური ბაზრების ბალანსი.

ლარის გაცვლითი კურსი 2025 წელს შედარებით სტაბილური იყო. აშშ დოლართან მიმართებით კურსი მერყეობდა, თუმცა მკვეთრი დევალვაცია ან რევალვაცია არ დაფიქსირებულა. საერთაშორისო რეზერვები შენარჩუნდა უსაფრთხო დონეზე, ხოლო ცენტრალური ბანკი საჭიროების შემთხვევაში ახორციელებდა სავალუტო ინტერვენციებს ბაზრის სტაბილურობის მხარდასაჭერად.

საბანკო სექტორი 2025 წელს კვლავ მდგრადი და კაპიტალიზებული იყო. საკრედიტო პორტფელის ზრდა გაგრძელდა, განსაკუთრებით ბიზნესისა და საცალო დაკრედიტების მიმართულებით. სექტორმა შეინარჩუნა მაღალი ლიკვიდობა და საკმარისი კაპიტალის ადეკვატურობის მაჩვენებლები, რაც ეკონომიკური აქტივობის დაფინანსებასა და ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფას უწყობდა ხელს.

(ათას ლარში)

**14. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)****იურიდიული**

დროდადრო, ჩვეული საქმიანობის პირობებში ბანკის წინააღმდეგ ხდება სარჩელის აღძვრა. საანგარიშგებო თარიღში ბანკს მიღებული ჰქონდა რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნა. ამასთან, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაძლოა მოხდეს რესურსების გადინება, შესაბამისად წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ამისათვის შესაბამისი რეზერვი არ გამოყოფილა. 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის ფინანსური და პირობითი ვალდებულებები მოიცავდა შემდეგს:

	2025	2024
<b>საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები</b>		
გაცემული გარანტიები	200	216
<b>ფინანსური და პირობითი ვალდებულებები (უზრუნველყოფის დაქვეითვამდე)</b>	<b>200</b>	<b>216</b>
<i>გამოკლებული – გაცემული აკრედიტივების უზრუნველსაყოფად განკუთვნილი ნაღდი ფული, ათვისებული საკრედიტო ხაზი და გაცემული გარანტიები (მე-13 შენიშვნა)</i>	<i>(30)</i>	<i>(47)</i>
<b>პირობითი ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>170</b>	<b>169</b>

ვალდებულებები მეტწილად დონე 1-ს განეკუთვნება. წლის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში მნიშვნელოვანი მოძრაობები არ მომხდარა.

**15. პერსონალის და სხვა საოპერაციო ხარჯები**

	2025	2024
ხელფასი	7,266	7,372
ბონუსები და პრემიები	633	1,873
დადგენილი შენატანების საპენსიო ხარჯი	86	78
<b>თანამშრომლებზე გაწეული დანახარჯები</b>	<b>7,985</b>	<b>9,323</b>
საოპერაციო გადასახადები	924	917
კომუნალური მომსახურებები	389	375
საოფისე მარაგები	385	394
ძირითადი საშუალებების რემონტი და ტექნომსახურება	359	424
უსაფრთხოების ზომები	252	222
კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის ტექნომსახურება	214	378
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	210	213
პროფესიული მომსახურების ხარჯები	170	118
წარმომადგენლობითი ხარჯები	145	78
კომუნიკაცია	115	165
სამივლინებო და დაკავშირებული ხარჯები	115	51
იურიდიული და საკონსულტაციო მომსახურება	83	236
დაზღვევა	69	73
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	7	94
სხვა	61	66
<b>სხვა საოპერაციო ხარჯები</b>	<b>3,498</b>	<b>3,804</b>

**აუდიტორის ანაზღაურება**

ბანკის აუდიტორის ანაზღაურება 31 დეკემბრით დასრულებული 2025 წლისთვის მოიცავს 120 ლარს (დღგ-ის ჩათვლით). ბანკის აუდიტორის ანაზღაურება 31 დეკემბრით დასრულებული 2024 წლისთვის მოიცავს 100 ლარს (დღგ-ის ჩათვლით).

(ათას ლარში)

## 16. რისკის მართვა

რისკი წარმოადგენს საბანკო საქმიანობების შემადგენელ ნაწილს და ის იმართება იდენტიფიკაციის, შეფასების, მონიტორინგის, რისკების კონტროლის და რისკის მართვის სხვა საშუალებების გრძელვადიანი პროცესების მეშვეობით. ბანკის რისკის პოზიცია მოიცავს საკრედიტო, ლიკვიდობის, საბაზრო და საოპერაციო რისკებს.

რისკების კონტროლის დამოუკიდებელი პროცესი არ მოიცავს ისეთ ბიზნეს რისკებს, როგორებიც არის გარემო პირობების, ტექნოლოგიების და ინდუსტრიის ცვლილებების რისკები. ისინი კონტროლდება ბანკის სტრატეგიული დაგეგმარების პროცესით.

### რისკის მართვის სტრუქტურა

რისკების იდენტიფიკაციასა და კონტროლს ძირითადად ახორციელებს ბანკის სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო რისკების მართვა და ზედამხედველობა ასევე ხორციელდება ბანკის დამოუკიდებელი ორგანოების მიერ.

### სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია რისკების მართვის საერთო მიდგომის ჩამოყალიბებასა და რისკების მართვის სტრატეგიებისა და პრინციპების დამტკიცებაზე. სამეთვალყურეო საბჭო ყოველკვარტალურად განიხილავს რისკებისა და კაპიტალის ადეკვატურობის ანგარიშს დადგენილი ფორმით.

### დირექტორატი

დირექტორატი პასუხისმგებელია რისკების მართვის საერთო პროცესის ხელმძღვანელობაზე ბანკში. დირექტორატი სრულად არის პასუხისმგებელი რისკის სტრატეგიის შემუშავებასა და პრინციპების, სტრუქტურის, პოლიტიკისა და ლიმიტების დანერგვა-დამტკიცებაზე.

### რისკების მართვის სტრუქტურა

რისკების მართვის სტრუქტურა (რისკის დეპარტამენტი) პასუხისმგებელია რისკებთან დაკავშირებული პროცედურების დანერგვასა და ფუნქციონირებაზე რისკების კონტროლის პროცესის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით.

### კომპლენს რისკების მართვა

რისკების კომპლენს სტრუქტურა ზედამხედველობა უნდა გაუწიოს ბანკის პროცედურების შესაბამისობას რისკების პრინციპებთან, პოლიტიკასთან და ლიმიტებთან. თითოეულ ბიზნეს ბანკს აქვს დეცენტრალიზებული სტრუქტურული ერთეული, რომელიც პასუხისმგებელია რისკების დამოუკიდებელ კონტროლზე, მათ შორის ლიმიტების დარღვევის რისკის მართვაზე და ახალი პროდუქციისა თუ ტრანზაქციის რისკების შეფასებაზე. აღნიშნული დეპარტამენტი ასევე უზრუნველყოფს რისკების სრულყოფილ ასახვას რისკის შეფასებისა და ანგარიშგების სისტემებში.

### ხაზინა

ბანკის ხაზინა პასუხისმგებელია ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების მართვაზე. ასევე, ხაზინის ძირითად მოვალეობას წარმოადგენს ბანკის დაფინანსებისა და ლიკვიდურობის რისკის მართვა.

### შიდა აუდიტი

ბანკში რისკების მართვის პროცესებს ყოველწლიურად მეთვალყურეობს ბანკის შიდა აუდიტი, რომელიც ამოწმებს პროცედურების ადეკვატურობასა და ბანკის შესაბამისობას პროცედურებთან. შიდა აუდიტი ყველა შეფასების შედეგს განიხილავს ხელმძღვანელობასთან და შედეგებსა და რეკომენდაციებს სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტის მეშვეობით მოახსენებს.

(ათას ლარში)

## 16. რისკის მართვა (გაგრძელება)

### რისკის შეფასებისა და ანგარიშგების სისტემა

ბანკი რისკები ფასდება ისეთი მეთოდით, რომელიც განიხილავს როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში მოსალოდნელ დანაკარგს, ისე გაუთვალისწინებელ დანაკარგს, რომელიც წარმოადგენს სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე პროგნოზირებულ ფაქტობრივ ზარალს. მოდულები იყენებენ ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე ალბათობას, რომელიც კორექტირებულია ეკონომიკური გარემოს გათვალისწინებით. ბანკი განიხილავს ყველაზე პესიმისტური სცენარის შესაძლო შედეგებსაც, რაც შეიძლება განვითარდეს ისეთ უკიდურეს პირობებში, რომელთა დადგომაც ჩვეულებრივ ნაკლებად სავარაუდოა.

სხვადასხვა ბიზნეს განყოფილებიდან მიღებული ინფორმაციის შემოწმება და დამუშავება ხდება იმისათვის, რომ მოხდეს რისკების აღმოჩენა, ანალიზი და კონტროლი ადრეულ სტადიაზე. ეს ინფორმაცია წარედგინება დირექტორატის თითოეული ბიზნეს განყოფილების ხელმძღვანელისთვის. ანგარიში მოიცავს მთლიან საკრედიტო რისკს, საკრედიტო საპროგნოზო მაჩვენებლებს, ლიკვიდობის კოეფიციენტებსა და რისკის სტრუქტურაში ცვლილებებს. ყოველთვიურად მზადდება დეტალური ანგარიში, რომელიც შეიცავს ინფორმაციას დარგის, მომხმარებლის და გეოგრაფიული რისკების შესახებ. რისკების მართვის განყოფილება ყოველთვიურად აფასებს სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვის ადეკვატურობას.

### რისკის მიტიგაცია

რისკების მართვის ფარგლებში, ბანკი იყენებს სხვადასხვა შემამსუბუქებელ ინსტრუმენტს რისკების შესარბილებლად, მათ შორის უზრუნველყოფის საგნის გამოყენების ჩათვლით საკრედიტო რისკების შესამცირებლად (დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ).

### საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ბანკმა შესაძლოა განიცადოს ზარალი, თუ მისმა მომხმარებლებმა ან მონაწილე მხარეებმა ვერ შეძლეს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება. ბანკი საკრედიტო რისკს მართავს და აკონტროლებს რისკის მოცულობაზე მისთვის მისაღები ლიმიტის დაწესებით ცალკეული მონაწილე მხარეებისთვის და რისკების ამ ლიმიტებთან შესაბამისობის მონიტორინგით.

#### *საკრედიტო ხასიათის ვალდებულებების რისკები*

ბანკი თავის მომხმარებლებს სთავაზობს გარანტიებს და აკრედიტივებს, რომელთა მიხედვითაც ბანკს შესაძლოა მოუწიოს მათი სახელით გადახდა. ამ თანხების ამოღება მომხმარებლებისგან ხდება შესაბამისი ხელშეკრულების პირობების მიხედვით. ამ შემთხვევაში, ბანკი დგას სესხის გაცემის ანალოგიური რისკების წინაშე, ამ რისკების შემცირება ხდება სესხებზე გამოყენებული პოლიტიკისა და კონტროლის პროცესების შესაბამისად.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების კომპონენტების, მათ შორის წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების მაქსიმალურ საკრედიტო რისკს ყველაზე უკეთ ასახავს მათი საბალანსო ღირებულება, ურთიერთგაქვითვის და უზრუნველყოფის ხელშეკრულებებით ამ რისკების შემცირების ეფექტამდე.

თუ ფინანსური ინსტრუმენტები აღრიცხულია რეალური ღირებულებით, საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მიმდინარე საკრედიტო რისკის დონეს და არა მაქსიმალურ დონეს, რომელიც მომავალში შეიძლება წარმოიშვას ღირებულების შეცვლის შედეგად.

#### *გაუფასურების შეფასება*

ბანკი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს გამოითვლის ალბათობის რამდენიმე სცენარზე დაყრდნობით იმისათვის, რომ შეაფასოს ფულადი სახსრების მოსალოდნელი დეფიციტი, რომელიც დისკონტირებულია ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან მიახლოებული განაკვეთით. ფულადი სახსრების დეფიციტი არის სხვაობა ხელშეკრულების შესაბამისად საწარმოსთვის გადასახდელ ფულად ნაკადებს და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომელთა მიღებასაც საწარმო მოელის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ და მისი ძირითადი კომპონენტებია:



(ათას ლარში)

## 16. რისკის მართვა (გაგრძელება)

### საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

#### დეფოლტის და გაჯანსაღების განმარტება

ბანკი ფინანსურ ინსტრუმენტს დეფოლტად და, შესაბამისად, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსაანგარიშებლად, მე-3 დონეზე მყოფად (გაუფასურებულად) მიიჩნევს ყველა ისეთ შემთხვევაში, როდესაც მსესხებელი 90 დღით დააგვიანებს ხელშეკრულების თანახმად გადახდას. ამასთან, კორპორაციული მსესხებლებისთვის დეფოლტის შემდეგი ფაქტორები არსებობს: დეფოლტის რესტრუქტურისა, გარიგების ჩამოწერა ან გაყიდვა, კონტრაქტის გაკოტრება ან ლიკვიდაცია, პრობლემური სესხები. ბანკი მოთხოვნებს ბანკების მიმართ მიიჩნევს გადაუხდელოდ და იღებს დაუყოვნებლივ ზომებს მაშინ, როდესაც დღის განმავლობაში მოთხოვნილი გადახდები არ იფარება საქმიანობის დახურვის დროისთვის ცალკეული ხელშეკრულებების შესაბამისად.

კონტრაქტის დეფოლტის ხარისხობრივი შეფასების პროცესის ფარგლებში, ბანკი განიხილავს სხვადასხვა შემთხვევებს, რომლებიც შეიძლება უთითებდეს სასესხო ვალდებულებების ნაკლებად სავარაუდო შესრულებაზე და შეესაბამებოდეს დეფოლტის წარმოქმნის რისკს.

სხვა ფინანსური აქტივები ავტომატურად განეკუთვნება მესამე დონეს, როდესაც მსესხებელი 14 დღით დააგვიანებს გადახდას ხელშეკრულების საფუძველზე. იმის თვისებრივი შეფასებისას, კლიენტს დარღვეული აქვს თუ არა გადახდის პირობა, ბანკი ასევე განიხილავს სხვადასხვა შემთხვევას, რომლებიც შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ გადახდა არ არის მოსალოდნელი, რაც მოიცავს შემდეგს:

- ▶ მსესხებლის გარე რეიტინგი, რომელიც დეფოლტზე მიუთითებს;
- ▶ კონტრაქტის გაკოტრება ან ლიკვიდაცია;
- ▶ მომხმარებლის ლიცენზიის გამოთხოვნა.

როდესაც კრედიტორის სასესხო ვალდებულებების რესტრუქტურისა ხდება თავდაპირველი სესხის (90-ზე მეტ დღიანი ვადაგადაცილება) ახალი სესხით განსხვავებული ეკონომიკური პირობებით (ხშირად სესხის ჩანაცვლებად მოხსენიებული), ბანკის პოლიტიკა განსაზღვრავს, რომ ფინანსური ინსტრუმენტი ჩაითვალოს „გაჯანსაღებულად“, როდესაც ზემოთ ჩამოთვლილი დეფოლტის კრიტერიუმებიდან არცერთს არ ექნება ადგილი სულ მცირე ექვსი თანმიმდევრული თვის განმავლობაში, საანგარიშგებო თარიღამდე. მოცემული პირობის დაკმაყოფილებისას, ახალი სესხი რეკლასიფიცირდება მე-3 დონიდან მე-2-ში. იმ შემთხვევაში, თუ თავდაპირველი რესტრუქტურისებული სესხი 90 დღეზე ნაკლები პერიოდით იქნება ვადაგადაცილებული, ექვსთვიანი გამოსაცემი პერიოდის გასვლის შემდეგ ახალი სესხი მე-2 დონიდან პირველში რეკლასიფიცირდება.

#### შიდა რეიტინგი და დეფოლტის ალბათობის შეფასების პროცესი

ბანკის დამოუკიდებელი საკრედიტო რისკის ერთეული ამუშავებს მის შიდა რეიტინგის მოდელებს. ბანკი მართავს ინდივიდუალურ მოდელებს მისი წამყვანი პორტფელებისთვის, რომელშიც მათ მომხმარებლებს ენიჭებათ რეიტინგი 1-დან 13 -მდე (A1, A2, A3, B1, B2, B3, C1, C2, C3, D1, D2, D3, E (დეფოლტი)). მოდელები მოიცავს როგორც თვისებრივ, ისე - რაოდენობრივ ინფორმაციას და, მსესხებლის დამახასიათებელ ინფორმაციასთან ერთად, იყენებენ დამატებით გარე ინფორმაციას, რომელმაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეს მსესხებლის ქცევაზე. პრაქტიკულიდან გამომდინარე, მოდელები ასევე ეფუძნება ინფორმაციას საერთაშორისო გარე სარეიტინგო სააგენტოების მონაცემებზე. დეფოლტის ალბათობები (PD) მოიცავს საპროგნოზო ინფორმაციას და ფასს (IFRS) 9-ის რისკების კლასიფიკაციის დონეებს. იგივე მეორდება თითოეული ეკონომიკური სცენარისთვის, სიტუაციიდან გამომდინარე.

დეფოლტის ალბათობა სავალო პორტფელისთვის განისაზღვრება შიდა სტატისტიკური მონაცემებით. ერთი წლის დეფოლტის ალბათობა ფასდება სეგმენტების დონეზე. ინსტრუმენტები თითოეულ სეგმენტში ვადაგადაცილებული დღეების ჯგუფებად იყოფა (ჯგუფი 1 - ვადაგადაცილების გარეშე, ჯგუფი 2 - ერთიდან 30 დღემდე ვადაგადაცილება, ჯგუფი 3 - 31-დან 60 დღემდე ვადაგადაცილება, ჯგუფი 4 - 61-დან 90 დღემდე ვადაგადაცილება, ჯგუფი 5 - 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება). ერთწლიანი დეფოლტის ალბათობის დაანგარიშება ისაჭიროებს თავდაპირველი გადასვლის მატრიცის შეფასებას. ამ მიზნით, ანალიზი ტარდება სასესხო პორტფელის თანმიმდევრულ ერთთვიან პერიოდებზე გამოცდილების საფუძველზე (გამოიყენება ყველა ხელმისაწვდომი ერთგვაროვანი სტატისტიკური მონაცემი, 10 წლამდე შეზღუდული დროითი ჰორიზონტით). შედეგად მიღებული მატრიცის ბოლო სვეტი წარმოადგენს საშუალო ერთწლიანი TTC დეფოლტის ალბათობას. საშემოსავლო გადასახადის დეფოლტის ერთწლიანი ალბათობის განსაზღვრისთვის, ამ სეგმენტისთვის მაკროეკონომიკური პროგნოზების გათვალისწინებით, PD TTC ვექტორის თითოეული ელემენტი PD TTC ერგება დაკალიბრების კოეფიციენტს.

(ათას ლარში)

## 16. რისკის მართვა (გაგრძელება)

### საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

*სახაზინო და ბანკთაშორისი ურთიერთობები*

ბანკის სახაზინო და ბანკთაშორისი ურთიერთობები და კონტრაქტები მოიცავს ფინანსური მომსახურების ინსტიტუტებს და ბანკებს. ამ ურთიერთობებისთვის, ბანკის საკრედიტო რისკის ერთეულები ანალიზს უკეთებს საჯაროდ ხელმისაწვდომ ინფორმაციას, როგორც არის ფინანსური ინფორმაცია და სხვა გარე მონაცემები (მაგ. გარე რეიტინგები) და ბანკი შიდა რეიტინგს ანიჭებს ვადაგადაცილებული დღეების საფუძველზე, როგორც ნაჩვენებია ცხრილში ქვემოთ.

*კორპორაციული სესხები და სესხები მცირე ბიზნესისთვის*

კორპორაციული სესხებისთვის, ბანკის სპეციალიზებული საკრედიტო რისკის თანამშრომლები ახდენენ მსესხებლების შეფასებას. საკრედიტო რისკის შეფასება ეფუძნება საკრედიტო რეიტინგის მოდელს, რომელიც სხვადასხვა ისტორიულ, მიმდინარე და საპროგნოზო ინფორმაციას ითვალისწინებს, ბანკის სარეიტინგო მეთოდოლოგიის შესაბამისად.

რეიტინგის განსაზღვრის ტექნიკების კომპლექსურობა და დეტალიზაცია განსხვავდება ბანკის რისკზე დაქვემდებარების და მომხმარებლის კომპლექსურობისა და ზომის გათვალისწინებით. მცირე ბიზნესისთვის რამდენიმე ნაკლებად კომპლექსური სესხის რეიტინგის განსაზღვრა ხდება ბანკის საცალო პროდუქტების მოდელების გამოყენებით.

*სამომხმარებლო სესხები და საცხოვრებელი ბინების იპოთეკები*

სამომხმარებლო სესხი მოიცავს პერსონალურ სესხებს უზრუნველყოფის გარეშე, საკრედიტო ბარათებს და ოვერდრაფტებს. საცხოვრებელი სახლის იპოთეკასთან ერთად, ამ პროდუქტების და ასევე მცირე ბიზნესის სესხების ნაკლებ კომპლექსური რეიტინგები განისაზღვრება მაჩვენებლების ავტომატური სისტემით, რომელიც, უპირატესად, ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობას ეფუძნება.

ბანკის სამომხმარებლო სესხების შიდა საკრედიტო რეიტინგები მოიცავს შემდეგს:

<i>შიდა რეიტინგის ქულა (ციფრებში)</i>	<i>საერთაშორისო გარე სარეიტინგო სააგენტოს (ფიტჩის) რეიტინგი</i>	<i>შიდა რეიტინგის აღწერა</i>	<i>არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი</i>
1-2	„BB“-დან „BBB“-მდე	მაღალი შეფასება	0-2%
3	B+	სტანდარტული შეფასება	2-15%
4	B		
5-6	B-	სტანდარტულზე დაბალი შეფასება	16-100%
7-9	CCC/C		
10-11	CCC/C		
12-13	D	გაუფასურებული	100%

*მოთხოვნები დეფოლტის ქვეშ*

მოთხოვნები დეფოლტის ქვეშ (EAD) წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტების მთლიან საბალანსო ღირებულებას, გაუფასურების დაანგარიშების ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს კლიენტის უნარს გაზარდოს კრედიტის ოდენობა სანამ დეფოლტი გახდება და ასევე პოტენციურად ვადაზე ადრე დაფარვას. დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების დასაანგარიშებლად პირველი დონის სესხისთვის, ბანკი აფასებს დეფოლტის შესაძლო მოვლენებს 12 თვის განმავლობაში, 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დასაანგარიშებლად. მე-2 და მე-3 დონეების და POCI ფინანსური აქტივებისთვის, დეფოლტის შესაძლებლობა გათვალისწინდება მოვლენებზე ინსტრუმენტის არსებობის ვადის განმავლობაში.

ბანკმა განსაზღვრა დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანებები რისკის შესაძლო შედეგების დიაპაზონის მოდელირების გზით, დროის სხვადასხვა მომენტში, რომელიც მრავალჯერად სცენარს შეესაბამება. ფასს (IFRS) 9-ის ფარგლებში დეფოლტის ალბათობები შემდეგ განეკუთვნება თითოეულ ეკონომიკურ სცენარს, ბანკის მოდელის შედეგების საფუძველზე.

*(ათას ლარში)***16. რისკის მართვა (გაგრძელება)****საკრედიტო რისკი (გაგრძელება)***დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში*

საკრედიტო რისკის შეფასება ეფუძნება დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების სტანდარტიზებული შეფასების მიდგომას, რომელიც უკავშირდება დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების (LGD) კონკრეტულ განაკვეთს. დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების ეს განაკვეთები ითვალისწინებს დეფოლტის მომენტისთვის მოსალოდნელ დაუფარავ დავალიანებას იმ თანხასთან შედარებით, რომლის აღდგენაც ან რეალიზაციაც მოსალოდნელია უზრუნველყოფის ნებისმიერი დასაკუთრებული საგნიდან.

ბანკის ახდენს მისი საცალო საკრედიტო პროდუქტების უფრო მცირე ერთგვაროვან პორტფელზე სეგმენტირებას, იმ მნიშვნელოვანი მახასიათებლების საფუძველზე, რომლებიც შეესაბამება მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებას. გამოყენებული მონაცემები ეფუძნება ზარალის შესახებ მიღებულ ისტორიულ მონაცემებს და ისინი მოიცავენ გარიგების მახასიათებლების უფრო ფართო ნაკრებს (მაგ. პროდუქტის ტიპი, უზრუნველყოფის საგნების უფრო ფართო დიაპაზონი), ასევე ნასესხებ მახასიათებლებს.

დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების განაკვეთები ფასდება პირველი, მეორე და მესამე დონეებისათვის და თითოეული აქტივის კლასის შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული სეგმენტისთვის. დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების განაკვეთების ამოსავალი მონაცემები ფასდება და, შესაძლებლობის შემთხვევაში, დაკალიბრდება სესხის დაბრუნების მიმდინარე მაჩვენებლების ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით შეფასების გზით. იგივე მეორდება თითოეული ეკონომიკური სცენარისთვის, სიტუაციიდან გამომდინარე.

*საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა*

ბანკი მუდმივად ახდენს ყველა მისი აქტივის მონიტორინგს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გათვალისწინებით. იმის განსასაზღვრად, ინსტრუმენტი ან ინსტრუმენტთა პორტფელი 12-თვიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ექვემდებარება, თუ აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ბანკი ავასებს ჰქონდა თუ არა ადგილი მნიშვნელოვან ზრდას საკრედიტო რისკში თავდაპირველი აღიარების შემდეგ.

ბანკი მიმართავს შეფასების თვისებრივ მეთოდს აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის გამოსაწვევად, როგორც არის, მაგალითად, მომხმარებლის/ობიექტის შეყვანა საყურადღებო სიაში, ან ანგარიშის რესტრუქტურირება საკრედიტო მოვლენის გამო. კონკრეტულ შემთხვევებში, ბანკმა შესაძლოა ასევე მიიჩნიოს, რომ ზემოთ, თავში „დეფოლტის განმარტება“ განხილული მოვლენები დეფოლტთან მიმართებაში საკრედიტო რისკში მნიშვნელოვან ზრდას წარმოადგენს. საკრედიტო რეიტინგში ცვლილებების მიუხედავად, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდები 30 დღეზე მეტი ხნით არის ვადაგადაცილებული, ითვლება, რომ საკრედიტო რისკი საწყისი აღიარებიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის კოლექტიურ საფუძველზე შეფასებისას მსგავსი აქტივების ჯგუფისთვის, ბანკი იყენებს შეფასების იგივე პრინციპებს იმის განსასაზღვრად, ხომ არ ჰქონია ადგილი მნიშვნელოვან ზრდას საკრედიტო რისკში საწყისი აღიარების შემდეგ.

*ინდივიდუალური და კოლექტიურ საფუძველზე შეფასებული ფინანსური აქტივების დაჯგუფება*

ქვემოთ მოცემული ფაქტორებიდან გამომდინარე, ბანკი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს განსაზღვრავს კოლექტიურ ან ინდივიდუალურ საფუძველზე.

გადაწყვეტილება ინსტრუმენტის ინდივიდუალურ საფუძველზე შეფასების შესახებ მიიღება ექსპერტის განსჯის შესაბამისად, რაც, სხვა მრავალ საკითხთან ერთად ითვალისწინებს შემდეგ ფაქტორებს:

- ▶ მსესხებლის ყველა კრედიტის ოდენობა მინიმუმ აღემატება 200 ათ. ლარს;
- ▶ მე-3 დონის ყველა აქტივი, ფინანსური აქტივის კლასის მიუხედავად;
- ▶ მე-2 და მე-3 დონის კორპორაციული სასესხო პორტფელი;
- ▶ მცირე ბიზნესის სესხების პორტფელის კრედიტის მსხვილი ან უნიკალური ოდენობა;

*(ათას ლარში)***16. რისკის მართვა (გაგრძელება)****საკრედიტო რისკი (გაგრძელება)**

- ▶ სახაზინო და ბანკთაშორისი ურთიერთობები (როგორც არის, მოთხოვნები ბანკების მიმართ, ფულადი სახსრების ეკვივალენტები და სავალო საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები ამორტიზებული ღირებულებით/სხვა სრულ შემოსავალში რეალური ღირებულებით აღრიცხული);
- ▶ კრედიტის ოდენობა, რომელიც შესაძლოა კლასიფიცირებულ იქნას შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებულად, როდესაც თავდაპირველი სესხის აღიარება წყდება და ახალი სესხი აღიარდება სესხის რესტრუქტურის შედეგად.

აქტივების კლასები ბანკის მიერ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშებისას კოლექტიურ საფუძველზე მოიცავს შემდეგს:

- ▶ მცირე ბიზნესისთვის საბანკო სესხების უფრო მცირე და გრანულარული ნაშთები;
- ▶ 1-ლი და მე-2 დონის საცალო იპოთეკური და სამომხმარებლო სესხები და 1-ლი დონის კორპორაციული სესხის პორტფელი;
- ▶ შექმნილი შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული კრედიტის ოდენობა (POCI), რომელიც იმართება კოლექტიურ საფუძველზე.

ბანკი ამ კრედიტებს უფრო მცირე ერთგვაროვან პორტფელზედ აჯგუფებს, სესხების შიდა და გარე მახასიათებლების კომბინაციის საფუძველზე, როგორც არის, მაგალითად შიდა შეფასება, ვადაგადაცილების კალათა, პროდუქტის ტიპი, სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტი ან მსესხებლის ინდუსტრია.

*საპროგნოზო ინფორმაცია და მრავალჯერადი ეკონომიკური სცენარები*

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება მოიცავს საპროგნოზო წლების ეკონომიკური პირობების პროგნოზირებას. ამგვარი პროგნოზები ხელმძღვანელობის განსჯის საგანია და ეს განსჯა შესაძლოა იყოს შეფასებასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობების წყარო, რომლებიც დგანან მომავალ პერიოდებში საბაზისო ღირებულების არსებითი კორექტირების მნიშვნელოვანი რისკის წინაშე. საპროგნოზო ელემენტების გამოყენება ასახავს ბანკის ხელმძღვანელობის ზედა რგოლის მოლოდინებს და მოიცავს სცენარების (საბაზისო, ოპტიმისტური და პესიმიტური) შექმნას, მათ შორის თითოეული სცენარის ალბათობის შეფასების ჩათვლით. მრავალი სცენარის მიზანია დაშვებების არა წრფივი გავლენის მოდელის შექმნა მაკროეკონომიკური ფაქტორების შესახებ, მოსალოდნელ საკრედიტო ზარალთან დაკავშირებით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას საპროგნოზო ინფორმაციის გათვალისწინების მიზნით, განისაზღვრება დეფოლტის ალბათობაზე მოქმედი მაკროეკონომიკური ფაქტორები საქართველოს საბანკო სექტორის მთლიან სასესხო პორტფელში ვადაგადაცილებული სესხების აგრეგირებული წილის დონეზე (სებ-ის მონაცემების შესაბამისად).

საპროგნოზო ინფორმაციის გათვალისწინებისას დგინდება ფუნქციონალური ურთიერთობა საკრედიტო რისკსა და მაკროეკონომიკურ ფაქტორებს შორის. ცვლადი მონაცემები მოიცავს საქართველოს საბანკო სექტორის მთლიანი სასესხო პორტფელში (სებ-ის მონაცემების შესაბამისად) ვადაგადაცილებული სესხების ცენტრალიზებულ და ნორმალიზებულ წილებს (ან მათ შესაძლო ტრანსფორმაციას, მათ შორის აბსოლუტურ ცვლილებებს და დაკავშირებულ შემოსულობებს). ახსნა-განმარტებითი ცვლადი მონაცემები მოიცავს მაკროეკონომიკური ფაქტორების ცენტრალიზებულ და ნორმალიზებულ მაჩვენებლებს: მშპ-ს ზრდის განაკვეთის ლოგარითმებს და ექსპორტის ზრდაში აბსოლუტური ცვლილების t-2 ჩამორჩენას (განსახილველი პერიოდის განმავლობაში) და ასევე დეფოლტის ალბათობების ეფექტს.

თავისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის გამოყენებისას ბანკი ამოსავალ ეკონომიკურ მონაცემებად იყენებს ისეთ ფართო სპექტრის საპროგნოზო ინფორმაციას, როგორც არის:

- ▶ მშპ-ის ზრდის განაკვეთი;
- ▶ უმუშევრობის დონე.

*საკრედიტო ხარისხი ფინანსური აქტივების კლასების მიხედვით*

(ათას ლარში)

**16. რისკის მართვა (გაგრძელება)**

**საკრედიტო რისკი (გაგრძელება)**

ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხი ბანკის შიდა საკრედიტო რეიტინგებით იმართება, რომლებიც ზემოთ არის აღწერილი. ქვემოთ მოცემული ცხრილი უჩვენებს კრედიტის ხარისხს აქტივის კლასის მიხედვით, სასესხო ხაზებისთვის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ბანკის საკრედიტო რეიტინგის სისტემის საფუძველზე 2025 წლის და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

	შენიშვნები	დონეები	მალალი	სტანდარ-	სტანდარ-	გაუფასურე	სულ
			შეფასება	ტული შეფასება	ტულზე დაბალი შეფასება	ბული	2025
			2025	2025	2025	2025	2025
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, გარდა ნაღდი ფულის ნაშთისა სალაროში	5	დონე1	6,979	-	-	-	6,979
მოთხოვნები ბანკების და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების მიმართ		დონე1	115	-	-	-	115
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები	6	დონე1	41,855	-	-	-	41,855
		დონე2	-	20,754	-	-	20,754
- კორპორაციული სესხები		დონე3	-	-	-	88,073	88,073
		დონე1	-	-	-	-	-
		დონე2	-	-	-	2,700	2,700
- სესხი მცირე ბიზნესისთვის		დონე3	-	-	-	-	-
		დონე1	116	-	-	-	116
		დონე2	-	-	-	-	-
- სამომხმარებლო სესხები		დონე3	-	-	-	254	254
		დონე1	6,045	-	-	-	6,045
- ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური გარანტიები	15	დონე	54	-	-	-	54
		დონე	200	-	-	-	200
სხვა აქტივები		დონე1	11,585	-	-	-	11,585
		დონე2	-	-	-	-	-
		დონე3	-	-	-	2,676	2,676
<b>სულ</b>			<b>66,949</b>	<b>20,754</b>	<b>-</b>	<b>93,703</b>	<b>181,406</b>

(ათას ლარში)

**16. რისკის მართვა (გაგრძელება)**

**საკრედიტო რისკი (გაგრძელება)**

	შენიშვნები	დონეები	მაღალი შეფასება 2024	სტანდარტული შეფასება 2024	სტანდარტულზე დაბალი შეფასება 2024	გაუფასურებული 2024	სულ 2024
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, გარდა ნაღდი ფულის ნაშთისა სალაროში	5	დონე 1	6,709	-	-	-	6,709
მოთხოვნები ბანკების და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების მიმართ		დონე 1	119	-	-	-	119
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები	6	დონე 1	51,667	-	-	-	51,667
		დონე 2	-	21,972	-	-	21,972
- კორპორაციული სესხები		დონე 3	-	-	-	109,452	109,452
		დონე 3	-	-	-	4,291	4,291
		დონე 1	216	-	-	-	216
		დონე 2	-	-	-	-	-
- სამომხმარებლო სესხები		დონე 3	-	-	-	273	273
- იპოთეკური სესხები		დონე 1	6,972	-	-	-	6,972
		დონე 3	-	-	-	139	139
სავალო საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები							
- ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული		დონე 1	54	-	-	-	54
ფინანსური გარანტიები	15	დონე 1	216	-	-	-	216
		დონე 1	14,343	-	-	-	14,343
სხვა აქტივები		დონე 3	-	-	-	2,787	2,787
<b>სულ</b>			<b>80,528</b>	<b>21,972</b>	-	<b>116,942</b>	<b>219,442</b>

ბანკის პოლიტიკა ითვალისწინებს საკრედიტო პორტფელის რისკების ზუსტ და სისტემატურ შეფასებას. ეს ამარტივებს არსებული რისკების ეფექტურ მართვასა და საკრედიტო რისკის გავლენის შედარებას საქმიანობის ყველა სფეროს, გეოგრაფიული არეალისა და პროდუქტის მიხედვით. რეიტინგის სისტემა დამყარებულია სხვადასხვა ფინანსურ ანალიზზე, აგრეთვე დამუშავებულ საბაზრო მონაცემებზე, რაც წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს აუცილებელ კომპონენტს კონტრაქტის რისკის შეფასებისთვის. რისკის ყველა შიდა რეიტინგი მორგებულია სხვადასხვა კატეგორიებზე და მიიღება ბანკის სარეიტინგო პოლიტიკაზე დაყრდნობით. რისკის რეიტინგები მუდმივ შეფასებას და განახლებას ექვემდებარება.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის სესხი მიიჩნევა ვადაგადაცილებულად, თუ საანგარიშგებო თარიღისთვის მსესხებელს არ ექნება განხორციელებული საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული არცერთი გადახდა. ასეთ შემთხვევაში შესაბამისი საკრედიტო ხელშეკრულების თანახმად მსესხებლისგან მისაღები მთლიანი თანხა, დარიცხული პროცენტისა და საკომისიოს ჩათვლით, ვადაგადაცილებულად უნდა აღიარდეს.

მომხმარებლებზე გაცემული სესხებისა და ავანსების გაუფასურება კოლექტიურად შეფასდა. საკრედიტო პორტფელის სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია მე-6 შენიშვნაში.

(ათას ლარში)

## 16. რისკის მართვა (გაგრძელება)

### საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

საბალანსო ღირებულება ფინანსური აქტივების კლასის მიხედვით, რომელთა პირობები ხელახლა შეთანხმდა

ქვემოთ ცხრილში ასახულია ისეთი (რესტრუქტურირებული და რეფინანსირებული) ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება კლასების მიხედვით, რომელთა პირობებიც გადაისინჯა:

	2025	2024
<b>მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები</b>		
სამომხმარებლო სესხები	439	493
სესხი მცირე ბიზნესისთვის	1,490	
კორპორაციული სესხები	47,599	55,808
<b>სულ</b>	<b>49,528</b>	<b>56,301</b>

#### ინდივიდუალურად შეფასებული რეზერვები

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება ინდივიდუალურ საფუძველზე ხორციელდება ფულის დროითი ღირებულების, ასევე განვლილი მიმდინარე და საპროგნოზო ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით, რომლებიც გონივრულ ფარგლებშია ხელმისაწვდომი. თითოეული ფინანსური ინსტრუმენტის ანარიცხის ინდივიდუალურ საფუძველზე შეფასებისას, განისაზღვრება სესხის დასაფარად საჭირო ფულადი ნაკადების შემოდინებების შესაძლო სცენარები. ინდივიდუალურ საფუძველზე შეფასებული თითოეული ფინანსური ინსტრუმენტისთვის ანარიცხები დაანგარიშდება მიმდინარე მთლიან საბალანსო ღირებულებასა და შესაბამისი სცენარის ალბათობით შეწონილ დღევანდელ ღირებულებას შორის სხვაობის სახით. ფულადი ნაკადების სცენარები ეფუძნება სესხის დაფარვის სტრატეგიების საფუძველზე, რომლებიც გამოიყენება/რომელთა გამოყენებაც იგეგმება/რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნას მსესხებელთან მიმართებაში. სცენარების ალბათობები, ფულადი სახსრების შემოდინების თანხები და ვადები განისაზღვრება ექსპერტთა განსჯით.

#### კოლექტიურად შეფასებული რეზერვები

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში მნიშვნელოვანი ამოსავალი მონაცემები მოიცავს შემდეგი ცვლადი მონაცემების ვადების სტრუქტურას:

- ▶ დეფოლტის ალბათობა (PD);
- ▶ დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში (LGD); და
- ▶ დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება (EAD).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი პირველ დონეზე არსებული კრედიტის ოდენობებისთვის დაანგარიშდება 12-თვიანი დეფოლტის ალბათობის გამრავლებით დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგებზე და დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავ დავალიანებაზე. მე-2 და მე-3 დონეებისათვის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დაანგარიშდება არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობის გამრავლებით დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგებზე და დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავ დავალიანებაზე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დაანგარიშდება შემდეგი აქტივებისთვის:

- ▶ კორპორაციული მომხმარებლები;
- ▶ მცირე და საშუალო საწარმოები;
- ▶ მოთხოვნები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების მიმართ;
- ▶ გარანტიების და აკრედიტივები;
- ▶ ფასიანი ქაღალდების პორტფელი;
- ▶ ფიზიკური პირები (პროდუქტების მიხედვით).

(ათას ლარში)

**16. რისკის მართვა (გაგრძელება)****საკრედიტო რისკი (გაგრძელება)**

ბანკის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია მოცემულია ქვემოთ:

	2025				2024			
	საქართველო	OECD	დსთ და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნები	სულ	საქართველო	OECD	დსთ და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნები	სულ
<b>აქტივები</b>								
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	198,060	6,976	3	205,039	170,288	6,705	3	176,996
მოთხოვნები ბანკების და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების მიმართ	–	115	–	115	–	119	–	119
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები	127,913	–	3,000	130,913	166,016	–	5,694	171,710
<b>საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები</b>	54	–	–	54	54	–	–	54
წილობრივი ფასიანი ქაღალდები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	54	–	–	54	54	–	–	54
სხვა ფინანსური აქტივები	11,266	2,905	90	14,261	7,774	183	6,107	14,064
	<b>337,293</b>	<b>9,996</b>	<b>3,093</b>	<b>350,382</b>	<b>344,132</b>	<b>7,007</b>	<b>11,804</b>	<b>362,943</b>
<b>ვალდებულებები</b>								
ვალდებულებები ბანკების და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების წინაშე	–	–	291	291	–	–	294	294
ვალდებულება მომხმარებლების წინაშე	12,812	–	–	12,812	12,962	–	–	12,962
სუბორდინირებული სესხი	–	–	130,620	130,620	–	–	89,812	89,812
სხვა ფინანსური ვალდებულებები	1,560	814	15,634	18,008	–	–	15,582	15,582
	<b>14,372</b>	<b>814</b>	<b>146,545</b>	<b>161,731</b>	<b>12,962</b>	<b>–</b>	<b>105,688</b>	<b>118,650</b>
<b>წმინდა აქტივები/(ვალდებულებები)</b>	<b>322,921</b>	<b>9,182</b>	<b>(143,452)</b>	<b>188,651</b>	<b>331,170</b>	<b>7,007</b>	<b>(93,884)</b>	<b>244,293</b>

*(ათას ლარში)***16. რისკის მართვა (გაგრძელება)****საკრედიტო რისკი (გაგრძელება)***უზრუნველყოფის საგანი და საკრედიტო რისკის შემცირება*

უზრუნველყოფის საგნის საჭირო მოცულობა და ტიპი დამოკიდებულია კონტრაქტის საკრედიტო რისკის შეფასებაზე. შემუშავებულია თითოეული ტიპის უზრუნველყოფის საგნის მიღებისა და შეფასების სახელმძღვანელო პრინციპები. ხელმძღვანელობა ამოწმებს უზრუნველყოფის საგნის საბაზრო ღირებულებას და შეუძლია მოითხოვოს დამატებითი უზრუნველყოფა საბაზისო ხელშეკრულების მიხედვით. ბანკის პოლიტიკით, დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნების გაყიდვა რეგულირდება შესაბამისი პროცედურებით. შემოსულობა გამოიყენება აუნაზღაურებელი მოთხოვნების შესამცირებლად ან დასაფარად.

კრედიტის უზრუნველყოფის მისაღები ფორმების სია პერიოდულად გადაისინჯება. ბანკს კრედიტის უზრუნველყოფის თითოეული ფორმისთვის ჩამოყალიბებული აქვს მოთხოვნები. დაგირავებული ქონების ღირებულება განისაზღვრება საბაზრო ფასის საფუძველზე, ლიკვიდობის მარჯის გათვალისწინებით.

უზრუნველყოფა გამოიყენება შეთავაზებული კრედიტის თანხის გასაზრდელად და არა კრედიტის დამტკიცების ერთადერთ მიზეზად. როდესაც ხდება უზრუნველყოფის საგნის მიღება, საჭიროა საკრედიტო განაცხადის ფორმაში ყველა დეტალის, მათ შორის უზრუნველყოფის ტიპის, ღირებულების და მისი გადამოწმების სიხშირის ასახვა. თუ შესაძლებელია, ბანკის წარმომადგენელმა უნდა განახორციელოს უზრუნველყოფის საგნის ფიზიკური არსებობის ინსპექტირება.

ბანკი დაგირავებული ქონების რეალურ ღირებულებას ხელახლა აფასებს უზრუნველყოფის თითოეული ფორმისთვის დადგენილი სიხშირით და საჭიროების შემთხვევაში მოითხოვს დამატებით გირაოს ან კრედიტის უზრუნველყოფის სხვა მისაღებ ფორმებს.

**ლიკვიდობის რისკი და დაფინანსების მართვა**

ლიკვიდობის რისკი ნიშნავს იმას, რომ ბანკმა შეიძლება ვერ შეძლოს ნორმალურ და სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების დროულად დაფარვა. ამ რისკის შეზღუდვის მიზნით, ბანკის ხელმძღვანელობა ძირითადი სადეპოზიტო ბაზის გარდა იყენებს დაფინანსების დივერსიფიცირებულ წყაროებს, მართავს აქტივებს ლიკვიდობის მიხედვით და ყოველდღიურ ზედამხედველობას უწევს მომავალ ფულად ნაკადებს და ლიკვიდობას. აღნიშნულ პროცედურებთან ერთად, ფასდება მოსალოდნელი ფულადი ნაკადები და მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, რომელიც შესაძლებელია საჭიროებისამებრ გამოყენებულ იქნას დამატებითი დაფინანსების უზრუნველყოფისთვის.

ლიკვიდობის პოზიციას ბანკი ინდივიდუალურად აფასებს და მართავს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული ლიკვიდობის კოეფიციენტების მიხედვით.

ამ მოთხოვნის თანახმად, ბანკებმა უნდა იქონიონ ლიკვიდური აქტივები, რომელთა გამოყენებასაც შეძლებენ თავიანთი ლიკვიდობის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად მომდევნო 30 კალენდარული დღის განმავლობაში. 2025 წლის და 2024 წლის 31 დეკემბრისათვის კოეფიციენტები შემდეგი მნიშვნელობებით აღირიცხებოდა:

ბანკები ვალდებული არიან, რომ ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი შეინარჩუნონ მინიმუმ 100%-ის, 75%-ისა და 100%-ის დონეზე უცხოურ ვალუტაში, ეროვნულ ვალუტაში, და ჯამში, შესაბამისად.

(ათას ლარში)

**16. რისკის მართვა (გაგრძელება)**

**ლიკვიდობის რისკი და დაფინანსების მართვა (გაგრძელება)**

	2025	2024
ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი უცხოურ ვალუტაში (მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივების ფლობა / სულ წმინდა ფულადი სახსრების გადინება)	547%	603%
ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი ეროვნულ ვალუტაში (მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივების ფლობა / სულ წმინდა ფულადი სახსრების გადინება)	1358%	1306%
სულ ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი (მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივების ფლობა / სულ წმინდა ფულადი სახსრების გადინება)	800%	849%

2019 წლის 1 სექტემბრიდან სებ-მა დამატებით შემოიღო წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტის (წსდკ) მინიმალური მოთხოვნა საქართველოს კომერციული ბანკებისთვის, რომელიც სულ მცირე 100% უნდა იყოს. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტის ფაქტობრივი მაჩვენებელი ბანკისთვის 181%-ს (2024 წ.: 162% შეადგენდა).

*ფინანსური ვალდებულებების ანალიზი დარჩენილი სახელშეკრულებო ვადების მიხედვით*

ცხრილში ქვემოთ მოცემულია ბანკის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სახელშეკრულებო არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებებზე დაყრდნობით. გადახდები, რომლებზეც შეტყობინების ვალდებულება ვრცელდება, დამუშავდება ისე, თითქოს მათზე შეტყობინება სასწრაფო წესით გაიცა. თუმცა, ბანკი მოელოს, რომ შენაბრეთა უმრავლესობა დაფარვას იმაზე ადრე არ მოითხოვს, ვიდრე ეს ბანკს მოეთხოვება. ცხრილი არ ასახავს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, რომლებიც გაწერილია ბანკის ანაბრების ფლობის ისტორიამ.

**არაწარმოებული**

<i>ვალდებულებები 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</i>	<i>მოთხოვნამდე ან 1 თვემდე</i>	<i>1-3 თვე</i>	<i>3-6 თვე</i>	<i>6 თვიდან 1 წლამდე</i>	<i>1 წელზე მეტი</i>	<i>სულ</i>
ვალდებულებები ბანკების და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების წინაშე	291	-	-	-	-	291
ვალდებულება მომხმარებლების წინაშე	12,741	5	10	46	10	12,812
სუბორდინირებული სესხი სხვა ფინანსური ვალდებულებები, საიჯარო ვალდებულებების გარდა	18,008	-	-	158,779	86,466	245,245
<b>არაწარმოებული ვალდებულებების სახით გადასახდელი მთლიანი თანხა</b>	<b>31,040</b>	<b>5</b>	<b>10</b>	<b>158,825</b>	<b>86,476</b>	<b>276,356</b>

**არაწარმოებული**

<i>ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</i>	<i>მოთხოვნამდე ან 1 თვემდე</i>	<i>1-3 თვე</i>	<i>3-6 თვე</i>	<i>6 თვიდან 1 წლამდე</i>	<i>1 წელზე მეტი</i>	<i>სულ</i>
ვალდებულებები ბანკების და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების წინაშე	294	-	-	-	-	294
ვალდებულება მომხმარებლების წინაშე	11,967	286	359	9	356	12,977
სუბორდინირებული სესხი სხვა ფინანსური ვალდებულებები, საიჯარო ვალდებულებების გარდა	-	-	-	-	92,008	92,008
<b>არაწარმოებული ვალდებულებების სახით გადასახდელი მთლიანი თანხა</b>	<b>12,261</b>	<b>286</b>	<b>359</b>	<b>9</b>	<b>107,947</b>	<b>120,862</b>

(ათას ლარში)

**16. რისკის მართვა (გაგრძელება)**

**ლიკვიდობის რისკი და დაფინანსების მართვა (გაგრძელება)**

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს სახელშეკრულებო ვადის ამოწურვას ბანკის პირობითი ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის მიხედვით.

	<i>მოთხოვნამდე ან მაქსიმუმ</i>			<i>6 თვიდან</i>	<i>1 წელზე მეტი</i>	<i>სულ</i>
	<i>1 თვე</i>	<i>1-3 თვე</i>	<i>3-6 თვე</i>	<i>1 წლამდე</i>		
2025	-	-	30	170	-	<b>200</b>
2024	-	-	16	-	200	<b>216</b>

ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები შესაძლოა მოთხოვნით დაკმაყოფილდეს, თუმცა ლიკვიდობა წარსულში უფრო ხანგრძლივ პერიოდში ხდება.

ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ დაფინანსების ასეთ დონეს ბანკი შეინარჩუნებს განჭვრეტად მომავალში, ხოლო თანხების განაღდების შემთხვევაში კი ბანკი მიიღებს წინასწარ შეტყობინებას ისე, რომ მოახერხოს ლიკვიდური აქტივების რეალიზაცია და უზრუნველყოს გადახდა.

ვადიანობის ანალიზი არ ასახავს მიმდინარე ანგარიშების განვილილ სტაბილურობას. მათი ლიკვიდობა განვილილ პერიოდში უფრო ხანგრძლივი პერიოდი მიმდინარეობდა, ვიდრე ზემოთ მოცემულ ცხრილებშია მითითებული.

**საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების მომავალი ფულადი ნაკადები ან რეალური ღირებულება შეიცვლება ისეთი საბაზრო ცვლილებების შედეგად, როგორც არის საპროცენტო განაკვეთები, უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსი და კაპიტალის ფასები. უცხოურ ვალუტაში კონცენტრაციის და საპროცენტო განაკვეთის რისკების გარდა, ბანკის წინაშე არ არსებობს რაიმე სახის მნიშვნელოვანი საბაზრო რისკის კონცენტრაცია.

**საბაზრო რისკი – სავაჭრო**

ბანკი არ ვაჭრობს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებით და სხვა ფასიანი ქაღალდებით.

**საბაზრო რისკი – არა სავაჭრო**

*საპროცენტო განაკვეთის რისკი*

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება შესაძლებლობიდან, რომ საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები გავლენას იქონიებს ფინანსური ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების ან ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების მომავალ დინამიკაზე. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია ბანკის მოგება-ზარალის ანგარიშგების მგრძობელობა საპროცენტო განაკვეთის შესაძლო ცვლილების მიმართ, როდესაც ყველა დანარჩენი ცვლადი მუდმივია.

მოგება-ზარალის ანგარიშგების მგრძობელობა მიუთითებს იმაზე, თუ რა ზეგავლენას ახდენს საპროცენტო განაკვეთების ცვლილება ერთი წლის წმინდა საპროცენტო შემოსავალზე, იმ დაშვებაზე დაყრდნობით, რომ შემოსავლის მრუდი პარალელურად გადაადგილდება.

(ათას ლარში)

## 16. რისკის მართვა (გაგრძელება)

### საბაზრო რისკი (გაგრძელება)

#### სავალუტო რისკი

ბანკის საქმიანობისთვის დამახასიათებელია სავალუტო რისკი. სავალუტო რისკს განაპირობებს ღია პოზიცია უცხოურ ვალუტებში და ბაზარზე სავალუტო განაკვეთების უარყოფითი მოძრაობა, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს ბანკის ფინანსურ შედეგებზე. დირექტორატს სებ-ის დირექტივების მიხედვით აქვს დაწესებული ლიმიტები სავალუტო პოზიციებზე. პოზიციების კონტროლი წარმოებს ყოველდღიურად.

#### წინასწარ გადახდის რისკი

წინასწარი გადახდის რისკი წარმოადგენს ბანკის ფინანსური ზარალის რისკს, როდესაც ბანკის მომხმარებლები ან კონტრაქტები იხდიან, ან გადახდას მოითხოვენ მოსალოდნელ პერიოდზე ადრე, ან გვიან. მაგალითად, ფიქსირებული განაკვეთის იპოთეკა საპროცენტო განაკვეთების შემცირების შემთხვევაში.

ეფექტი ერთი წლის დაბეგვრამდე მოგებასა და საკუთარ კაპიტალზე იმ შემთხვევაში, თუ წლის დასაწყისში წინასწარ უნდა იქნეს გადახდილი გადასახდელი ფინანსური ინსტრუმენტების 10%, ხოლო ყველა სხვა ცვლადი უცვლელია, შემდეგნაირად ჩამოყალიბდება:

	<i>ეფექტი წმინდა საპროცენტო შემოსავალზე</i>
2025	1,456
2024	1,818

#### საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს დანაკარგის რისკს, რომელიც წარმოიქმნება სისტემების მწყობრიდან გამოსვლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობის ან გარე მიზეზების გამო. როდესაც არ ხორციელდება კონტროლი, საოპერაციო რისკებმა შესაძლოა გამოიწვიოს რეპუტაციის შელახვა, სამართლებრივი ან მარეგულირებელი ზომები ან ფინანსური ზარალი. ბანკი ვერ ახდენს ყველა საოპერაციო რისკის ელიმინირებას, თუმცა შიდა კონტროლის მოდელის მეშვეობით და პოტენციური რისკების მონიტორინგით და მათზე რეაგირებით, ბანკი ახერხებს რისკების ეფექტურ მართვას. კონტროლი გულისხმობს მოვალეობების ეფექტურ გადანაწილებას, შეღწევადობის, ავტორიზაციისა და გადასინჯვის პროცედურებს, თანამშრომლების სპეციალიზებასა და შიდა აუდიტს.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის საოპერაციო დანაკარგებს ადგილი არ ჰქონია (2024: 0 ლარი).

## 17. რეალური ღირებულების შეფასება

ბანკის დირექტორატმა განსაზღვრა პოლიტიკები და პროცედურები რეალური ღირებულების განმეორებით შეფასებისთვის, საინვესტიციო ძირითადი საშუალებებისთვის.

ისეთი მნიშვნელოვანი აქტივების შეფასებაში, როგორც არის საინვესტიციო ძირითადი საშუალებები, გარე შემფასებლები არიან ჩართული. გარე შემფასებლების ჩართულობის შესახებ გადაწყვეტილებას ყოველწლიურად იღებს დირექტორატი. შერჩევის კრიტერიუმები მოიცავს ბაზრის ცოდნას, რეპუტაციას, დამოუკიდებლობას და იმ ფაქტს, დაეცულია თუ არა პროფესიული სტანდარტები. დირექტორატი გარე შემფასებლებთან განხილვების შემდეგ, ბანკმა განსაზღვრა რომელი შემფასების მეთოდი და ამოსავალი მონაცემები გამოიყენონ ყოველ შემთხვევაში.

ყოველ საანგარიშგებო თარიღში, დირექტორატი აფასებს აქტივების და ვალდებულებების ფასის ცვლილებას, რომლებიც ხელახალ შეფასებას საჭიროებს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად. ამ ანალიზის მიზნებისთვის, ხელმძღვანელობა ბანკის გარე შემფასებელთან ერთად ამოწმებს ბოლო შეფასებაში გამოყენებულ მნიშვნელოვან ამოსავალ მონაცემებს, დაანგარიშებებში მოცემული ინფორმაციის ხელშეკრულებებსა და სხვა შესაბამის დოკუმენტებთან შეთანხმების გზით.

(ათას ლარში)

**17. რეალური ღირებულების შეფასება (გაგრძელება)****რეალური ღირებულების იერარქია**

რეალური ღირებულების შესახებ განმარტებითი შენიშვნის მიზნებისთვის, ბანკმა აქტივების და ვალდებულებების კლასი განსაზღვრა აქტივის ან ვალდებულების ხასიათის მიხედვით. ქვემოთ მოცემულ ცხრილებში შეჯამებულია რეალური ღირებულებით შეფასებული აქტივების და ვალდებულებების ან ისეთი აქტივების და ვალდებულებების ანალიზი, რომელთა რეალური ღირებულება განისაზღვრება რეალური ღირებულების იერარქიის მიხედვით.

<i>2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</i>	<i>1-ლი დონე</i>	<i>მე-2 დონე</i>	<i>მე-3 დონე</i>	<i>სულ</i>
<b>რეალური ღირებულებით შეფასებული აქტივები</b>				
წილობრივი ფასიანი ქაღალდები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	-	-	54	54
<b>მთლიანი საინვესტიციო ქონება</b>	-	-	29,666	29,666
მიწა	-	-	2,013	2,013
საცხოვრებელი შენობები	-	-	15,556	15,556
არასაცხოვრებელი ქონება	-	-	12,097	12,097
<b>სულ მიწა და შენობა-ნაგებობები</b>	-	-	29,822	29,822
მიწა	-	-	8,300	8,300
საოფისე შენობები	-	-	21,522	21,522
<b>აქტივები, რომლისთვისაც რეალური ღირებულება განსაზღვრული არ არის</b>				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	198,060	6,979	-	205,039
მოთხოვნები ბანკების და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების მიმართ	-	115	-	115
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები	-	-	130,913	130,913
<b>ვალდებულებები, რომლისთვისაც რეალური ღირებულება განსაზღვრული არ არის</b>				
ვალდებულებები ბანკების და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების წინაშე	-	291	-	291
ვალდებულება მომხმარებლების წინაშე	-	-	12,812	12,812
სუბორდინირებული სესხი	-	130,620	-	130,620

(ათას ლარში)

**17. რეალური ღირებულების შეფასება (გაგრძელება)****რეალური ღირებულების იერარქია (გაგრძელება)**

<b>2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>1-ლი დონე</b>	<b>მე-2 დონე</b>	<b>მე-3 დონე</b>	<b>სულ</b>
რეალური ღირებულებით შეფასებული აქტივები				
წილობრივი ფასიანი ქაღალდები რეალური ღირებულებით				
სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	–	–	54	<b>54</b>
მთლიანი საინვესტიციო ქონება	–	–	<b>28,072</b>	<b>28,072</b>
მიწა	–	–	1,459	<b>1,459</b>
საცხოვრებელი შენობები	–	–	14,667	<b>14,667</b>
არასაცხოვრებელი ქონება	–	–	11,946	<b>11,946</b>
სულ მიწა და შენობა-ნაგებობები	–	–	<b>30,921</b>	<b>30,921</b>
მიწა	–	–	8,300	<b>8,300</b>
საოფისე შენობები	–	–	22,621	<b>22,621</b>
აქტივები, რომლისთვისაც რეალური ღირებულება განსაზღვრული არ არის				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	170,288	6,709	–	<b>176,997</b>
მოთხოვნები ბანკების და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების მიმართ	–	119	–	<b>119</b>
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები	–	–	171,710	<b>171,710</b>
ვალდებულებები, რომლისთვისაც რეალური ღირებულება განსაზღვრული არ არის				
ვალდებულებები ბანკების და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების წინაშე	–	294	–	<b>294</b>
ვალდებულება მომხმარებლების წინაშე	–	–	12,962	<b>12,962</b>
სუბორდინირებული სესხი	–	89,812	–	<b>89,812</b>

2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში, რეალური ღირებულების იერარქიის დონეებს შორის გადატანებს ადგილი არ ჰქონია.

*ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომლებიც რეალური ღირებულებით არ აღირიცხება*

წინამდებარე ცხრილში მოცემულია ბანკის ისეთი ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო და რეალური ღირებულებების შედარება, რომლებიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ არის ასახული რეალური ღირებულებით. ცხრილი არ მოიცავს ისეთ მუხლებს, რომელთა რეალური ღირებულება მიახლოებულია მის საბალანსო ღირებულებასთან, როგორც არის ლიკვიდური ან მოკლევადიანი (3 თვემდე ვადის ან მცურავი საპროცენტო განაკვეთის მქონე) ინსტრუმენტები.

(ათას ლარში)

**17. რეალური ღირებულების შეფასება (გაგრძელება)**

**რეალური ღირებულების იერარქია (გაგრძელება)**

	სამარ- თლიანი საბალანსო ღირებულება 2025	სამარ- თლიანი ღირებუ- ლება 2025	არაღიარე- ბული შემოსულობა/ (ზარალი) 2025	საბალანსო ღირებუ- ლება 2024	სამარ- თლიანი ღირებუ- ლება 2024	არაღიარე- ბული შემოსულობა/ (ზარალი) 2024
<b>ფინანსური აქტივები</b>						
ამორტიზებული ღირებულებით						
შეფასებული სავალო ფასიანი ქაღალდები	205,039	205,039	-	176,997	176,997	-
მოთხოვნები ბანკების და საერთაშორისო						
ფინანსური დაწესებულებების მიმართ	115	115	-	119	119	-
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და						
ავანსები	130,913	127,549	(3,364)	171,710	167,357	(4,353)
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>						
ვალდებულებები ბანკების და						
საერთაშორისო ფინანსური						
დაწესებულებების წინაშე	291	291	-	294	294	-
ვალდებულება მომხმარებლების წინაშე	12,812	12,811	1	12,962	12,962	-
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	-	-	-	-	-
სხვა ნასესხები სახსრები	-	-	-	-	-	-
სუბორდინირებული სესხი	130,620	130,620	-	89,812	75,784	14,028
<b>მთლიანი, არ აღიარებული ცვლილება</b>						
<b>არარეალიზებული რეალური</b>						
<b>ღირებულებით</b>			<b>(3,363)</b>			<b>9,675</b>

ქვემოთ მოცემულია მეთოდოლოგია და დაშვებები ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების დასადგენად.

*აქტივები, რომელთა რეალური ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას*

როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური ან ხასიათდება მოკლევადიანობით ან აქვს მცოცავი საპროცენტო განაკვეთი (სამ თვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

*ფიქსირებულგანაკვეთიანი ფინანსური ინსტრუმენტები*

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფიქსირებულ განაკვეთიანი ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულება ფასდება თავდაპირველი აღიარებისას ბაზრის საპროცენტო განაკვეთების მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის შეთავაზებულ მიმდინარე საბაზრო განაკვეთებთან შედარების გზით. ფიქსირებული პროცენტის მქონე ანაზრების მოსალოდნელი რეალური ღირებულება ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს ფულად ბაზრებზე არსებული საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით, მსგავსი საკრედიტო რისკის და დაფარვის ვადის მქონე სესხებისთვის.

ქვემოთ მოცემულია მეთოდები და დაშვებები იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების დასადგენად, რომლებიც უკვე აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში რეალური ღირებულებით.

*წილობრივი ფასიანი ქაღალდები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით*

რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახული წილობრივი ფასიანი ქაღალდები ფასდება შეფასების მეთოდის გამოყენებით. აღნიშნული ფასიანი ქაღალდები შეფასებულია ისეთი მეთოდების გამოყენებით, რომლებიც ეყრდნობა ბაზარზე დაკვირვებად მონაცემებს, ზოგ შემთხვევაში კი როგორც დაკვირვებად, ისე არადაკვირვებად მონაცემებს. არაემპირიული მონაცემები მოიცავს ვარაუდს ინვესტირებული საწარმოს სამომავლო ფინანსური საქმიანობის და მისთვის დამახასიათებელი რისკების შესახებ, ასევე მოიცავს ეკონომიკურ ვარაუდს მრეწველობის და გეოგრაფიული იურისდიქციის შესახებ, რომელშიც ფუნქციონირებს ინვესტირებული საწარმო.

(ათას ლარში)

**17. რეალური ღირებულების შეფასება (გაგრძელება)**

**რეალური ღირებულების იერარქია (გაგრძელება)**

*წარმოებული ინსტრუმენტები*

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც შეფასებულია ბაზრის ემპირიული ამოსავალი მონაცემების გამოყენებით, ძირითადად წარმოადგენს საპროცენტო სვოპებს, სავალუტო სვოპებს და სავალუტო ფორვარდულ ხელშეკრულებებს. ყველაზე ხშირად გამოყენებული შეფასების მეთოდები მოიცავს ფორვარდულ ფასწარმოქმნას, სვოპ მოდელს, დღევანდელი ღირებულების გამოთვლის გამოყენებით. მოდელი შეიცავს სხვადასხვა ამოსავალ მონაცემებს კონტრაქტების საკრედიტო რეიტინგის, სავალუტო სვოპების და ფორვარდული კურსისა და საპროცენტო განაკვეთის მრუდის ჩათვლით.

*ძირითადი საშუალებები (შენობა-ნაგებობები და მიწა) და საინვესტიციო ქონება*

ქონების საბაზრო ფასი განისაზღვრება ბაზრის მონაცემებზე დაყრდნობით. საბაზრო მიდგომა გამოიყენება რეალური ღირებულების განსაზღვრის მიზნით, შემოსავლების მიდგომა გამოიყენება მიღებული შეფასებების დასადასტურებლად, ხოლო დანახარჯების მეთოდი გამოიყენება ქონების ღირებულების განსაზღვრად მაშინ, როდესაც არ არსებობს მსგავსი საკუთრებისთვის იმავე სივრცულ მონაკვეთში მიმდინარე გაყიდვებზე ან საიჯარო განაკვეთებზე ინფორმაცია.

*არაფინანსური აქტივების შეფასებისთვის გამოყენებული მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემების აღწერა*

ქვემოთ ცხრილში მოცემულია მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემების აღწერა, რომლებიც გამოყენებულია 2025 წლის 31 დეკემბრისთვის საინვესტიციო ქონების, გადაფასებული ძირითადი საშუალებების მესამე დონის შეფასებებისთვის:

	თანხა	მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემები		სხვა მნიშვნელოვანი დიაპაზონი		რეალური ღირებულების ამოსავალი მონაცემების მგრძობელობა
		შეფასების მეთოდი	დიაპაზონი (საშუალო შეწონილი)	ინფორმაცია	დიაპაზონი (საშუალო შეწონილი)	
<b>საინვესტიციო ქონება</b>	<b>29,666</b>					
მიწა	2,013	საბაზრო მიდგომა	ერთი კვადრატული მეტრის ფასი	ქართული ლარი	კვადრატული მეტრი	კვ.მ.-ის ფასის 10%-ით გაზრდა (შემცირება) გამოიწვევდა რეალური ღირებულების გაზრდას (შემცირებას) 146 ლარით
საცხოვრებელი შენობები	15,556	საბაზრო მიდგომა	ერთი კვადრატული მეტრის ფასი	ქართული ლარი	კვადრატული მეტრი	კვ.მ.-ის ფასის 10%-ით გაზრდა (შემცირება) გამოიწვევდა რეალური ღირებულების გაზრდას (შემცირებას) 2,233 ლარით
არასაცხოვრებელი ქონება	12,097	საბაზრო მიდგომა	ერთი კვადრატული მეტრის ფასი	ქართული ლარი	კვადრატული მეტრი	კვ.მ.-ის ფასის 10%-ით გაზრდა (შემცირება) გამოიწვევდა რეალური ღირებულების გაზრდას (შემცირებას) 429 ლარით
<b>მიწის ნაკვეთი და შენობა - ნაგებობები</b>	<b>29,822</b>					
მიწა	8,300	საბაზრო მიდგომა	ერთი კვადრატული მეტრის ფასი	ქართული ლარი	კვადრატული მეტრი	კვ.მ.-ის ფასის 10%-ით გაზრდა (შემცირება) გამოიწვევდა რეალური ღირებულების გაზრდას (შემცირებას) 830 ლარით
საოფისე შენობები	21,522	საბაზრო მიდგომა	ერთი კვადრატული მეტრის ფასი	ქართული ლარი	კვადრატული მეტრი	კვ.მ.-ის ფასის 10%-ით გაზრდა (შემცირება) გამოიწვევდა რეალური ღირებულების გაზრდას (შემცირებას) 2,262 ლარით

(ათას ლარში)

**17. რეალური ღირებულების შეფასება (გაგრძელება)**

**რეალური ღირებულების იერარქია (გაგრძელება)**

ქვემოთ ცხრილში მოცემულია მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემების აღწერა, რომლებიც გამოყენებულია 2024 წლის 31 დეკემბრისთვის საინვესტიციო ქონების, გადაფასებული ძირითადი საშუალებების მესამე დონის შეფასებებისთვის:

	თანხა	მნიშვნელოვანი არაემპირიული დიაპაზონი (საშუალო შეწონილი)		სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია	დიაპაზონი (საშუალო შეწონილი)	რეალური ღირებულების ამოსავალი მონაცემების მგრძობელობა
		შეფასების მეთოდი	ამოსავალი მონაცემები			
<b>საინვესტიციო ქონება</b>	<b>28,072</b>					
მიწა	1,460	ერთი საბაზრო მიდგომა	ერთი კვადრატული მეტრის ფასი	კვადრატული მეტრი	111–120,867 (8,523)	კვ.მ.-ის ფასის 10%-ით გაზრდა (შემცირება) გამოიწვევდა რეალური ღირებულების გაზრდას (შემცირებას) 146 ლარით
საცხოვრებელი შენობები	22,326	ერთი საბაზრო მიდგომა	ერთი კვადრატული მეტრის ფასი	კვადრატული მეტრი	28–4,191 (1,845)	კვ.მ.-ის ფასის 10%-ით გაზრდა (შემცირება) გამოიწვევდა რეალური ღირებულების გაზრდას (შემცირებას) 2,233 ლარით
არასაცხოვრებელი ქონება	4,286	ერთი საბაზრო მიდგომა	ერთი კვადრატული მეტრის ფასი	კვადრატული მეტრი	28–4,191 (1,845)	კვ.მ.-ის ფასის 10%-ით გაზრდა (შემცირება) გამოიწვევდა რეალური ღირებულების გაზრდას (შემცირებას) 429 ლარით
<b>მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობება</b>	<b>30,921</b>					
მიწა	8,300	ერთი საბაზრო მიდგომა	ერთი კვადრატული მეტრის ფასი	კვადრატული მეტრი	100–5,988 (2,850)	კვ.მ.-ის ფასის 10%-ით გაზრდა (შემცირება) გამოიწვევდა რეალური ღირებულების გაზრდას (შემცირებას) 830 ლარით
საოფისე შენობები	22,621	ერთი საბაზრო მიდგომა	ერთი კვადრატული მეტრის ფასი	კვადრატული მეტრი	1,095–12,069 (3,476)	კვ.მ.-ის ფასის 10%-ით გაზრდა (შემცირება) გამოიწვევდა რეალური ღირებულების გაზრდას (შემცირებას) 2,262 ლარით

(ათას ლარში)

**18. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია აქტივები და ვალდებულებები 2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მათ დაფარვამდე დარჩენილი ვადის მიხედვით. ბანკის სახელშეკრულებო არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებები იხილეთ 19-ე შენიშვნაში.

საბაზისო გეპის ანალიზის წარდგენისა და ბანკის ლიკვიდობის რისკის მართვის შემდეგი ძირითადი პრინციპები ეფუძნება სეპ-ის მეთოდების ერთობლიობას და ბანკის პრაქტიკას:

- ▶ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წარმოადგენს მაღალი ლიკვიდურობის აქტივებს და კლასიფიცირებულია როგორც „მოთხოვნამდე, 1 თვემდე ან ნაკლები“;
- ▶ მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, მოთხოვნები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების მიმართ, სხვა აქტივები, ვალდებულებები ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების წინაშე, გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები, სხვა ნასესხები სახსრები, სუბორდინირებული ვალი და სხვა ვალდებულებები წარმოდგენილია გასვლების ანალიზის ცხრილში, ხელშეკრულებების მიხედვით დარჩენილი ვადების მიხედვით;
- ▶ მომხმარებელთა ანაბრების დივერსიფიცირება შეანაბრეთა რაოდენობისა და ტიპის მიხედვით, ხოლო ბანკის გამოცდილება მიუთითებს, რომ აღნიშნული ანგარიშები და ანაბრები წარმოადგენს დაფინანსების გრძელვადიან და სტაბილურ წყაროს, აქედან გამომდინარე ისინი განთავსებულია გეპის ანალიზის ცხრილში მითითებული სახსრების გადინების სავარაუდო დროის მიხედვით ბანკის მიერ წინა პერიოდების დროს დაგროვილი სტატისტიკური მონაცემისა და მიმდინარე ანგარიშების ნაშთების „სტაბილურ ნაწილთან“ დაკავშირებით ვარაუდის საფუძველზე.

	2025							
	<i>მოთხოვნამდე ან 1 თვემდე</i>	<i>1-3 თვე</i>	<i>3-6 თვე</i>	<i>6 თვიდან 1 წლამდე</i>	<i>1 წელზე მეტი</i>	<i>ვადგადაცილებული</i>	<i>დადგენილი ვადის გარეშე</i>	<i>სულ</i>
<b>ფინანსური აქტივები</b>								
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	205,039	-	-	-	-	-	-	205,039
მოთხოვნები ბანკების და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების მიმართ	-	115	-	-	-	-	-	115
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები	28,683	3,318	4,189	18,563	76,160	-	-	130,913
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები:								
- რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	-	-	-	-	-	-	54	54
სხვა ფინანსური აქტივები	-	-	-	-	-	-	14,261	14,261
<b>სულ</b>	<b>233,722</b>	<b>3,433</b>	<b>4,189</b>	<b>18,563</b>	<b>76,160</b>	<b>-</b>	<b>14,315</b>	<b>350,382</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>								
ვალდებულებები ბანკების და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების წინაშე	291	-	-	-	-	-	-	291
ვალდებულება მომხმარებლების წინაშე	12,741	-	5	-	66	-	-	12,812
სუბორდინირებული სესხი სხვა ფინანსური	-	-	-	-	130,620	-	-	130,620
ვალდებულებები	-	-	-	-	18,008	-	-	18,008
<b>სულ</b>	<b>13,032</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>148,694</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>161,726</b>
<b>წმინდა</b>	<b>220,690</b>	<b>3,433</b>	<b>4,189</b>	<b>18,563</b>	<b>(72,534)</b>	<b>-</b>	<b>14,315</b>	<b>188,656</b>
<b>დაგროვილი ვადიანობის გეპი</b>	<b>220,690</b>	<b>224,123</b>	<b>228,312</b>	<b>246,875</b>	<b>174,341</b>	<b>174,341</b>	<b>188,656</b>	<b>-</b>

(ათას ლარში)

**18. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი (გაგრძელება)**

	2024							სულ
	მოთხოვნამდე ან 1 თვემდე	1-3 თვე	3-6 თვე	6 თვიდან 1 წლამდე	1 წელზე მეტი	ვადგადაცი-ლებული	დადგენილი ვადის გარეშე	
<b>ფინანსური აქტივები</b>								
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	176,997	-	-	-	-	-	-	176,997
მოთხოვნები ბანკების და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების მიმართ მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები	-	119	-	-	-	-	-	119
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები:								
- რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	-	-	-	-	-	-	54	54
სხვა ფინანსური აქტივები	-	-	-	-	-	-	14,063	14,063
<b>სულ</b>	<b>231,465</b>	<b>3,218</b>	<b>8,322</b>	<b>13,005</b>	<b>92,815</b>	<b>-</b>	<b>14,117</b>	<b>362,943</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>								
ვალდებულებები ბანკების და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების წინაშე ვალდებულება	294	-	-	-	-	-	-	294
მომხმარებლების წინაშე სუბორდინირებული სესხი	-	-	-	-	12,962	-	-	12,962
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	-	-	-	89,812	-	-	89,812
	-	-	-	-	15,583	-	-	15,583
<b>სულ</b>	<b>294</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>118,357</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>118,651</b>
<b>წმინდა</b>	<b>231,171</b>	<b>3,218</b>	<b>8,322</b>	<b>13,005</b>	<b>(25,542)</b>	<b>-</b>	<b>14,117</b>	<b>244,291</b>
<b>დაგროვილი ვადიანობის გეპი</b>	<b>231,171</b>	<b>234,389</b>	<b>242,711</b>	<b>255,716</b>	<b>230,174</b>	<b>230,174</b>	<b>244,291</b>	<b>-</b>

გრძელვადიანი სესხები ძირითადად არ არის ხელმისაწვდომი საქართველოში. თუმცა საქართველოს ბაზარზე ბევრი მოკლევადიანი კრედიტი გაიცემა იმ მოლოდინით, რომ მათი დაფარვის თარიღისთვის ამ სესხების ვადა გაგრძელდება. როგორც ასეთი, აქტივების საბოლოო დაფარვის ვადა შესაძლოა განსხვავდებოდეს ზემოთ მოცემული ანალიზისგან.

**19. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები**

2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციებზე დაუფარავი ნაშთები არის შემდეგი:

	2025			2024		
	მშობელი საწარმო	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	უმადლესი რანგის ხელმძღვანელობა	მშობელი საწარმო	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	უმადლესი რანგის ხელმძღვანელობა
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	3	-	-	3	-
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები, მთლიანი გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	-	-	-	-	-	-
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები, წმინდა ვალდებულებები ბანკების და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებების წინაშე	-	291	-	-	294	-
სუბორდინირებული სესხი	130,620	-	-	89,812	-	-
სხვა ვალდებულებები	15,632	-	-	11,595	-	-

(ათას ლარში)

**19. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**

საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო ისეთი საწარმოებია, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან რამდენიმე შუამავლით იმართებიან ან კონტროლდებიან ან ბანკთან ერთად იმყოფებიან საერთო კონტროლ ქვეშ (მათ შორის შვილობილი საწარმოების და მასთან დაკავშირებული კომპანიები და ჰოლდინგური კომპანიები). წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები მოიცავს იურიდიულ პირებს, რომლებიც არიან „ვითიბი ჯგუფის“ წევრები და აგრეთვე სხვა იურიდიულ პირებს, რომლებიც კონტროლდებიან რუსეთის ფედერაციის მიერ.

2014 წლის 13 ოქტომბერს ბანკმა მშობელ ბანკთან დადო სესხის ხელშეკრულება 126,400 რუსული რუბლის საერთო ღირებულების სუბორდინირებული სესხის გამოყოფის თაობაზე, 11%-იანი საპროცენტო განაკვეთით, რომელიც კვარტალში ერთხელ გადაიხდება და იფარება 2021 წლის 31 ოქტომბერს. 2020 წლის 15 დეკემბერს განხორციელდა სუბორდინირებული სესხის რესტრუქტურირება საპროცენტო განაკვეთით 8,93%. პროცენტის გადახდები წარმოებს კვარტალურად, ხოლო სესხის გადახდის ვადა განისაზღვრა 2027 წლის 29 ოქტომბრით.

2018 წლის 31 აგვისტოს ბანკმა მშობელ ბანკთან დადო ხელშეკრულება 816,985 რუსული რუბლის საერთო ღირებულების სუბორდინირებული სესხის გამოყოფის თაობაზე, რომლის საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრა 10,5%-ით, პროცენტის გადახდები წარმოებს კვარტალურად. სესხის გადახდის ვადა განისაზღვრა 2025 წლის 29 აგვისტომდე. 2020 წლის 31 აგვისტოს განხორციელდა სუბორდინირებული სესხის რესტრუქტურირება საპროცენტო განაკვეთით 10,5%. პროცენტის გადახდები წარმოებს კვარტალურად, ხოლო სესხის გადახდის ვადა განისაზღვრა 2027 წლის 29 აგვისტოთი.

2018 წლის 31 დეკემბერს ბანკმა მშობელ ბანკთან დადო სესხის ხელშეკრულება 414,000 რუსული რუბლის საერთო ღირებულების სუბორდინირებული სესხის გამოყოფის თაობაზე, 11,5%-იანი საპროცენტო განაკვეთით, რომელიც კვარტალში ერთხელ გადაიხდება და იფარება 2025 წლის 26 დეკემბერს. 2020 წლის 15 დეკემბერს განხორციელდა სუბორდინირებული სესხის რესტრუქტურირება საპროცენტო განაკვეთით 8,99%. პროცენტის გადახდები წარმოებს კვარტალურად, ხოლო სესხის გადახდის ვადა განისაზღვრა 2027 წლის 1 დეკემბრით.

2020 წლის 29 დეკემბერს ბანკმა მშობელ ბანკთან დადო სესხის ხელშეკრულება 455,394 რუსული რუბლის საერთო ღირებულების სუბორდინირებული სესხის გამოყოფის თაობაზე, 8,92%-იანი საპროცენტო განაკვეთით, რომელიც კვარტალში ერთხელ გადაიხდება და იფარება 2027 წლის 17 დეკემბერს.

2021 წლის 29 დეკემბერს ბანკმა მშობელ ბანკთან დადო სესხის ხელშეკრულება 900,000 რუსული რუბლის საერთო ღირებულების სუბორდინირებული სესხის გამოყოფის თაობაზე, 11,51%-იანი საპროცენტო განაკვეთით, რომელიც კვარტალში ერთხელ გადაიხდება და იფარება 2028 წლის 25 დეკემბერს.

ბანკის ლიკვიდაციის შემთხვევაში, ამ სესხების დაფარვა მოხდება მხოლოდ ბანკის ძირითადი კრედიტორების წინაშე არსებული ვალდებულებების დაფარვის შემდეგ.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის მიმართ სხვა დავალიანება მოიცავს დარიცხულ ბონუსებს 0 ლარის ოდენობით (2024 წ.: 1,663 ლარი) და აუნაზღაურებელი შვებულება 0 ლარის ოდენობით (2024 წ.: 0 ლარი).

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციებიდან წარმოშობილი შემოსავალი და ხარჯი ნაჩვენებია ცხრილში ქვემოთ:

	2025			2024		
	მშობელი საწარმო	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	მშობელი საწარმო	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა
საპროცენტო ხარჯი	(9,274)	-	-	(8,148)	-	-

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება მოიცავდა ხელფასებს, ბონუსებს და სხვა კომპენსაციებს ჯამში 3,321 ლარის ოდენობით (2024 წ.: 4,944 ლარი).

(ათას ლარში)

**19. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა შედგებოდა ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს 4 და დირექტორატის 6 წევრისგან (2024 წ.: ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს 4 და დირექტორატის 6 წევრი).

2025 და 2024 წლებში ბანკს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან მნიშვნელოვანი ოპერაციები არ ჰქონია.

**20. კაპიტალის ადეკვატურობა**

ბანკი ინარჩუნებს და აქტიურად განაგებს კაპიტალის ბაზას ბიზნესთან დაკავშირებული რისკების მართვის მიზნით. ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის შემოწმება ხდება სხვადასხვა კრიტერიუმით, მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კოეფიციენტების მიხედვით.

ბანკის კაპიტალის მართვის მთავარი ამოცანებია იმის უზრუნველყოფა, რომ ბანკი აკმაყოფილებდეს კაპიტალის სავალდებულო მოთხოვნებს და ბანკი ინარჩუნებდეს ძლიერ საკრედიტო რეიტინგებს და კაპიტალის ჯანსაღ კოეფიციენტებს იმისთვის, რომ განამტკიცოს თავისი საქმიანობა და მაქსიმალურად გაზარდოს პარტნიორებისთვის შექმნილი ღირებულება.

ბანკი მართავს კაპიტალის სტრუქტურას და შეაქვს შესწორებები ეკონომიკური სიტუაციის და რისკის ფაქტორების გათვალისწინებით. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან დაკორექტორების მიზნით ბანკმა შესაძლებელია უკან დაუბრუნოს კაპიტალი აქციონერებს ან გაზარდოს კაპიტალი აქციების გამოშვების გზით.

საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნით, კაპიტალის ადეკვატურობის შეფასებისას ყველა ბანკმა უნდა დააკმაყოფილოს ბაზელ 2-ის რეგულაციები. სებ-მა ცვლილებები შეიტანა რეგულაციებში კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებთან დაკავშირებით, მათ შორის კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულებაში, და შემოიღო კონტრციკლური ბუფერის განაკვეთის განსაზღვრის, სისტემური მნიშვნელობის კომერციული ბანკების განსაზღვრისა და მათთვის სისტემურობის ბუფერის დაწესების ახალი მოთხოვნები, ასევე პილარ 2-ის ფარგლებში კომერციული ბანკების კაპიტალის დამატებითი ბუფერების განსაზღვრის წესი.

**კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი**

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნით, ბანკი ვალდებულია ინდივიდუალურად შესაბამისი გაანგარიშების საფუძველზე შეინარჩუნოს საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური კოეფიციენტი, ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი და პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი 30.48%, 23.73% და 26.63%-ის ოდენობით (2024 წ.: საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური კოეფიციენტი, ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი და პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი 29.81%, 22.85% და 25.84%-ის ოდენობით).

ბანკი აკმაყოფილებდა კაპიტალის ადეკვატურობის ამ კოეფიციენტებს 2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები იყო: ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი ამ საფუძველზე იყო შემდეგი:

	2025	2024
ძირითადი პირველადი კაპიტალი	205,458	273,906
დამატებითი კაპიტალი	58,225	43,189
<b>პირველადი კაპიტალი</b>	<b>263,683</b>	<b>317,094</b>
<b>მეორადი კაპიტალი</b>	<b>24,748</b>	<b>42,080</b>
<b>მთლიანი მარეგულირებელი კაპიტალი</b>	<b>288,431</b>	<b>359,174</b>
<b>რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები</b>	<b>479,662</b>	<b>538,310</b>
<b>ძირითადი პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი</b>	<b>42.83%</b>	<b>50.88%</b>
<b>პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი</b>	<b>54.97%</b>	<b>58.91%</b>
<b>სულ კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი</b>	<b>60.13%</b>	<b>66.72%</b>